საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

8 ივნისი ოთხშაბათი 2011

№ 132 (13429) ფასი 60 თეთრი

# ალექს გარსია: დინამო ბარსას თარგზე




კატალონიური "ბარსელონას" ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა ინტერვიუ თბილისის "დინამოს" ახალ მთავარ მწვრთნელ ალექს გარსიასთან. ვფიქრობთ, პუბლიკაცია ქართველ მკითხველსაც დააინტერესებს.

"ალექს გარსია "ბარსელონას" სხვადასხვა ასაკის ახალგაზრდულ გუნდებში მწვრთნელად და აგენტად მუშაობდა. ამიერიდან კი კარიერის ახალ ეტაპს იწყებს - პროფესიულ კლუბს ჩაუდგება სათავეში. როგორც თავად ამბობს, ბარსელონიდან თბილისში ცოდნით დატვირთული ჩავიდა...

*- რამ გადაგაწყვეტინათ "დინამოს" სათავეში ჩადგომა?*

- მთავარი მიზეზი პროფესიულ დონეზე მუშაობაა. „დინამოს" ხელმძღვანელობამ სამწლიანი პროექტი შემომთავაზა, რომელიც საკუთარი იდეების განხორციელებისთვის შესანიშნავი საშუალება იქნება.

*- მაინც რა არის საინტერესო ამ პროექტში?*

- მთავარი მწვრთნელის ამპლუა და ჩემ მიმართ გამოცხადებული ნდობა. გუნდის ორგანიზებისას „ბარსელონასეულ" მოდელს გადავიღებ.

*- „ბარსას" დატოვება არ გაგიჭირდათ?*

- ასეთ კლუბთან განშორება ყოველთვის ძნელია. კატალონიაში ფეხბურთი 7-8 წლის განმავლობაში ვითამაშე. შემდეგ მწვრთნელად ვმუშაობდი, ამას მოჰყვა აგენტის სტატუსი. ვიცოდი, ადრე თუ გვიან დადგებოდა მომენტი, როცა არჩევანი უნდა გამეკეთებინა და საკუთარი პროექტის რეალიზებას შევდგომოდი.

*- „ბარსელონაში" თქვენს საქმიანობას როგორ შეაფასებდით?*

- კლუბის მხრიდან ჩემდამი გამოჩენილი ყურადღებით ნასიამოვნები ვარ. ვფიქრობ, სპორტული თვალსაზრისით ხელმძღვანელობის იმედები გავამართლე. ბედნიერი ვარ, როცა ჩემს ხელში გამოვლილ ფეხბურთელებს მთავარ გუნდში ვხედავ...

ალექს გარსია სხვადასხვა დროს წვრთნიდა პიკეს, სერხიოს, პედროს, კრკიჩს, ჟეფრენს, ფონტასს, ტიაგოს, ხოლო ლეო მესის ერთი სეზონის განმავლობაში ავარჯიშებდა."



3 გუშინ ალექს გარსიამ დინამოელები პირველად ავარჯიშა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

## წარმოგიდგენთ სეზონის რჩეულებს




2

## ზესტაფონის თამაში მიზანი

## საქართველოს სახელით ფეხბურთში გაგრა კალათბურთში სოხუმი



## წარმოგიდგენთ სეზონის რჩეულებს

# საუკეთესო მწვრთნელი: გია გეგუჩაძე („ზესტაფონი")

"ლელომ" სეზონის საუკეთესო მწვრთნელად "ზესტაფონის" თავკაცი გია გეგუჩაძე დაასახელა. ჩვენი არჩევანი, ალბათ, სადავო არ უნდა იყოს – "ზესტაფონმა" მთელი სეზონი სტაბილურად ჩაატარა, სეზონის მეორე ნახევარში ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერობა ერთხელაც არ დაუთმია და მძაფრი კონკურენციის მიუხედავად, ისტორიაში პირველად დამსახურებულად იჩემპიონა. ტიტულის მოპოვებაში მწვრთნელს ყოველთვის განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის და გამონაკლისი არც გეგუჩაძეა – მისმა მიზანმიმართულმა მუშაობამ "ზესტაფონი" საქართველოს საუკეთესო კლუბადაც აქცია და, რაც მთავარია, იმის საფუძვლიანი იმედიც გააჩინა, რომ ჩვენი ჩემპიონი ჩემპიონთა ლიგაზეც ბევრს მიაღწევს.

### დოსიე

დაიბადა 20.06.1965

*სამწვრთნელო კარიერა:*

რუსთავის "მეტალურგი",
თბილისის "დინამო",
"ზესტაფონი".

*მიღწევები:*

საქართველოს ჩემპიონი (2011, ზესტაფონი),
საქართველოს თასი (2004, დინამო),
უეფას თასის ჯგუფური ეტაპი (2004, დინამო).



# ზესტაფონის თამამი მიზანი

## გეგუჩაძის გზა მეორე ჯგუფურისკენ

- დიდი მადლობა ასეთი დაფასებისთვის. "ლელოს" აღიარება ჩემთვის ძალიან სასიამოვნო და თან საპასუხისმგებლოა – შევეცდები, მიღწეულზე არ შევჩერდე და "ზესტაფონთან" ერთად ახალ გამარჯვებებს მივაღწიო.

**- გასულ სეზონში რომელი კოლეგების მიღწევებს გამოარჩევდით?**

- ჩემთვის ნებისმიერი კოლეგის შრომა დასაფასებელია, თუმცა ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ განსაკუთრებული წარმატებით "გაგრას" უკრაინელმა მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი პისკოვეცმა იმუშავა. პირველი ლიგის გუნდმა თასი მოიგო, რაც თავისთავად ბევრზე მეტყველებს.

**- რისი წყალობით შეძლო "ზესტაფონმა" ჩემპიონატის ასე დამაჯერებლად მოგება?**

- სეზონი ჩვენთვის ძალიან რთული გამოდგა, მაგრამ არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ბიჭები საკუთარ თავს გადაახტნენ, შესაძლებლობათა მაქსიმუმი გამოავლინეს და ჩემპიონობამდე დიდი შრომისა და თავდადების ფასად მივიდნენ. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ ფეხბურთელებმა საკუთარი თავისა ირწმუნეს – როგორც ჩანს, წინა სეზონებში უტიტულოდ სწორედ ამ კომპონენტის ნაკლებობის გამო დავრჩით. წარუმატებლობის მიზეზებს ყოველთვის საკუთარ თავში ვეძებთ, სხვანაირად პრობლემებს ვერ აღმოფხვრი და წინ ვერ წახვალ.

**- ჩემპიონობის ბედი რომელიმე კონკრეტული მატჩის მოგებამ გადაწყვიტა?**

- არა, თითოეულ ქულას ოქროს ფასი ჰქონდა და, შესაბამისად, ჩემპიონები სტაბილურად ჩატარებული სეზონის წყალობით გავხდით.

**- "ზესტაფონის" რომელმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა განიცადა ყველაზე დიდი პროგრესი გასულ სეზონში?**

- თორნიკე გორგიაშვილმა, რომელიც გუნდის ერთ-ერთ წამყვან ნახევარმცველად ჩამოყალიბდა. ძირითად შემადგენლობას გაუშინაურდა ცენტრალური მცველი მამუკა კობახიძე, წინა ხაზზე კი საბა ლომიამ და გიორგი ჭანკოტაძემ დაგვანახეს საკუთარი პოტენციალი. ამათ გარდა, ავსტრიულ შეკრებაზე დუბლშემადგენლობიდან წავიყვანთ ნახევარმცველ როსტომ გეწაძესა და თავდამსხმელ მიხეილ სარდალიშვილს, რათა მთავარ გუნდს გაუშინაურდნენ და მომავალ სეზონში იქ მოსახვედრად იბრძოლონ.

**- იმედები ზამთარში დამატებულმა ყველა ფეხბურთელმა გაგიმართლათ?**

- სამწუხაროდ, ზურაბ მენთეშაშვილი ტრავმის გამო ვერ დაგვეხმარა, თუმცა მომავალში მისი დიდი იმედი გვაქვს, გიორგი ფოფხაძემ კი ჩემპიონატის ბოლო ტურებში დამაჯერებლად ითამაშა. იმედგაცრუებას გორან გრუიცაზეც კი ვერ ვიტყვი, რადგან ძირითად შემადგენლობაში მძაფრი კონკურენციის გამო ვერ მოხვდა.



**- როგორც პროფესიონალს, რა შეგძინათ "ზესტაფონში" გატარებულმა პერიოდმა?**

- ბევრი რამ. ყოველი ახალი სამსახური მწვრთნელისთვის წინსვლისა და პროფესიული განვითარების უნიკალური საშუალებაა. შევიძინე ფასდაუდებელი გამოცდილება და, რაც მთავარია, "ზესტაფონთან" ერთად მოპოვებული ჩემპიონობა მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ჩემთვის პირველი იყო.

**- "ზესტაფონმა" ახალი სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყო. როგორია ფეხბურთელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა?**

- სამედიცინო გამოკვლევის პასუხები ჯერ არ მიგვიღია, მაგრამ, წესით, საგანგაშო არაფერი უნდა იყოს. ვარჯიში არ განუახლებიათ მენთეშაშვილს, ზაალ ელიავასა და გოგი ფიფიას, მაგრამ ვიმედოვნებთ, მწყობრში მალე ჩადგებიან. ისინი გამოკვლევებზე უკრაინაში გვყავდა გაშვებული და დამაიმედებელი ინფორმაციებით ჩამოვიდნენ.

**- ცნობილია, რომ "ზესტაფონი" ჯერ საკუთარ ბაზაზე, შემდეგ კი ავსტრიაში მოემზადება. თუ არის ცნობილი სპარინგპარტნიორების ვინაობა?**

- ავსტრიაში 21 ივნისს გავემგზავრებით და იქ ორ კვირას დავყოფთ. რაც შეეხება მეტოქეებს, მათთან მოლაპარაკება არ დასრულებულა, მაგრამ შემიძლია სავარაუდო მოწინააღმდეგეები ჩამოგითვალოთ – კიევის "დინამო", დნეპროპეტროვსკის "დნიპრო", ლვოვის "კარპატი", კრაკოვის "ვისლა" და რუმინული "კლუჟი". აქცენტს ამჯერადაც ძლიერ სპარინგპარტნიორებთან თამაშზე ვაკეთებთ. შედეგი აქ ნაკლებად მნიშვნელოვანია, მთავარია, საკუთარი დადებითი და უარყოფითი მხარეები კარგად დავინახოთ და ოფიციალურ მატჩებს ოპტიმალური ფორმით შევხვდეთ.

**- ყველაზე მეტად რომელ რგოლებში საჭიროებს "ზესტაფონი" გაძლიერებას?**

- ამ შეკითხვაზე ყველაზე კარგად პასუხს ევროთასების მატჩები გასცემს.

**- ავსტრიულ შეკრებაზე ლეგიონერებს ხომ არ გასინჯავთ?**

- ევროტურნირებამდე არცთუ დიდი დრო დარჩა და სინჯებისთვის არ გვეცლება, ასე რომ, ლეგიონერების დამატებას არ ვაპირებთ. არავინ იფიქროს, რომ ლეგიონერების აყვანას პრინციპულად ვეწინააღმდეგები. უბრალოდ, სინჯებზე დროს ვერ დავკარგავთ. საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე უცხოელებიდან "ზესტაფონის" დონეს ვინმე რომ აკმაყოფილებდეს, აუცილებლად დავიმატებდით, მაგრამ ქართულ კლუბებში ასეთი დონის ლეგიონერები არ ასპარეზობენ.

**- თქვენ უკვე განაცხადეთ, რომ "ზესტაფონი" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად იბრძოლებს...**

- კლუბის ხელმძღვანელობას კონკრეტულად ეს მიზანი არ დაუსახავს, მაგრამ უდიდესი სურვილი და, ვფიქრობთ, ძალაც გვაქვს იმისთვის, რომ ჯგუფური ეტაპისთვის ვიბრძოლოთ. ჩვენი მთავარი ამოცანა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოხვედრაა, პროგრამა-მინიმუმი კი ევროპის ლიგის ჯგუფური რაუნდი.

**- ჩემპიონთა ლიგის პირველ ეტაპზე სასურველი და არასასურველი მეტოქეები თუ გყავთ შეგულებული?**

- პირველ ყოვლისა, კარგია ის, რომ განთესილები ვართ, რაც "ზესტაფონმა" უდავოდ დაიმსახურა. ნებისმიერ გუნდთან საბრძოლველად მზად ვართ, მაგრამ პირველ ეტაპზე პოსტსაბჭოთა ქვეყნის წარმომადგენელთან თამაშს არ ვისურვებდი, სხვა ნებისმიერ მეტოქესთან შეხვედრის წინააღმდეგი კი არ ვარ.

**- "ლელომ" საქართველოს დასრულებული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად და ნახევარმცველად მურთაზ დაუშვილი დაასახელა, საუკეთესო მცველად – გიორგი ონიანი, თავდამსხმელად კი – ნიკოლოზ გელაშვილი. თუ იზიარებთ ჩვენს შეხედულებას?**

- ყოველთვის გამიხარდება, თუ პრესა ჩემი ფეხბურთელების შრომას დააფასებს და ამისთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ვფიქრობ, სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღეთ.

**- ბოლოს საქართველოს მომავალ ჩემპიონატზეც ვთქვათ...**

- უდავოდ საინტერესო ჩემპიონატი უნდა გამოდგეს, თუნდაც ახლებური ფორმულის გამო. უმაღლეს ლიგაში არაერთი ამბიციური გუნდი ითამაშებს – "დინამო", "ოლიმპი" და "ტორპედო" აუცილებლად გაძლიერდებიან, უთუოდ ანგარიშგასაწევი ძალა იქნება "ვიტ ჯორჯიაც". ასე რომ, ჩემპიონობის შენარჩუნება იოლი არ იქნება, მაგრამ ტიტულის შესანარჩუნებლად ძალ-ღონეს არ დავიშურებთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ზესტაფონი

# ფოფხაძე წავიდა, ლონლაძე მივიდა

"ზესტაფონმა" ახალი სეზონისთვის მზადება გუშინ დაიწყო, თუმცა საქართველოს ჩემპიონთა ბანაკიდან რამდენიმე სიახლე უკვე შევიტყვეთ.

გუნდი დატოვა **გიორგი ფოფხაძემ**, რომელიც "ზესტაფონს" ზამთარში შეუერთდა და ჩემპიონატში მისი ღირსება მხოლოდ 6-ჯერ დაიცვა. მას კლუბთან კონტრაქტი 6 თვე + 2 წლის პრინციპით ჰქონდა გაფორმებული და მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე თანამშრომლობა შეწყდა. შეგახსენებთ, "ზესტაფონიდან" სეზონის დასრულებისთანავე წავიდა ხორვატი მცველი **გორან გრუიცა**.

გუშინვე ცნობილი გახდა "ზესტაფონის" პირველი ახალწვეულის ვინაობაც. კლუბმა **თემურ ლონლაძე** დაიმატა. 25 წლის მარჯვენა მცველმა წინა სეზონის მეორე ნახევარი თბილისის "დინამოში" გაატარა და მის შემადგენლობაში 8-ჯერ ითამაშა, ჩემპიონატის პირველ ეტაპზე კი რუსთავის "ოლიმპის" მაისურით 16 მატჩი ჩაატარა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● მეორე ლიგა

**აღმოსავლეთი ზონა. XXX ტური**

| | |
|---|---|
| გოლიადორი – ერთობა | 3:0 |
| 35-ე სკოლა – ავაზა | 0:3 |
| ალგეთი – გაგრა-2 | 0:1 |
| დუშეთი – მერანი | 5:0 |
| აბული – ივერია | 1:3 |
| ზოოვეტი – იმედი | 4:1 |
| სტუ-თიანეთი – სასკო | 6:0 |

*სამცხე – ისვენებს*

**გადადებული მატჩი**

| | |
|---|---|
| აბული – გაგრა-2 | 3:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზოოვეტი | 28 | 18 | 7 | 3 | 67-26 | 61 |
| 2. სტუ-თიანეთი | 28 | 19 | 3 | 6 | 84-39 | 60 |
| 3. გაგრა-2 | 28 | 17 | 4 | 7 | 61-26 | 55 |
| 4. ივერია | 28 | 17 | 3 | 8 | 58-35 | 54 |
| 5. სასკო | 28 | 15 | 7 | 6 | 82-49 | 52 |
| 6. ავაზა | 28 | 15 | 2 | 11 | 70-46 | 47 |
| 7. აბული | 28 | 15 | 1 | 12 | 50-38 | 46 |
| 8. ალგეთი | 28 | 13 | 3 | 12 | 52-35 | 42 |
| 9. დუშეთი | 28 | 11 | 9 | 8 | 61-44 | 42 |
| 10. გოლიადორი | 28 | 12 | 4 | 12 | 46-42 | 40 |
| 11. იმედი | 28 | 9 | 7 | 12 | 66-61 | 34 |
| 13. მერანი | 28 | 8 | 4 | 16 | 37-57 | 28 |
| 13. სამცხე | 28 | 5 | 0 | 23 | 25-145 | 15 |
| 14. 35-ე სკოლა | 28 | 3 | 6 | 19 | 23-64 | 15 |
| 15. ერთობა | 28 | 2 | 0 | 26 | 10-91 | 6 |

*შენიშვნა: 35-ე სკოლა და ერთობა ახმეტა მოხსნილია გათამაშებიდან. ყველა გუნდს მათთან გასამართ შეხვედრებში ჩაეთვალა ტექნიკური მოგება 3:0.*

**დასავლეთი. A ზონა**

**გადადებული მატჩი**

| | |
|---|---|
| ჩიხურა-2 – ქუთაისი | 3:0 |

**ბოლო ტური**

| | |
|---|---|
| სულორი – ჩიხურა-2 | 3:0 |
| ქუთაისი – მერანი-2 | 0:3 |
| რაჭა – მარგვეთი | 3:0 |
| მერცხალი-2 – მართვე | 0:3 |
| ბახმარო – ბეთლემი | 3:0 |
| საირმე – გურია-2 | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა-2 | 24 | 18 | 5 | 1 | 83-18 | 59 |
| 2. სულორი | 24 | 16 | 1 | 7 | 46-27 | 49 |
| 3. დინამო-2 | 24 | 14 | 7 | 3 | 49-20 | 49 |
| 4. მარგვეთი | 24 | 13 | 3 | 8 | 49-35 | 42 |
| 5. ბახმარო | 24 | 11 | 8 | 5 | 36-33 | 41 |
| 6. ბეთლემი | 24 | 11 | 3 | 10 | 39-35 | 36 |
| 7. მერანი-2 | 24 | 10 | 5 | 9 | 33-21 | 35 |
| 8. საირმე | 24 | 10 | 4 | 10 | 25-31 | 34 |
| 9. გურია-2 | 24 | 8 | 3 | 13 | 32-47 | 27 |
| 10. რაჭა | 24 | 7 | 3 | 14 | 35-53 | 24 |
| 11. ქუთაისი | 24 | 6 | 3 | 15 | 29-57 | 21 |
| 12. მართვე | 24 | 3 | 4 | 17 | 20-47 | 13 |
| 13. მერცხალი-2 | 24 | 1 | 7 | 16 | 23-75 | 10 |

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა



დინამო. ახალი მწვრთნელის პირველი ვარჯიში



ალექს გარსია

# ქართულ-ესპანური სიახლეები

თბილისის „დინამოს“ ახალი მთავარი მწვრთნელი, ესპანელი **ალექს გარსია** გუშინდელი დღიდან უკვე „ნაღდი“ დინამოელია: 13 საათზე ფეხბურთელებს შეხვდა, 17 საათზე კი თავის ახალ გუნდთან პირველი ვარჯიშიც ჩაატარა. ამაში ალექს გარსიას თანაშემწეებიც ეხმარებოდნენ: **მარკ უგეტი** (ფიზმომზადების მწვრთნელი), **რამაზ მუმლაძე** (მეორე მწვრთნელი) და **გელა ჭანტურია** (მეკარეების მწვრთნელი). სამწვრთნელო თემას გავაგრძელებთ და ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია „დინამოს“ დუბლშემადგენლობის ახალი თავკაცის საკითხიც: ამ თანამდებობაზე, სავარაუდოდ, **გიორგი დევდარიანი** დაინიშნება. ბოლო წლებში დევდარიანი საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებს ხელმძღვანელობდა, უმაღლეს ლიგაში კი ერთობ სიმპათიური და საკუთარი ხელწერის მქონე გუნდ „თბილისში“ მუშაობით წარმოჩნდა.

დევდარიანის გარდა, „დინამოში“ სხვა სიახლეებიცაა; ეგ კი არა, ლამის დღე არ გავა, ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულიან გუნდში მომხდარი საკადრო ცვლილებების შესახებ არ შევიტყოთ. „ლელოს“ გუშინდელ ნომერშიც გაუწყეთ, რომ 26 წლის **სანდრო იაშვილის** გარდა, „დინამოში“ კიდევ ორი ახალწვეულიც ჩაირიცხა: 30 წლის **დავით ოდიკაძე** (ბაქოს „ინტერიდან“) და 23 წლის **გიორგი რეხვიაშვილი** (რუსთავის „ოლიმპიდან“). ოდიკაძეს საქართველოს ჩემპიონატში რამდენიმე გუნდში უასპარეზია, მაგრამ ყველაზე უკეთ საკუთარი შესაძლებლობები თბილისის „დინამოში“ წარმოაჩინა, სადაც 2009 წლამდე თამაშობდა. თუმცა, ოდიკაძის გარდა, „დინამოში“ კიდევ ერთი ცნობადი სახე დაბრუნდა: 35 წლის **სოსო გრიშიკაშვილი** სამწლიანი პაუზის შემდეგ კვლავაც დინამოელი იქნება. სხვადასხვა დროს გრიშიკაშვილს არაერთი ქართული („კახეთი“, „მეტალურგი“, „კოლხეთი“, „ლოკომოტივი“, „თბილისი“, „ბათუმი“) თუ უცხოური („ალანია“, „ვენტსპილსი“, „დაუგავა“, „მიკა“) კლუბების ღირსება დაუცავს, ბოლოს კი ცხინვალის „სპარტაკში“ ასპარეზობდა. ვეტერანი მეკარის გარდა „დინამოში“ გუშინ კიდევ ერთი ახალწვეული გამოჩნდა: 27 წლის **გოგა ბერაია,** რომელიც ამპლუით ნახევარმცველია და ბოლო დროს აზერბაიჯანის ჩემპიონატში გამოდიოდა, — კერძოდ, „გაბალას“ კაპიტანიც გახლდათ. სხვათა შორის, „გაბალას“ მთავარი მწვრთნელი ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი **ტონი ადამსია...**

...სლოვენიაში გამგზავრებამდე (12 ივნისს) „დინამოს“ ახალი თავკაცი ალექს გარსია თავის ახალ გუნდთან ერთად ყოველდღიურ ვარჯიშებს ჩაატარებს. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ თბილისში ხვალ უნდა ჩამოვიდეს კიდევ ერთი ესპანელი სპეციალისტი — **ანდრეს კარასკო** „დინამოს“ ბავშვთა აკადემიას უხელმძღვანელებს.

**გია ტუხაშვილი**

ინტერვიუ ვაკო ყაზაიშვილთან

# გამზრდელმა გაზრდილი დაუფიქრებლად არ უნდა გაუშვას

## ყაზაიშვილი და ხოჭოლავა: ვარიანტები აქ და ევროპაში

**ბოლო წლებში "გამოჩეკილი" უფერული მოთამაშეების გამო გულშემატკივრები ხშირად კითხულობენ, სად არიან ახალი "ათიანები", ტექნიკური და ნიჭიერი ბავშვები? მაგრამ საქმე უიმედოდაც არ არის. მოდიან ნიჭიერი ფეხბურთელები, ხელშეწყობის შემთხვევაში ამ ვაკუუმის შევსება რომ შეუძლიათ.**

**"საბურთალოს" ფეხბურთელი, თემურ ფოცხვერიასა და გიორგი დევდარიანის გაზრდილი ვაკო ყაზაიშვილი ოთარ გაბელიამ ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვია, ხორვატიასთან ძირითადში ათამაშა და იმედებიც გაუმართლა - 18 წლის ნახევარმცველი ქართველებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.**

**ლოგიკურიც არის, ახალი თაობის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელით ბევრი ცნობილი კლუბი რომ დაინტერესდა.**

**ვაკო ყაზაიშვილი "ლელოს" კითხვებს პასუხობს.**

**- ხორვატიასთან მატჩი ახალგაზრდულ ნაკრებში შენი პირველი თამაში იყო. ხომ არ ინერვიულე?**

- ცხადია, სადებიუტო შეხვედრა იყო და ვინერვიულე, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებულად ვღელავდი. ალბათ, იმიტომ, რომ გუნდში კარგად მიმიღეს და დაძაბულობა მომეხსნა. მიხარია, ჩემს სადებიუტო შეხვედრაში ნაკრებმა რომ მოიგო. ციკლის გამარჯვებით დაწყება პატარა საქმე არ არის.

**- საკუთარ თამაშზე რას იტყვი?**

- პირველ ტაიმშიც შემეძლო გატანა და მეორეშიც, მაგრამ მეკარემ ორივე შემთხვევაში კარგად ითამაშა. სხვათა შორის, თამაში ძალიან ჭირდა, რადგან თავსხმა წვიმა წამოვიდა, მოედანიც დამძიმდა და გადაადგილებაც გაძნელდა.

**- ადრე პლეიმეიკერად გათამაშებდნენ, ახალგაზრდულში კი მარცხენაფლანგელ ნახევარმცველად დაგაყენეს. ეს შენთვის უჩვეულო ამპლუა არ არის?**

- ბოლო ერთი წელია, დევდარიანი ბოლნისის "სიონის" დუბლშემადგენლობაში სწორედ ფლანგზე მათამაშებს. ის კარგად მიცნობს და, ეტყობა, ჩათვალა, რომ ფლანგზე უფრო სასარგებლო ვიქნებოდი.

**- ფიზიკურად აშკარად გაზრდილი ჩანხარ, მხრის წაკვრით ველარ წაგაქცევენ. ასე მკვეთრად ფიზიკურად როგორ მოუმატე?**

- ეს არის გიორგი დევდარიანის და ივანე ლუცენკოს დამსახურება, რომლებიც ბოლო ორი წელია ათლეტურობაზე, ფიზიკურ მოლონიერებაზე მავარჯიშებენ და უკეთესობას აშკარად ვგრძნობ. სეზონი კი დამთავრდა, მაგრამ ახლაც ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ, ვიტამინებს ვიღებ და, ცხადია, ეს კარგად მოქმედებს.

**- მეეჭვება, ახალგაზრდული ნაკრების წევრი დიდხანს გაგაჩერონ ბოლნისის "სიონის" დუბლშემადგენლობაში. უკეთეს კლუბში გადასვლას არ გთავაზობენ?**

- ამაზე ზუსტი პასუხი "საბურთალოს" ხელმძღვანელებს ექნებათ, მე ხომ დღემდე ამ კლუბს ვეკუთვნი. ვიცი, წინადადებები არის, მაგრამ მე ვერაფერს გეტყვით. მალე გაირკვევა, სად ვითამაშებ.

**- ლაპარაკია დევდარიანის "დინამოში" გადასვლაზე. ასეთ შემთხვევაში შენც "დინამოში" ითამაშებ?**

- უკვე ვთქვი, რომ მალე ყველაფერი გაირკვევა, მე კი ამ თემაზე ჯერ ვერ ვილაპარაკებ.

**- "ვიტესის" დაინტერესება ზამთარში შენი გასინჯვით ამოიწურა თუ მიმდინარეობს მოლაპარაკება?**

- ვიცი, რომ მოლაპარაკება არ დასრულებულა და გამორიცხული არ არის, კიდევ წავიდე. საერთოდ, ვარიანტი, შეიძლება, ბევრი გამოჩნდეს, მაგრამ გასინჯვაზე წასვლა არ მინდა. არა მგონია, ასე რომელიმე გუნდში დარჩე.

**- "სიონის" დუბლებში კარგი მოსამზადებელი პირობებია?**

- ჩვენ "სიონთან" მხოლოდ სახელი გვაკავშირებს, თორემ ბოლნისში არ ვვარჯიშობთ, რეალურად გუნდში ვართ "საბურთალოს" ის აღზრდილები, ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში რომ ვითამაშეთ, მხოლოდ ორი 1992 წელს დაბადებული მოთამაშე დაგვემატა.

**- შენი აზრით, დუბლების ჩემპიონატში კლასის ამაღლება შესაძლებელია?**

- ჩვენ დევდარიანთან ვვარჯიშობთ და წარმოუდგენელია, ეს არ წაგვადგეს. ამ კაცმა გაგვზარდა და გზაზე დაგვაყენა.

■ ■ ■

ყაზაიშვილსა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კიდევ ერთ წევრზე, **დავით ხოჭოლავაზე** საინტერესო ინფორმაცია გაგვიმხილა საფეხბურთო სკოლა "საბურთალოს" პრეზიდენტმა **ტარიელ ხეჩიკაშვილმა:**

- არის რამდენიმე კრიტერიუმი – კლუბის, ფეხბურთელისა და ქართული ფეხბურთის ინტერესები – რომელთა მიხედვითაც ვარჩევთ, სად გავუშვათ ფეხბურთელი.

რაც შეეხება ყაზაიშვილს, მისით საქართველოში არა მხოლოდ თბილისის "დინამო" დაინტერესდა, იწვევენ არნემის "ვიტესსა" და კიდევ რამდენიმე ევროპულ კლუბში, მათ შორის, ბელგიურშიც. მაგრამ მიწვევა არ ნიშნავს იმას, რომ დაუფიქრებლად გავუშვებთ. ყაზაიშვილი ითამაშებს იმ გუნდში, სადაც უკეთესად იქნება, მისცემენ სათამაშო პრაქტიკას და შეუქმნიან კარგ პირობებს. თითოეულ ამ დეტალს აქვს მნიშვნელობა, რათა მან ნიჭის რეალიზაცია შეძლოს.

საერთოდ, ასეთია ჩვენი დამოკიდებულება "საბურთალოს" ნებისმიერი აღზრდილის ტრანსფერის მიმართ. სხვათა შორის, დავით ხოჭოლავაც არის ევროპული კლუბის დაინტერესების ობიექტი. მოგეხსენებათ, ხოჭოლავაც "საბურთალოს" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელია. მას იწვევენ "დინამო" და ფრანგული "რენი". ერთ კვირაში გაირკვევა, სად ითამაშებენ ეს ბიჭები და სხვა სიახლეებსაც გაიგებთ.

**მერაბ მამულაშვილი**



ვაკო ყაზაიშვილი (№11) ხორვატიასთან მატჩში

ქართული ფეხბურთი

● მომავალი დღეს იბადება

# ორჰუსი და ესბერგი ქართველებს დააკვირდებიან

"ვიტ ჯორჯიას" სასელექციო პოლიტიკა ყველასთვის ცნობილია – გუნდი თავის აღზრდილთა და გონივრული სკაუტური სისტემის საფუძველზე ახერხებს შევსებას, სატურნირო ცხრილში კი მუდმივად მაღალ პოზიციას ინარჩუნებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ კლუბის ახალგაზრდული გუნდები (სხვა სკოლების ფეხბურთელების დამატებით) ყოველ წელიწადს ჩრდილოეთ ევროპაში მოგზაურობენ და ახალგაზრდა ფეხბურთელები სკანდინავიურ ტურნირებზე კვალიფიკაციას იმაღლებენ.

გამორიცხულია, ასეთი ტურნირი ნიჭიერ მოზარდს სასიკეთოდ არ წაადგეს... საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამაც კურსი აქეთკენ აიღო და ჩვენმა ჭაბუკთა ნაკრებებმა უკვე რამდენჯერმე მიიღეს მონაწილეობა სკანდინავიურ თუ სხვა ქვეყნების შეჯიბრებებში.

სასიკეთო მაგალითების მოყვანა მრავლად შეგვიძლია, დღეს კი იქ წარმოჩენილთა რამდენიმე გვარს დავასახელებთ – **ზურაბ მენთეშაშვილი, ძმები დათუნაიშვილები, გოჩა ხოჯავა, რეზო გეწაძე, ირაკლი ლილუაშვილი, ილია პავლიაშვილი, მიხეილ ბარაბაძე, გიორგი ჭანტურია** და კიდევ ბევრი სხვა. მათ დანიურ "დანა ქაფსა" და შვედურ "გოთია ქაფზე" უასპარეზიათ, ხოჯავა და ჭანტურია ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებიც გამხდარან.

შარშან დანიაში სულაც ქართული ფინალი შედგა – 1997 წლიანებში ერთმანეთს ქართული გუნდები შეხვდნენ (ორივე "ვაკე-91"-ის სახელით ასპარეზობდა), მანამდე კი ერთმა მათგანმა ლონდონის "არსენალი" ნახევარფინალში 7:2 გაანადგურა და შვიდივე გოლი (!) **ირაკლი ბიძინაშვილმა** გაიტანა, ტურნირის საუკეთესო მოთამაშედაც ირაკლი დაასახელეს და ორივე თასიც ჩვენებმა ჩამოიტანეს (მწვრთნელები **ზაზა დიდებაშვილი, ნოდარ ჭელიძე, ვოვა მუსერიძე**), მეტიც, ბიძინაშვილის გარდა, "არსენალის" სკაუტებს **რატი არდაზიშვილი** და **სანდრო ალთუნაშვილიც** მოეწონათ და მათზე დაკვირვებას დღემდე განაგრძობენ...

"ვიტ ჯორჯიას" ახალგაზრდები წლეულსაც თბილისის რამდენიმე კლუბის ფეხბურთელებით გაძლიერდნენ და ორ ასაკში მიიღებენ მონაწილეობას – 1994 და 1995 წლიანებში. ზაზა დიდებაშვილი, რომელსაც სკანდინავიური ტურნირების 17-წლიანი გამოცდილება აქვს, წლეულსაც შეეცდება, რომელიმე თასი მოიგოს. დიდებაშვილს ამ ხნის განმავლობაში 7 ოქროს, 9 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი დაუგროვდა და ეს, ფაქტობრივად, ერთი სკოლის აღსაზრდელებისგან!

როგორც მან გვითხრა, წლეულს სიახლე ის იქნება, რომ ახალგაზრდა ქართველებზე დასაკვირვებლად დანიური "ორჰუსის" სკაუტებიც ჩავლენ. შესაძლოა, მათ რიგებს კლუბის სპორტული დირექტორი, წარსულში ცნობილი დანიელი ფეხბურთელი **ბრიან სტინ ნილსენიც** დაემატოს, რომელსაც **დავით დევდარიანმა** ქართველები ისე შეაყვარა, ახალ სეზონში უკვე ოთხი ქართველით დაიწყებენ "ორჰუსის" მთავარი და ახალგაზრდული გუნდები დანიის ჩემპიონატს.

დიდებაშვილის თქმით, ტურნირზე კვლავაც ჩადიან "არსენალის" სკაუტები და კიდევ ერთი დანიური გუნდის, "ესბერგის" წარმომადგენლები.

შვედეთის ქალაქ გეტებორგში ტურნირი 17-23 ივლისს ტარდება. ეს ტურნირი მსოფლიოში უდიდესია და მასში 1600 (!) გუნდი მონაწილეობს. მას მოსდევს დანიის ქალაქ ჰიორინგის "დანა ქაფი", რომელიც 25-31 ივლისს გაიმართება და 850 გუნდი ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**

● სემინარზე

# კვარაცხელია ყაზახებს წვრთნის



თბილისის "დინამოში" მუშაობის პარალელურად, უეფას მედიაოფიცერი **მამუკა კვარაცხელია** უეფაშიც აგრძელებს საქმიანობას – რამდენიმე დღის წინ იგი ასტანაში ჩავიდა და ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციის თხოვნით ასტანა-არენაზე იქაური ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგების პრესატაშეებს მედიასემინარი ჩაუტარა.

სემინარის შემდეგ კვარაცხელია ყაზახეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული ნაკრებების ევრო2012-ის ჩემპიონატის A ჯგუფის შესარჩევი მატჩის მედიახელმძღვანელი გახლდათ. ამის შემდეგ ქართველი მედიაოფიცერი უკრაინაში უკრაინა-საფრანგეთის ამხანაგურ მატჩზე გაემგზავრა მივლინებით.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს წარსულში გამოჩენილი ფეხბურთელის, ამჟამად ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თემურ ქეცბაიას **დედის** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებას გამოხატავს საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თემურ ქეცბაიას **დედის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის დიდ ოჯახს.

საფეხბურთო კლუბი „გაგრა“ და მისი პრეზიდენტი ბესიკ ჩიხრაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ თემურ ქეცბაიას **დედის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მცხეთა-მთიანეთის შიდა-ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია და მცხეთის მუნიციპალიტეტის სპორტის სამსახური მწუხარებას გამოთქვამს თემურ ქეცბაიას **დედის** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მერაბ ჟორდანია მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თემურ ქეცბაიას **დედის** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი, ყოფილი მსაჯი

**თამაზ ლორთქიფანიძე**

*და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.*

*დაკრძალვა 9 ივნისს 15 საათზე. მისამართი: ვაზისუბანი IV მ/რ, I კვ. მე-14 კორპ. II სადარბაზო.*

საქართველოს ჩემპიონატი

შეჯამება. ტორპედო

| 4 | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშვ. | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშვ. | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშვ. | ქ |
| | ტორპედო | 36 | 14 | 13 | 9 | 31 | 22 | 55 | 18 | 9 | 8 | 1 | 15 | 5 | 35 | 18 | 5 | 5 | 8 | 16 | 17 | 20 |



# „ტორპედოს“ ყველა მატჩი

**I ეტაპი**

**I წრე**

| | | |
|---|---|---|
| II ტური | ტორპედო-ოლიმპი | 1:1 |
| III ტური | ბაია-ტორპედო | 1:0 |
| IV ტური | ტორპედო-კოლხეთი | 0:0 |
| V ტური | სამტრედია-ტორპედო | 1:0 |
| I ტური | ზესტაფონი-ტორპედო | 2:1 |
| VI ტური | ტორპედო-სიონი | 0:0 |
| VII ტური | ვიტ ჯორჯია-ტორპედო | 1:0 |
| VIII ტური | სპარტაკი-ტორპედო | 1:2 |
| IX ტური | ტორპედო-დინამო | 1:1 |

**II წრე**

| | | |
|---|---|---|
| X ტური | ტორპედო-ზესტაფონი | 1:0 |
| XI ტური | ოლიმპი-ტორპედო | 0:0 |
| XIV ტური | ტორპედო-სამტრედია | 0:0 |
| XII ტური | ტორპედო-ბაია | 1:0 |
| XIII ტური | კოლხეთი-ტორპედო | 0:1 |
| XV ტური | სიონი-ტორპედო | 0:0 |
| XVI ტური | ტორპედო-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| XVII ტური | ტორპედო-სპარტაკი | 1:0 |
| XVIII ტური | დინამო-ტორპედო | 1:0 |

ს.კ. ტორპედო ქუთაისი
FC TORPEDO KUTAISI
1946

**II ეტაპი**

**III წრე**

| | | |
|---|---|---|
| XX ტური | ოლიმპი-ტორპედო | 1:1 |
| XXI ტური | ბაია-ტორპედო | 1:0 |
| XXII ტური | ტორპედო-კოლხეთი | 1:0 |
| XIX ტური | ზესტაფონი-ტორპედო | 1:0 |
| XXIII ტური | სამტრედია-ტორპედო | 0:1 |
| XXIV ტური | ტორპედო-სიონი | 2:0 |
| XXV ტური | ვიტ ჯორჯია-ტორპედო | 2:1 |
| XXVI ტური | სპარტაკი-ტორპედო | 2:2 |
| XXVII ტური | ტორპედო-დინამო | 0:0 |

**IV წრე**

| | | |
|---|---|---|
| XXVIII ტური | ტორპედო-ზესტაფონი | 0:0 |
| XXIX ტური | ტორპედო-ოლიმპი | 2:1 |
| XXX ტური | ტორპედო-ბაია | 2:0 |
| XXXI ტური | კოლხეთი-ტორპედო | 1:1 |
| XXXII ტური | ტორპედო-სამტრედია | 2:1 |
| XXXIII ტური | სიონი-ტორპედო | 1:4 |
| XXXIV ტური | ტორპედო-ვიტ ჯორჯია | 0:0 |
| XXXV ტური | ტორპედო-სპარტაკი | 1:0 |
| XXXVI ტური | დინამო-ტორპედო | 1:21 |

# „ტორპედოს“ ფეხბურთელების მონაგარი



გია გიგატაძე

**მწვრთნელები**

**რამაზ მუმლაძე (I-VII ტური)**
**გია გიგატაძე (VIII-XXXVI ტური)**

მეკარეები: ომარ მიგინეიშვილი-31, მაქსიმე ქვილითაია-6

მცველები: სევასტი თოდუა-36, დაჩი ფოფხაძე-34, თენგიზ ჩიკვილაძე-32 (4), თეიმურაზ ფარულავა-27, გიორგი გურული-12, ნოდარ მაჭავარიანი-9;

ნახევარმცველები: გიორგი დათუნაიშვილი-31 (1), დავით დილმელაშვილი-30 (1), თორნიკე თარხნიშვილი-29, მერაბ გიგაური-20 (1), გიორგი სეთურიძე-17, გივი ჩხეტიანი-17, გრიგოლ დოლიძე-16, ლაშა ქებაძე-16 (2), ნიკა კვასხვაძე-10, ვაჟა ლომაშვილი-9, ლევან ბაკურაძე-6, ლუკა გუგუჩია-4 (1), დავით კირკიტაძე-4, ლევან კირკიტაძე-2, ნიკოლოზ მაისურაძე-2;

თავდამსხმელები: ნიკოლოზ საბანაძე-23 (3), ვახტანგ კვარაცხელია-22 (2), ლაშა კემუხტაშვილი-14 (3), გიორგი მეგრელაძე-11 (7), რევაზ გოცირიძე-10 (5), ზაურ ხაჭიპერაძე-7 (1), ირაკლი ცნობილაძე-5, რევაზ კვერნაძე-4.



სევასტი თოდუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვრთნელის ძიებაში


გუს ჰიდინკი (მარცხნივ) და რომან აბრამოვიჩი

# ჩემო ლონდონ ქალაქო

თურმე **გუს ჰიდინკს** თურქეთის ფეხბურთის ასოციაციასთან დადებულ კონტრაქტში აქვს ერთი პუნქტი, სადაც წერია, რომ იმ შემთხვევაში თუ „ჩელსი" დაუძახებს, მას აქვს უფლება ხსენებული ხელშეკრულება გაწყვიტოს და ლონდონში გადაბარგდეს. ამიტომაცაა, რომ თურქული ფეხბურთის ხელმძღვანელები ბედს შეეგუვნენ და მოვლენათა განვითარებას მშვიდად ელიან. მოვლენები კი სავარაუდოდ ლოგიკურ დასასრულამდე ამ კვირის ბოლოს მივა, როდესაც 64 წლის ჰოლანდიელი „სტემფორდ ბრიჯზე" დაბრუნდება.

მოგეხსენებათ, ჰიდინკი „ჩელსის" მეპატრონე **რომან აბრამოვიჩთან** ახლოబლობს. 2009 წლის გაზაფხულზე ის დასავლეთლონდონელებს რამდენიმე თვით სათავეში ედგა, შემდეგ კი ერთგვარი, არაოფიციალური მრჩევლის პოზიცია შეინარჩუნა. ამბობენ, რომ, მთელი ორი წლის განმავლობაში, რუს მილიარდერს თურქეთის ნაკრების თავკაცი სათადარიგო, თუმცა, იმავდროულად, მეტად სასურველ ვარიანტად მიაჩნდა და ზუსტად იცოდა, რომ **კარლო ანჩელოტის** გაშვების შემთხვევაში მას დააბრუნებდა.

დაირხა ხმა, და ამის შესახებ ჩვენც მოგახსენეთ, რომ აბრამოვიჩი ჰიდინკს, როგორც გამოცდილსა და ასაკოვანს მაინც უფრო საფეხბურთო დირექტორის თანამდებობას უმზადებდა, თუმცა სპეციალისტის სამშობლოში, ახლობლებზე დაყრდნობით დაიწერა, რომ მას ფეხბურთელებთან ყოველდღიური მუშაობა მოენატრა, რისი საშუალებაც ნაკრების თავკაცობის დროს არ ჰქონდა. მეორე მხრივ, რა უნდა ჰიდინკს ერთია, მაგრამ რას ითხოვს „ჩელსის" სტრუქტურა" - მეორე. არ არის გამორიცხული, რომ ჰიდინკი, მართლაც, უფრო ზოგად ხელმძღვანელად დანიშნონ, ფეხბურთელების სადევნად კი შედარებით ახალგაზრდა მწვრთნელი მიიყვანონ.

თუ ამ ახალგაზრდას ჰოლანდიელებში დავუწყებთ ძებნას, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ ჰიდინკისთვის ყველაზე სასურველი, წარსულში საუცხოო თავდამსხმელი **მარკო ვან ბასტენია**, რომლისადმიც სამწვრთნელო საქმის ვეტერანს უდიდესი სიმპათია აქვს. თან, დღეს ვან ბასტენი უმუშევარია. თუმცა, მის გარდა არის კიდევ ორი ვარიანტი: ჰიდინკს **ფრანკ რაიკარდსა** და **რონალდ კუმანთან** უმუშავია და მათი ავანჩავანი იცის. თუმცა, მარტო ჰოლანდიელების განხილვა, რასაკვირველია, არ იქნება სწორი. გუშინაც ვწერდით, რომ ინგლისში აქტიურად ლაპარაკობენ „ფულჰემიდან" წასულ **მარკ ჰიუზზე**.

თუმცა, მოდი, ჯერ თურქეთის ფეხბურთის ფედერაციაში დავბრუნდეთ, სადაც ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა BBC-ს ასე უთხრა:

*„გუს ჰიდინკი ლონდონიდან იმდენად კარგ წინადადებას იღებს, რომ მასზე უარის თქმა შეუძლებელია. ჩვენ, თურქეთის ფეხბურთის ფედერაციაში ეს ძალიან კარგად გვესმის. ჰიდინკი გრძნობს, რომ „სტემფორდ ბრიჯზე" გასაკეთებელი ბევრი დარჩა. ის მწვრთნელია და ყოველდღიური მუშაობა, ინგლისის ჩემპიონობა და, ალბათ, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაც სურს. რა გაეწყობა, როგორც ჩანს, ბელგიასთან თამაში ბოლო იყო, რომლისთვისაც მან თურქეთის ნაკრები მოამზადა".*

ამბობენ, რომ აბრამოვიჩი თურქეთის ფეხბურთის ფედერაციას ჰიდინკის ბოლო წლისთვის კომპენსაციას, დაახლოებით 5 მილიონ ევროს გადაუხდის. იმასაც ამბობენ, რუს მილიარდერს ეჭვი აქვს, რომ თურქები ჰიდინკის სამსახურიდან გაშვებას გეგმავდნენ, ეს კი მის თავმოყვარეობაზე იმოქმედებდა და ამიტომ ხსენებული თანხით მწვრთნელს უბრალოდ გამოსყიდვას ფიქრობსო.

გამოსყიდვისა და საკომპენსაციო თანხის გადახდის გამოცდილება აბრამოვიჩს აქვს. ჯერ იყო და 2004 წელს, სამსახურიდან **კლაუდიო რანიერი** რომ გაუშვა, თავად გადაუხადა 6 მილიონი ფუნტი. შემდეგ, **ჟოზე მოურინიოში** „პორტუს" 2 მილიონი მისცა, სამ წელიწადში კი, იმავე მოურინიოს სანაცვლოდ, 18 მილიონი აილო. **ავრამ გრანტის** გაგდება „ჩელსის" მეპატრონეს 5 მილიონი ფუნტი დაუჯდა, **ლუიშ ფელიპე სკოლარისა** კი 12 მილიონი.

ბოლო მწვრთნელი, რომელიც დასავლეთლონდონელებმა გაუშვეს **კარლო ანჩელოტი** გახლდათ. მან წასვლისას თან 6 მილიონი ფუნტი წაიღო.

რაკი ანჩელოტი ვახსენეთ, ორი სიტყვით შევჩერდეთ და ვთქვათ, რომ იტალიელი ერთი წლით ფეხბურთისგან დასვენებას აპირებს. არადა, ამბობდნენ, რომ ის „ასტონ ვილას" ხელმძღვანელი გახდებოდა. კაცმა რომ თქვას, მის სახელს პრემიერლიგაში ახალაღზევებულ „ქუინზ პარკ რეინჯერსსა" და ჰიუზის მიერ მიტოვებულ „ფულჰემსაც" უკავშირებდნენ. ინგლისს გარეთ, კერძოდ კი სამშობლოში, „რომაზე" იყო ბევრი ლაპარაკი.

*„საქმეში დაბრუნებას არ ვჩქარობ, —* უთხრა ანჩელოტიმ იტალიურ გაზეთ „ლა სტამპას" *— რასაც ლაპარაკობენ, ყველაფერი გამოგონებულია. არც ინგლისიდან შემოუთავაზებია ვინმეს სამსახური და არც „რომას" უთქვამს რამე. ახლა ლონდონში ოჯახის საქმეების მოსაგვარებლად უნდა ჩავიდე, მერე კი ერთ წელიწადს დავისვენებ, თორემ 1995 წლის მერე, ექვს თვეს თუ არ ჩავთვლით, საერთოდ არ დამისვენია".*

თუმცა, მოდი, ანჩელოტი, როგორც „ჩელსის" წარსული, თავის გზაზე გავუშვათ და გუს ჰიდინკს დავუბრუნდეთ, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ „სტემფორდ ბრიჯზე" მუშაობა არ დაუწყია, გონება უკვე გუნდის გაძლიერებისკენ აქვს მომართული — ჰოლანდიელმა აბრამოვიჩს თანამემამულე ვარსკვლავის, 26 წლის **ვესლი სნეიდერის** შეძენა ურჩია. დავაზუსტოთ სნეიდერის ასაკი: ხვალ ის 27 წლისა გახდება.

მოგეხსენებათ, შემტევი ნახევარმცველი „ინტერში" თამაშობს და მის შესაძენად ერთმანეთს „მანჩესტერ იუნაიტედი" და „მანჩესტერ სიტი" ებრძვიან. ახლა, როგორც ჩანს, „დოლში" დასავლეთლონდონელებიც ჩაერთვებიან.

რა აბრკოლებს სნეიდერს თუნდაც „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლისგან? ის, რომ „ნერაძური" მას, ინგლისური სისტემით რომ ვთქვათ, კვირაში 200 000 ფუნტს უხდის, „იუნაიტედს" კი ამის შესაძლებლობა არ აქვს — ყოველ შემთხვევაში, თავად ინგლისური პრესა წერს ასე. შესაბამისად, სნეიდერს უფრო „სიტიში" ან „ჩელსიში" უნდა ველოდოთ.

ინგლისის ნაკრები

# დაღლა კი არა, ცუდი ტაქტიკა!

წარსულში ცნობილმა ინგლისელმა თავდამსხმელმა, „არსენალის" ლეგენდამ, **იან რაიტმა** ტრადიციულ სვეტში თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდის მწვრთნელ **ფაბიო კაპელოს** შეუტია. მან თქვა, რომ კაპელო პირველად როდი ცდილობს ცუდი შედეგი ფეხბურთელების გადაღლილობით გაამართლოს. მისმა ასეთმა ქცევამ აქეთ გადამღალაო, მწარედ ხუმრობს რაიტი, როდესაც შაბათს, „უემბლიზე" ჩატარებულ ინგლისელთა და შვეიცარიელთა (2:2) შეხვედრას ეხმიანება.

*„ჯობს ჩვენმა მწვრთნელმა დაღლაზე მეტად ტაქტიკასა და ფეხბურთელების სწორად შერჩევაზე ილაპარაკოს"* — დაწერა „სანის" მესვეტემ, რომელიც დარწმუნებულია, რომ შვეიცარიასთან მწვრთნელი ტაქტიკის განსაზღვრაშიც შეცდა და შემადგენლობის შერჩევაშიც.

*„ჩვენ, შაბათს ფრედ იმიტომ კი არ ვითამაშეთ, რომ ფეხბურთელები გადაღლილები იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ჯარიმიდან ორი გოლი გავუშვით, რაც არც მეტი, არც ნაკლები დანაშაულია. ასეთი რამ სანაკრებო კი არა, გაცილებით დაბალ დონეზეც არ ხდება.*

*ჩვენს ფეხბურთელებს აშკარად ეძინათ, მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე უფრო სალად თამაშობდა და გაცილებით შემოქმედებითი იყო. გახსოვთ ბოლო 25 წუთი? ეს იყო გამაღიზიანებელი მონაკვეთი, როდესაც ჩვენ მეტოქის კარზე შტურმი უნდა მოგვეწყო, სანაცვლოდ კი სულ ორჯერ თუ ვუჩხვლიტეთ მოწინააღმდეგეს. ისე, ერთი-ორი კაცი შესაძლოა მართლა დაიღალა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ჩამორჩენის გამოსასწორებლად ვხარჯავდით ენერგიას. ჩამორჩენით კი იმიტომ ჩამოვრჩით, რომ დასაწყისში ორი უხეში შეცდომა დავუშვით. კიდევ, ინგლისის ნაკრები შაბათს ბურთს ვერ აკონტროლებდა და ეს ძალიან მაშფოთებს".*



ეშლი იანგმა ინგლისის ნაკრები სირცხვილისგან იხსნა

მანჩესტერ იუნაიტედი

# ხელები შორს ჩიჩარიტოსგან!



ხავიერ ერნანდესი

მადრიდის „რეალს" „მანჩესტერ იუნაიტედის" მექსიკელი თავდამსხმელის, 23 წლის **ხავიერ ერნანდესის** შეძენა მოუნდა, რამაც ინგლისის ჩემპიონი დაძაბა და ფეხბურთელისთვის გასამრჯელოს გასამმაგება გადააწყვეტინა. ამბობენ, რომ მომავალი სეზონიდან ერნანდესი, იგივე ჩიჩარიტო, კვირაში 75 ათას ფუნტს მიიღებს.

„იუნაიტედი" „ასტონ ვილადან" 25 წლის **ეშლი იანგის** გადაბირებას ცდილობს და თანხები, ჯერჯერობით, ამ მიმართულებით ჰქონდა მობილიზებული. ეს გარემარბი სერ **ალექს ფერგიუსონს** 20 მილიონი ფუნტი უჯდება, სატრანსფერო თანხის გარდა კი ბუნებრივია, მისთვის ხელფასიც ექნება გადასახდელი, რის გამოც ვარაუდობდნენ, რომ ამ ეტაპზე ჩიჩარიტოს ჯამაგირს მხოლოდ გაუორმაგებდნენ, მაგრამ „რეალმა" თავისი ქნა.

ასეა თუ ისე, სერ ალექსს „ჩივასიდან" 6 მილიონ ფუნტად ნაყიდი ფორვარდის გაშვება არ ულირს და ყველა ღონეს ხმარობს, რათა მისი მსურველები მოიგერიოს. ცნობისათვის: ჩიჩარიტოს „იუნაიტედთან" ოთხწლიანი ხელშეკრულება აქვს დადებული.

საინტერესოა, რომ ეფექტური თამაშის მიუხედავად, ერნანდესი „მანჩესტერ იუნაიტედის" ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ანაზღაურების მქონე ფეხბურთელი იყო... უფრო სწორად კი ამწუთას ასეთადვე რჩება. საქმე ის გახლავთ, რომ ხელფასის გასამმაგების შესახებ „იუნაიტედის" ოფისში მექსიკელს მას მერე დაელაპარაკებიან, რაც ის კონკაკაფის „ოქროს თასიდან" დაბრუნდება. მანამდე კი, ჩრდილო და ცენტრალური ამერიკის ჩემპიონატში ჩიჩარიტომ უკვე გამოიჩინა თავი, სალვადორთან შეხვედრაში სამი გოლი შეაგდო.

რაც შეეხება იანგს, ის გუშინ შეხვდა „ასტონ ვილას" მეპატრონეს, ამერიკელ **რენდი ლერნერს** და უთხრა, რომ მისი, უმწვრთნელოდ დარჩენილი გუნდი (მოგეხსენებათ, „ასტონ ვილას" თავკაცი **ჟერარ ულიე** გულის ავადმყოფობის გამო სამსახურიდან წავიდა) ამბიციებს ვეღარ უკმაყოფილებს. იანგს, რომელსაც ბოლო ხანს ინგლისის ნაკრებში იძახებენ და შაბათს შვეიცარიას გოლიც გაუტანა, საკუთარი შესაძლებლობების ჩემპიონთა ლიგაში გამოცდა სურს. კიდევ, იანგის „ასტონ ვილაში" ყოფნა-არყოფნას ერთი თავისებურება აქვს: მას ბირმინგემელებთან ხელშეკრულების ვადა გაისად ამ დროს ეწურება და, ბუნებრივია, ლერნერს ურჩევნია ფეხბურთელი დღეს 20 მილიონად გაყიდოს, ვიდრე ერთი წლის შემდეგ პენიც ვერ იშოვოს. ერთი სიტყვით, თუ ქვეყანა არ გადაბრუნდა, ამ კვირის ბოლოს იანგს ჯიბეში, უკვე „მანჩესტერ იუნაიტედის" თანამშრომლის ბარათი უნდა ედოს.

შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს" განახლება-გადახალისების ფართო გეგმა აქვს შედგენილი, რომლის პირველი ნაწილი „ატლეტიკო მადრიდის" ახლა უკვე ყოფილი მეკარე **დავიდ დე ხეა** გახლდათ. იანგის შემდეგ ფერგიუსონი „ევერტონს" მიადგება და ნახევარმცველ **ჯეკ როდუელში** 25 მილიონ ფუნტს შესთავაზებს, თუმცა ამბობენ, რომ სერ ალექსს „ასტონ ვილასგან" 21 წლის მცველის, **კიერან კლარკის** გადაბირებაც უნდა. ეს ახალგაზრდა, რომელზეც ამ ბოლო დროს აქტიურად ალაპარაკდნენ, სავარაუდოდ, 7 მილიონი ფუნტი ღირს.

ამბობენ, რომ ამ ყველაფრის განხორციელების შემდეგ, „მანჩესტერ იუნაიტედს" ორი ფეხბურთელის ყიდვაც ენდომება, რომელთაგან ერთი, წესით, თავდამსხმელი უნდა იყოს.

ვარსკვლავთა ცხოვრება

# ქოჩორა ბიჭი უეინი

**უეინ რუნი** შვებულებაში წავიდა, მაგრამ, მანამდე თმა გადაინერგა. „მანჩესტერ იუნაიტედის" 25 წლის ვარსკვლავი აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე, დალილავებული და სისხლით მოთხუპნული ჩანდა — ასე სცოდნია ოპერაციას. სამაგიეროდ, მომავალი სეზონიდან ის ფანების წინაშე ძველებურად მელოტი აღარ წარდგება.

ინგლისური ფეხბურთის გამორჩეულმა ფიგურამ ორი დღე ცენტრალურ ლონდონში, „დედოფალი ანას ქუჩის მედიცინის ცენტრში" გაატარა. რასაკვირველია, ასეთი ამბის დამალვას აზრი არ ჰქონდა და ამიტომაც იმთავითვე გულწრფელად უამბო ყველაფერი თავის მეგობრებს სოციალურ ქსელ „ტვიტერში". ცნობისათვის: რუნის „ტვიტერში" 770 000 მეგობარი ჰყავს.

*„თმა გადავინერგე, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ"* — დაწერა რუნიმ.

მოგვიანებით, რუნიმ იმავე „ტვიტერში" თავისი ხელით გადაღებული ფოტოც გამოაქვეყნა და ასეთი ტექსტი მიაწერა:

*„ყველას გაუმარჯოს. აი, ჩემი თავი. ჯერ ცოტა სისხლიანია, მაგრამ არა უშავს. ეს ჩვეულებრივი რამ არის, ასეც უნდა იყოს. რამდენიმე თვეში თმა გამეზრდება".*

რუნის დაუყოვნებლივ გამოეხმაურა „ტვიტერის" დიდი ჭია, „მანჩესტერ იუნაიტედის" 32 წლის ცენტრალური მცველი **რიო ფერდინანდი**. მან დაწერა:

*„ერთი სული მაქვს, როდის გნახავ ვარჯიშის შემდეგ სარკესთან დამდგარს, რათა „ალა რონალდო" ვარცხნილობა დაიყენო".*

რუნიმ უპასუხა: *„ჰა, ჰა. მანამდე ჯერ თვეებია".*

შემდეგ კი ვარსკვლავი მეუღლე **კოლინთან** და ორი წლის ვაჟ **კაისთან** ერთად, ბარბადოსზე გაემგზავრა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**


უეინ რუნი

ეროვნული ბიბლიოთეკა



● ინტერი



დუგლას მაიკონი




კაკა

# გაძეტა სუპერბარტერს აანონსებს

## მატერაცი არჩევანის წინაშე

„გაძეტა დელო სპორტი" ძალიან საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს, რომლის მიხედვითაც, მადრიდის „რეალის" და მილანის „ინტერის" მესვეურები სუპერბარტერს ამზადებენ. ლაპარაკია იმაზე, რომ **კაკა** დაბრუნდეს იტალიაში და „ნერაძურის" ფორმა" მოირგოს, **დუგლას მაიკონმა** კი ძველი ოცნება აისრულოს და „სამეფო კლუბში" გადაბარგდეს.

მოვლენათა ასეთი განვითარებით ბევრია დაინტერესებული, ყველაზე მეტად კი მაინც ზემოხსენებული მაიკონი, რომელიც ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს ლამობდა ესპანურ გრანდში გადასვლას. მაშინ დუგლასს საუკეთესო დროება ედგა და მადრიდელთა ინტერესის სფეროშიც შედიოდა, მაგრამ მხარეები სატრანსფერო ფასზე ვერ შეთანხმდნენ და გარიგება არ შედგა. მას შემდეგ, მაიკონმა თითქოს ფეხბურთის თამაშის მოტივაცია დაკარგა და გასულ სეზონში ბევრი ვერაფრით გამოირჩა. მეტიც, რამდენიმე შეხვედრაში სულაც გაბითურდა და ამაში დასარწმუნებლად „ტოტენჰემთან" გამართული ჩემპიონთა ლიგის პაექრობები შეგვიძლია გავიხსენოთ. მოკლედ, ბრაზილიელმა მცველმა აშკარად მოუკლო და დღეს, მასზე ნაკლები მოთხოვნაა. ამ მოსაზრებას ფეხბურთელის პირადი აგენტი, **ანტონიო კალიენდო** არ ეთანხმება და მას აუცილებლად გადავცემთ სიტყვას, თუმცა იქამდე კაკაზე ვთქვათ, შესაძლო ბარტერის მეორე მონაწილეზე...

**კარლო ანჩელოტის** ფორმაციის „მილანში" კაკა ფენომენალურად თამაშობდა და გადაუჭარბებლად ვიტყვით, რომ „ბარსელონაში" მოასპარეზე **რონალდინიოსთან** ერთად საუკეთესო იყო მსოფლიოში. სწორედ ამიტომ, რიკარდოს გადასაბირებლად „რეალის" მესვეურებმა ყველაფერი გააკეთეს და მიაღწიეს კიდეც მიზანს. შედეგად, კაკამ თამაშს უკლო, ძირითად შემადგენლობაში ვერ დაიმკვიდრა ადგილი და დღეს ჩრდილშია მოქცეული. წესით, კაკასაც უნდა სურდეს გარემოს შეცვლა, მაგრამ აი რამდენად მისაღები იქნება მისთვის „ინტერის" ვარიანტი, ძნელი სათქმელია - ეს ალბათ ყველაზე უფრო დიდი კითხვის ნიშანია მთელ ამ ისტორიაში.

„გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, „ინტერის" *მესვეურები მზად არიან მადრიდელ კოლეგებს კაკას სანაცვლოდ დუგლას მაიკონი და 15 მილიონი ევრო შესთავაზონ - ამ ამბავს დუგლასის პირადი აგენტი, ანტონიო კალიენდო ადასტურებს: „დასამალი არაფერია, „ინტერის" მესვეურებს ძალიან უნდათ კაკას დამატება და გამომდინარე იქიდან, რომ მაიკონს „რეალში" სურს გადასვლა, ასეთი ბარტერის იდეა წარმოიშვა. რამდენად რეალურია? - არარეალურს ვერაფერს ვხედავ და ჩემი აზრით, საკმაოდ დიდია იმის შანსი, რომ გარიგება შედგეს. ის, რომ დამატებით კიდევ 15 მილიონ ევროზეა ლაპარაკი, ნორმალურია, რადგან კაკა პლეიმეიკერია, შემტევი ფეხბურთელები კი ყოველთვის უფრო ძვირად ფასობენ".*

მაიკონი რომ ბარტერზე თანახმაა, კალიენდოს სიტყვებითაც დასტურდება, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კაკას პოზიციაა ყველაზე უფრო საინტერესო. რიკარდო წლების განმავლობაში იყო „მილანის" ლიდერი და მისთვის რთული იქნება „ინტერში" გადასვლასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება. მართალია, მილანურ გრანდებს ისეთი მტრობა არ აქვთ, როგორც ვთქვათ „რეალს" და „ბარსელონას", ფეხბურთელებიც ბევრი გვინახავს „როსონერიდან" „ნერაძურიში" გადასული და პირიქით, მაგრამ კაკა მაინც სხვა შემთხვევაა. ეს ფეხბურთელი სიმბოლო გახლდათ „შავ-წითლების" და შესაბამისად, მისი „შავ-ლურჯთა" ბანაკში გადანაცვლება მთლად უმტკივნეულოდ ნამდვილად ვერ ჩაივლის. მეორე მხრივ, კაკას და „ინტერის" ამჟამინდელ მწვრთნელს აქვთ განსაკუთრებულად თბილი ურთიერთობა - სწორედ **ლეონარდომ** შენიშნა რიკარდო ბრაზილიის ჩემპიონატის ერთ-ერთი პაექრობისას, მასზე დაკვირვება გააგრძელა და „მილანის" მთავარ მწვრთნელთან რეკომენდაცია გაუწია. მაშინ, ლეო „როსონერის" სელექციონერი გახლდათ სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე და კაკას ევროპაში გადმობარგება სწორედ მისი დამსახურებაა. კაკას პოზიცია ალბათ სულ მალე გახდება ცნობილი, იქამდე კი „ინტერის" სპორტულ დირექტორს, **მარკო ბრანკას** მოვუსმინოთ:

*„მართალია, კაკა „რეალში" საუკეთესო კუთხით ვერ წარმოჩნდა, მაგრამ ის მაინც ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელია მსოფლიოში. შესაბამისად, სურვილი ნამდვილად დიდი გვაქვს, რომ რიკარდო „ინტერის" ამუნიციით ვიხილოთ. მესმის, რომ მას „მილანში" აქვს კარიერის დიდი ნაწილი გატარებული, მაგრამ ამაში ვერ ვხედავ განსაკუთრებულ პრობლემას. ზლატან იბრაჰიმოვიჩს თუ შეუძლია „როსონერიში" ასპარეზობა, რატომ არის წარმოუდგენელი კაკას „ინტერისტობა"? - ასე რომ, თუ საშუალება მოგვეცა, ბრაზილიელ შემტევს დიდი სიამოვნებით გადავიბირებთ. რაც შეეხება გავრცელებულ ხმებს სუპერბარტერის შესახებ, მოლაპარაკების პროცესი ჯერ არ დაწყებულა, თუმცა მოვლენათა ასეთ განვითარებას ნამდვილად ვერ გამოვრიცხავ".*

„ინტერთან" დაკავშირებით კიდევ ერთი ინფორმაცია გავრცელდა, რომლის მიხედვითაც მომდევნო სეზონიდან გუნდის შემადგენლობას **მარკო მატერაცი** გამოაკლდება. მსოფლიოს ჩემპიონი აგვისტოში 38 წლის გახდება და როგორც თავად აცხადებს, შესაძლოა კარიერა დაასრულოს. მოვუსმინოთ მატერაცის და ყველაფერს უკეთესად გავიგებთ: *„ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ „ინტერი" ჩემთვის მეორე ოჯახია, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და როგორც ჩანს, „შავ-ლურჯ" მაისურს ველარასოდეს მოვირგებ. ეს ბუნებრივიც არის, რადგან ევროპული ფეხბურთის გრანდები 38 წლის მოთამაშეზე ვერ გააკეთებენ აქცენტს. დასრულდა თუ არა სეზონი, შევხვდი მასიმო მორატის და მასთან ძალიან გულთბილად ვისაუბრე. მითხრა, რომ კარიერის დასრულების შემდეგ, დიდი სიამოვნებით მიმიწვევს კლუბში სამუშაოდ და სავარაუდოდ, დირექტორთა საბჭოში შემიყვანს. ეს ყველაზე სასურველი სამსახური იქნება მას შემდეგ, რაც ბუცებს ლურსმანზე ჩამოვკიდებ, მაგრამ ჯერ არ ვიცი, მსურს თუ არა კარიერის დასრულება. გარკვეული პერიოდი ახალ შეთავაზებებს დაველოდები და თუ რომელიმემ დამაინტერესა, კიდევ ერთი სეზონით გავაგორებ ბურთს, აი შემდეგ კი უკვე სიამოვნებით დავთანხმდები მორატის წინადადებას".*

**P.S.** *საგულისხმოა, რომ გუშინ გვიან ღამით ამ ბარტერის შესაძლებლობა არ დაადასტურა „ინტერის" ხელმძღვანელობამ, „რეალის" ხელმძღვანელებს კი ჯერ კომენტარი არ გაუკეთებიათ.*

● მილანი

# ჰამშიკი: მადლობა გალიანის, მაგრამ...

## რობინიო: რად გვინდა ახალი შემტევი?

იტალიური მედია უკვე დიდი ხანია იუწყება იმის შესახებ, რომ „მილანის" მესვეურებს შემტევი ფეხბურთელის გადაბირება აქვთ განზრახული. კანდიდატი ბევრია, თუმცა ყველაზე ხშირად **მარეკ ჰამშიკის** გვარი გვესმის, რომელიც „ნაპოლიში" ასპარეზობს და გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. რამდენიმე დღის წინ, **ადრიანო გალიანიმ** ღიად განაცხადა, რომ სლოვაკის გადასაბირებლად ძალღონეს არ დაიშურებს. თავად ჰამშიკი ჯერჯერობით არსად წასვლაზე არ ფიქრობს და შემდეგს აცხადებს:

*„ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩემით ასეთი მასშტაბის გუნდია დაინტერესებული, მაგრამ არა მგონია, რომ ამ ზაფხულს ნეაპოლი დავტოვო. ბევრი ვიშრომეთ იმისთვის, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოგვეპოვებინა და მინდა ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე „ნაპოლის" შემადგენლობაში ვითამაშო. ამ გუნდში შესანიშნავად ვგრძნობ თავს, ქალაქსაც კარგად შევეწყვეთ და ამ ეტაპზე გარემოს გამოცვლის სურვილი არ მაქვს. ისე კი, მადლობა გალიანის, რომელმაც ჩემი მისამართით თბილი სიტყვები არ დაიშურა".*

„მილანის" მესვეურთა ასეთი ინტერესი შემტევი ფეხბურთელების მიმართ, ძალიან აკვირვებს **რობინიოს** - მოვუსმინოთ ბრაზილიელ თავდამსხმელს: *„ჩემი აზრით, „როსონერის" საუკეთესო თავდასხმა ჰყავს მსოფლიოში და არ მესმის, რა საჭიროა ახალი შემტევი ფეხბურთელის ყიდვა. ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ალეშანდრე პატო მომდევნო სეზონს ბრწყინვალე ფორმაში შეხვდებიან, თანაც ერთმანეთს იდეალურად უგებენ და წარმომიდგენია, რა დღეში ჩააგდებენ მეტოქე მცველებს. იგივე შეიძლება ითქვას ანტონიო კასანოზე, რომელიც თანდათან უფრო გაიხსნება. არ უნდა დაგვავიწყდეს ფილიპო ინძაგი, რომელიც გამოჯანმრთელდა და ახალ სეზონს დიდი ენთუზიაზმით ელოდება. მეც არნახულად მოტივირებული ვარ და ვგრძნობ, რომ ერთად ყველაფრის მოგება შეგვიძლია".*




მარეკ ჰამშიკი

● სავარაუდო ტრანსფერი

# იუვე ვუჩინიჩით დაინტერესდა

იტალიელი სპორტული ჟურნალისტების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „იუვენტუსის" მესვეურებმა **მირკო ვუჩინიჩი** ამოიღეს სამიზნეში და მის გადასაბირებლად უახლოეს პერიოდში მუშაობას დაიწყებენ. სატრანსფერო ფანჯარა პირველ ივლისს იწყება და ვერ დავიჩემებთ, ტრანსფერი დღე დღეზე შედგებაო, მაგრამ ტურინელთა განზრახვა რომ სერიოზულია, კლუბის სპორტული დირექტორის სიტყვებიდან კარგად ჩანს. მოვუსმინოთ **ჯუზეპე მაროტას**:

*„გუნდს გაძლიერება ყველა რგოლში სჭირდება, განსაკუთრებით კი შეტევით ფაზაში. ალესანდრო მატრიმ გაამართლა ჩვენი მოლოდინი და ის აუცილებლად დარჩება „იუვენტუსში", მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. გამომდინარე აქედან, სრულიად ბუნებრივია, რომ მირკო ვუჩინიჩით ვართ დაინტერესებულნი და მის გადაბირებაზე მუშაობას ნამდვილად ვაპირებთ. ბევრი რამე იმაზე იქნება დამოკიდებული თუ რა პოზიცია ექნებათ მირკოს მიმართ „რომას" მესვეურებს. თუ „ჯალოროსის" ახალი მწვრთნელის გეგმებში ჩერნოგორიელი ჩაჯდება, მაშინ მიზნის მიღწევა გაგვიჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ვუჩინიჩის გადაბირების მეტი შანსი გვექნება. სატრანსფერო ფასი? - ამის შესახებ ლაპარაკი დღეს უტოპიაა, რადგან რომაელებთან ჯერ მოლაპარაკების პროცესი არ დაწყებულა".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**



მირკო ვუჩინიჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩი

# ფეხბურთი, კალათბურთი თუ ჰოკეი?

**უკრაინა-საფრანგეთი 1:4 (0:0)**

**გოლები:** ტიმოშჩუკი 1:0 (53), გამეირო 1:1 (58), მარტენი 1:2 (87), კაბული 1:3 (89), მარტენი 1:4 (90)

**უკრაინა:** პიატოვი – კუჩერი (ხაჩერიდი 32), შევჩუკი, იშჩენკო, კობინი - ტიმოშჩუკი, გუსევი (ხუდობიაკი 73), როტანი, ნაზარენკო (კოჟანოვი 63), - დევიჩი (სელეზნიოვი 68), ვორონინი (მილევსკი 61)

**საფრანგეთი:** მანდანდა – რევეიერი, კაბული, სახო (აბიდალი 76), ევრა – კაბაი (მარტენი 76), მვილა, მატუიდი (დიაბი 77), მენეზი (რიბერი 65) – რემი (ბენზემა 65), გამეირო (მალუდა 65)



ფრანგებმა უკრაინელებს წესი 5 წუთში აუგეს

პირველი ტაიმი საკმაოზე მეტად მოსაწყენი გამოდგა, რადგან არ შექმნილა პრაქტიკულად არც ერთი სახიფათო მომენტი. რაღაც ხიფათის მაგვარი მხოლოდ პირველი ტაიმის მიწურულს დავინახეთ, ჯერ ერთ, მერე მეორე გუნდის კარებთან, თუმცა მეკარეები მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ. ჯერ **ანდრეი გუსევმა** წაართვა მეტოქეს ბურთი და **სტივ მანდანდას** მზადყოფნა შეამოწმა შორიდან, შემდეგ კი **კევინ გამეირომ** მოუქნევა ფეხა **ანდრეი პიატოვს.**

ყველაფერი საინტერესო მეორე ნახევარში მოხდა. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს: **ანდრეი ვორონინმა ანატოლი ტიმოშჩუკს** პასი მოძრაობაში გააყოლა, ამ უკანასკნელმა რამდენიმე მეტრით წინ წაიწია და კარში დაახლოებით 27-28 მეტრიდან ყუმბარისებურად დაარტყა. მანდანდას ნახტომი ამაო გამოდგა - 1:0. ანგარიში ოთხ წუთში გათანაბრდა. თავის თავზე თამაში გამეირომ აიღო. "ლორიანის" თავდამსხმელმა ბურთი საჯარიმოსთან ახლოს მიიღო, სწრაფი მოძრაობით მცველებს დაუსხლტა, შეიჭრა საჯარიმოში და მძლავრად დასცხო. სტუმრებმა ამის შემდეგ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მაღალი კლასის გუნდი ჰყავთ. მათ ჯერ გარკვეული უპირატესობა მოიპოვეს, შემდეგ მეტოქის საბოლოოდ "დასასჯელად" ერთდროულად სამი სუპერვარსკვლავი შეუშვეს მინდორზე. ლაპარაკია **ფლორან მალუდაზე, ფრანკ რიბერისა** და **კარიმ ბენზემაზე**. ამით ფრანგთა შეტევებმა კიდევ უფრო მეტი ხიფათი შეიძინა. მარტო ერთმა ბენზემამ 25 წუთში ორი რეალურზე რეალური საგოლე მომენტის გამოყენება ვერ შეძლო. მატჩის დამთავრებამდე 5-6 წუთით ადრე კი დაიწყო ის, რამაც უკრაინის ნაკრები პრაქტიკულად მიწასთან გაასწორა. ამ დროში მასპინძლებმა სამი გოლი გაუშვეს. ჯერ იყო და "სოშოს" **მარვენ მარტენმა** 87-ეზე ბურთი მიიღო, ცენტრისკენ შეიწია და პიატოვს ახლო, დაბალ კუთხეში დაურტყა - 1:2. გოლკიპერს ამ დარტყმაზე რეაქცია ბევრად ადრე მართებდა – ნახტომი დაგვიანებული აღმოჩნდა. არც სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივარი და არც მასპინძელი ფეხბურთელები ჯერ გონს ბოლომდე არ იყვნენ მოსულნი, როცა პიატოვმა კიდევ გაუშვა. კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს იდეალურ პოზიციაზე დაუხვდა **იუნეს კაბული** და 1:3. მსაჯისგან კომპენსირებულ წუთებზე კი იმავე მარტენმა ბენზემას პასს უბრალოდ ფეხი დაუხვედრა და ბურთი ხარიხის ქვემოთ შეაცურა - 1:4.

იმედია, რომ უკრაინის ნაკრების თავკაცი **ოლეგ ბლოხინი** ამ მატჩიდან სათანადო დასკვნებს გამოიტანს და გუნდს სხვა გრანდებთან სათამაშოდ უკეთ მოამზადებს. თუ არადა, მის გუნდს სხვებთანაც ასეთი ბედი ელოდება. ხოლო თავის დაზღვევა და მატჩის წინადღეს იმის ძახილი, რომ საფრანგეთი გრანდია, ის აღმავლობის გზაზე დგას და მასთან ბრძოლა ძნელია, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება სამივე პოსტულატს დაეთანხმო, არაფრის მომტანია.

"სამფეროვანთა" თავკაცმა **ლორან ბლანმა** შეგირდების დიდებულ გარჯაზე შემდეგი კომენტარი გააკეთა: *"როცა გუნდი იგებს, მწვრთნელი ყოველთვის მოხარულია, რომ ეს მოხდა. დღეს კი მე ორმაგად ბედნიერი ვარ. პირველი ტაიმის შემდეგ ჩვენ მოვახერხეთ და გარდავისახეთ, მოვუმატეთ თამაშის ხარისხს და რამდენიმე სწორი შეცვლაც გავაკეთეთ. ამ ყველაფერმა შედეგად ის მოიტანა, რომ სასურველი შედეგი მივიღეთ. თანაც არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ თავიდან ვაგებდით კიდეც. თუმცა აქვე აუცილებლად უნდა ვთქვა, დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინის ნაკრები ევრო 2012-ისთვის ბევრად მოუმატებს. ვიცი, რომ სულ სხვა დონეზე ათამაშდება".*

რაც შეეხება ოლეგ ბლოხინს... თავდაპირველად სიბრაზისაგან მას დანა პირს არ უხსნიდა, შემდეგ კი ალაპარაკდა: *"სტადიონიდან მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე რომ გავსულიყავით, ვერასოდეს დავიჯერებდი, რომ ეს შეხვედრა წავაგეთ და თანაც 1:4. თუ რამეთი კმაყოფილი ვარ, ეს წინა ხაზის თამაშია. პრინციპში საფრანგეთზეც იმავეს თქმა შეიძლება. მისი თავდასხმა დაცვას ბევრად ჯობდა. ყველაფერი ისე ვითარდებოდა, რომ მატჩი ფრედ უნდა დასრულებულიყო. ჩვენ კი მოვახერხეთ და თამაში სამ წუთში წავაგეთ. ეს რაღაც გაუგონარი რამაა. კი, მაგრამ ჩვენ ხომ ჰოკეისა და კალათბურთს არ ვთამაშობთ? გუნდმა კონცენტრაცია თავიდან ბოლომდე დაკარგა. თამაშის შედეგი ჩემი პასუხისმგებლობის საკითხია, მაგრამ არც ფეხბურთელებმა უნდა დაივიწყონ პასუხისმგებლობის მათი წილი. დღეს ზუსტად ის მოხდა, რაზეც მატჩამდე ვლაპარაკობდი. სასურველი შედეგის მისაღებად რესურსი არ გვეყო. ხომ ნახეთ, შეცვლებმა შედეგი ვერ გამოიღო, საფრანგეთმა კი პირიქით, სწორედ შეცვლების შემდეგ გარდაქმნა მატჩის ხასიათი".*

ევრო 2012

# მულტიფუნქციური პოლონური ობიექტები

პოლონეთში ევრო 2012 წლის ჩემპიონატის თანამასპინძლები არა უბრალოდ სტადიონებს აშენებენ, არამედ მულტიფუნქციურ ობიექტებს. ეს ყოველივე მათ ხელს შეუწყობს, რომ ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ახალ ნაგებობებს დანიშნულება გამოუნახონ და მათზე დახარჯული თანხები უფრო ადვილად ამოიღონ, - განაცხადა უკრაინაში პოლონეთის საელჩოს მრჩეველმა **პაველ გემბსკიმ**. *"შეიძლება ითქვას, რომ ის, რასაც ჩვენი მთავრობა აშენებს არა უბრალოდ სტადიონებია, არამედ მულტიფუნქციური დანიშნულების ობიექტები. იქ ფეხბურთის გარდა მომავალში შესაძლებელი იქნება კონცერტების გამართვა, ასევე სხვა ისეთი ღონისძიებების მასპინძლობა, რომელსაც არაფერი საერთო არ ექნება სპორტთან. ვარშავაში ის გაზონი, რომელზეც ჩემპიონატის მატჩები გაიმართება, არ იქნება მუდმივი, რადგან განსაზღვრულია, რომ ეს არენა უფრო მეტად არასაფეხბურთო ღონისძიებებით იქნება დატვირთული. ჩვენ გავითვალისწინეთ ის მწარე გამოცდილება, რაც პორტუგალიასა და სამხრეთ აფრიკას შეექმნათ ჩემპიონატების მასპინძლობის შემდგომ წლებში. მათ არ იცოდნენ, რა ექნათ იმ სტადიონებისთვის, რომელზეც ფეხბურთები იშვიათადღა იმართებოდა. თანხა, რასაც ჩვენი ქვეყანა სტადიონების მშენებლობასა თუ რეაბილიტაციაში მთლიანად დახარჯავს, ზუსტად 470 მილიონ ევროს იქნება,"* – დასძინა ჩინოსანმა.

რახან ლაპარაკი ევრო 2012-ზე გვაქვს, აქვე მოგაწვდით ერთ მეტად საინტერესო ინფორმაციას: კიევში საქალაქო ადმინისტრაციის შენობის წინ კიევის მერიამ დაასრულა უზარმაზარი საათის მონტაჟი, რომელიც ევროპის ჩემპიონატამდე დარჩენილ დროს უკუთვლით აღრიცხავს. აღნიშნულ მონუმენტს დღეს, 8 ივნისს საზეიმო ვითარებაში გახსნიან. აღსანიშნავია, რომ კონსტრუქცია მთლიანად 13 ტონაა და მონოლითური ფუნდამენტი გააჩნია. ის დამაგრებულია სამმეტრიან საყრდენზე და გულშემატკივარს შეახსენებს, რამდენი დღე, საათი და წუთი დარჩა ჩემპიონატის გახსნამდე.

ფულჰემი



მარტინ იოლი

# ფულჰემის არცთუ ისე იოლი გზა

ლონდონის "ფულჰემმა" თავისსავე ვებგვერდზე დაადასტურა, რომ გუნდს მომავალი სეზონიდან ჰოლანდიელი **მარტინ იოლი** ჩაიბარებს. ამ პოსტზე ის უელსელ **მარკ ჰიუზს** შეცვლის, ვინც "ქრეივენ კოტეჯი" სულ რაღაც ერთი კვირის წინ დატოვა. იოლი კლუბის ბაზაზე ჯერ არ გამოცხადებულა, თუმცა ინგლისში მალე ჩავა და მუშაობას შეუდგება. 55 წლის სპეციალისტმა ლონდონელებთან ახალი 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, სადაც აღნიშნულია, რომ თუკი თანამშრომლობით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩება, ხელშეკრულება ავტომატურად 12 თვით გაგრძელდება. *"მე ბედნიერი ვარ, რომ ამიერიდან "ფულჰემში" მუშაობა მომიწევს. ეს გუნდი ხომ იმითია ცნობილი, რომ ყოველთვის შემტევ და ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა. ეს არის ორგანიზაცია, რომელსაც სოლიდური საფუძველი აქვს ჩაყრილი და უერთგულესი ფანები ჰყავს. მინდა, რაც შეიძლება მალე გავხდე ამ დიდი ოჯახის წევრი. მადლობა ყველას, ვინც მე ამხელა ნდობა გამომიცხადა,"* – განუცხადა კლუბის ვებგვერდს მწვრთნელმა.

ჰოლანდიელისთვის ეს არ იქნება პირველი კლუბი ინგლისურ ლიგაში. 2004-დან 2007-მდე ის ხომ "ტოტენჰემს" ედგა სათავეში. მისი ხელმძღვანელობით "დეზებმა" ორჯერ დაიკავეს იმ დროისთვის სარეკორდო მე-5 ადგილი (რაც შარშან **ჰარი რედნაპმა** გააუმჯობესა). მას უმუშავია მშობლიური ჰოლანდიის ლიგის უამბიციო კლუბებში, კერძოდ "როდასა" და "ვაალვაიკში", ასევე გერმანულ "ჰამბურგში". იოლის კარიერის პიკად შეიძლებოდა "აიაქსი" ქცეულიყო, მაგრამ **იოჰან კრუიფის** თქმისა არ იყოს, მას ამისთვის აიაქსელობა არ ეყო და ასეთი დიდი სახელის მქონე კლუბში შექმნილ წნეხს ვერ გაუძლო. შესაბამისად, ის ამსტერდამული გრანდიდან დროზე ადრე გაუშვეს.

მარსელის ოლიმპიკი

# გაბი წავიდა, დეიანმა, არაო

## თანხმობა მხოლოდ მორგანმა თქვა

მარსელის "ოლიმპიკის" ხელმძღვანელობა დამსახურებულ ვეტერანს, არგენტინელ ცენტრალურ მცველ **გაბრიელ ჰაინცეს** კონტრაქტის გაწყვეტაზე შეუთანხმდა. გუშინდელს აქეთ ის თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს და მასთან თანამშრომლობის მსურველ კლუბებს ფრანგულ კლუბთან მოლაპარაკებებში ჩაბმა აღარ დასჭირდება.

ერთი ფეხბურთელი წავიდა, მეორემ კი "ველოდრომზე" კარიერის გაგრძელების პერსპექტივა იუარა - "ინტერის" 33 წლის სერბმა ნახევარმცველმა **დეიან სტანკოვიჩმა** ფრანგების შეთავაზებაზე თავაზიანი უარი თქვა. მას განზრახული აქვს, კარიერა სწორედ "ნერაძურიში" დაასრულოს. მიუხედავად იმისა, რომ მათი თანამშრომლობა არ შედგა, მან მადლობა გადაუხადა ფრანგული კლუბის წარმომადგენლებს, რომ იგი ასე დააფასეს. 3-წლიანი კონტრაქტი, წელიწადში 2 მილიონი ევროს ანაზღაურებით, ვეტერანისთვის დიდი პატივიაო, - განუცხადა მან "გლობალ სპორტსს".

ჰაინცეს ან სტანკოვიჩის შემცვლელიაო, ამის თქმა შეუძლებელია, მაგრამ "მარსელის" ფანებისთვის მაინც სასიამოვნო ინფორმაცია გვაქვს: "ლორიანის" ყოფილმა ნახევარმცველმა **მორგან ამალფიტანომ** სამხრეთელებთან კონტრაქტზე მოაწერა ხელი, რის თანახმადაც "ველოდრომზე" 4 წელიწადს გაატარებს. აღნიშნული ინფორმაცია ყველასთვის მოულოდნელად თავად "მარსელის" ვებგვერდმა გაავრცელა. 26 წლის ფეხბურთელი თავისუფალი აგენტი იყო. შესაბამისად, მისი გადაბირება **დიდიე დეშამს** ერთი ცენტიც არ დასჯდომია. სწორედ ამალფიტანო და **კევინ გამეირო** იყვნენ ის ფეხბურთელები, რომლებიც წელს "ლორიანის" სახეს ქმნიდნენ. რამდენიმე დღეში კლუბს გამეიროც დატოვებს და ამის მერე ბრეტონელებს რა ეშველებათ, ძნელი სათქმელია. მათ ხომ ლიდერების შემცვლელების პოვნა ძალიან გაუჭირდებათ.



მორგან ამალფიტანო

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

**დორტმუნდის ბორუსია**

# დორტმუნდის ახალი სამიზნე: ექდალი

### ამასობაში, მანჩესტერმა კაგავა მოიკითხა

ხორვატიის ნაკრების ახალგაზრდა, 22 წლის ფეხბურთელ **ივან პერიშიჩთან** კონტრაქტის გაფორმების შემდეგ (შემტევი ნახევარმცველი გერმანიის ჩემპიონმა „ბრიუგედან" 5 მილიონ ევროდ შეიძინა), დორტმუნდის „ბორუსიას" ხელმძღვანელებმა თქვეს, ამით ჩვენი სატრანსფერო აქტივობები დამთავრდა, ახალი სეზონისთვის მოსამზადებელ შეკრებას სწორედ ამ შემადგენლობით დავიწყებთ და დიდი შანსია, რომ ზაფხულში აღარავინ ვიყიდოთო. თუმცა დორტმუნდის ბოსებმა ახლავე დაიწყეს ზრუნვა კიდევ ერთ ტრანსფერზე, რომლის განხორციელების შემთხვევაში, გერმანიის ჩემპიონი კიდევ ერთ უაღრესად ნიჭიერ ფეხბურთელს ჩაიგდებს ხელში.

იმის გამო, რომ 29 წლის საყრდენი ნახევარმცველი **მარკუს ფოილნერი** დორტმუნდიდან მიდის და მომავალ სეზონს „ნიურნბერგში" გაატარებს, ხოლო თავდამსხმელ **მოჰამედ ზიდანის** გაყიდვა ფაქტობრივად გადაწყვეტილია, „ბორუსიას" ერთი მხრივ დამატებითი შემოსავალი უჩნდება, მეორე მხრივ კი აუცილებლად დასჭირდება ახალი ცენტრალური ნახევარმცველი. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, „ბორუსია" 21 წლის შვედ ფეხბურთელს, **ალბინ ექდალს** უმიზნებს. ეს უკანასკნელი ახალგაზრდა, მაღალი (1.86 მეტრი), საკმაოდ ტექნიკური და მებრძოლი სულისკვეთების მქონე მოთამაშეა, რითაც ასი პროცენტით ჯდება „ბორუსიას" მთავარი მწვრთნელის, **იურგენ კლოპის** გემოვნებაში. გასულ სეზონში მან „ბოლონიას" მაისურით სერია A-ში 22 შეხვედრა ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა. ექდალს „ბოლონიასთან" კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული. მისი სატრანსფერო უფლებების 50-პროცენტიან პაკეტს ტურინის „იუვენტუსი" ფლობს, მეორე ნახევარს კი „ბოლონია". საერთო ჯამში კი, ალბინ ექდალი დაახლოებით 3.5 მილიონი ევრო ღირს. ეს ის თანხაა, რომელსაც დორტმუნდელები მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიხდიან, თუ მოჰამედ ზიდანი გაიყიდება (ეგვიპტელი 2 მილიონი ღირს).



გადავა ალბინ ექდალი დორტმუნდში?

### კაგავა და მანჩესტერი

ამასობაში, „ბორუსიას" ხელმძღვანელებს ახალი თავსატეხი გაუჩნდათ. საქმე იმაშია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა" დორტმუნდელთა 22 წლის იაპონელ ფლეიმეიქერს, გასული სეზონის ერთ-ერთ უმთავრეს აღმოჩენას (8 გოლი 17 მატჩში), **შინჯი კაგავას** დაადგა თვალი. ჩვენი იაპონელი კოლეგების ცნობით, „მანჩესტერის" თავკაც **სერ ალექს ფერგიუსონს** კაგავას ყიდვა ან ახლავე სურს, ანაც ერთი წლის შემდეგ. ამ შემთხვევაში ყველაზე საინტერესო თვითონ ახალგაზრდა იაპონელი ფეხბურთელის კომენტარია: *„მანჩესტერ იუნაიტედი" ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია და ჩემთვის დიდი პატივია ის, რომ მანჩესტერელები ჩემით დაინტერესდნენ. თუ კონკრეტული წინადადებით მომმართავენ, სიამოვნებით მოვუსმენ. პრემიერლიგა და მით უმეტეს „მანჩესტერ იუნაიტედი" ჩემთვის ძალიან საინტერესოა,"* - უთხრა კაგავამ იაპონელ ჟურნალისტებს და ამ განცხადებით მთელი დორტმუნდი აალელვა.

შინჯი კაგავა „ბორუსიაში" ზუსტად ერთი წლის წინ, „ოსაკადან" გადავიდა და დორტმუნდელებს ეს ტრანსფერი სულ რაღაც 350 000 ევრო დაუჯდათ, დღეს კი კაგავა გაცილებით ძვირად, დაახლოებით 15-20 მილიონ ევროდ ფასობს. ამ სეზონში იაპონელს არაერთი მთხოვნელი გამოუჩნდა – „მანჩესტერის" გარდა მისით „ვილიარეალი", „ატლეტიკო", „ტოტენჰემი" და „იუვენტუსი" არიან დაინტერესებულები. კაგავას BVB-სთან კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული და „ბორუსიას" ხელმძღვანელებს ახლავე ახალი ხელშეკრულების გაფორმება სურთ.

ინგლისურ და გერმანულ პრესაში გავრცელებული ცნობების თანახმად, „მანჩესტერი" მზადაა, „ბორუსიას" 20 მილიონი ევრო გადაუხადოს. თუმცა დორტმუნდელთა ბოსი **ჰანს-იოახიმ ვატცკე** ამბობს, მანჩესტერელებს შანსი არ აქვთ, შინჯის არაფრისდიდებით არ გავყიდითო. მაგრამ თუ თვითონ ფეხბურთელი მოინდომებს წასვლას?..

**ვერდერი**

# გა[illegible] მაჩვენე, როზენბერგს გაჩვენებ...

### შვედმა სანტანდერში გოლების გატანა გაიხსენა და ალბათ ბრემენში დაბრუნდება

კითხვაზე, სურს თუ არა ბრემენის „ვერდერში" დაბრუნება, 28 წლის შვედმა თავდამსხმელმა **მარკუს როზენბერგმა** უპასუხა, რატომაც არაო. ამ სეზონში „როზი" „ვერდერიდან" სანტანდერის „რასინგში" იყო განათხოვრებული და ახლა ორი ვარიანტი აქვს: ან ბრემენში უნდა დაბრუნდეს, ანაც ესპანურ კლუბში უნდა დარჩეს. როზენბერგის მრჩეველი, თვითონ ყოფილი და ყველასათვის კარგად ცნობილი ფეხბურთელი **მარტინ დალინი** ამბობს, დიდი შანსია, რომ მარკუსმა თავი ისევ „ვერდერში" ამოყოსო. მისი თქმით, როზენბერგის დაბრუნება თვითონ ბრემენულმა, კერძოდ მთავარმა ბოსმა **კლაუს ალოფსმა** მოისურვა.

როზენბერგი „ვერდერში" თავს მხოლოდ იშვიათად იჩენდა ხოლმე, რის გამოც მასზე ხელი ჩაიქნიეს, აი, პრიმერადივიზიონში კი დაამტკიცა, რომ თავდამსხმელია და გოლების გატანა შეუძლია – 33 ოფიციალურ შეხვედრაში მის ანგარიშზე 9 გოლი და 8 საგოლე პასია. სწორედ ამიტომ, სანტანდერელებს როზენბერგის შენარჩუნება უნდათ და აქამდე ფიქრობდნენ, რომ „ვერდერი" არენდის გაგრძელებას უპრობლემოდ დათანხმდებოდა, მაგრამ ბრემენულ კლუბსაც ძალიან გაუჭირდა, ახალ ფეხბურთელებს ვერ ყიდულობს, რის გამოც „როზის" დაბრუნება დადგა დღის წესრიგში.

შეგახსენებთ, რომ როზენბერგი „ვერდერში" ამსტერდამის „აიაქსიდან" 2007 წელს გადავიდა და მას შემდეგ, ბუნდესლიგაში ჩატარებულ 90 მატჩში 30 გოლი გაიტანა, ევროტურნირებზე კი 31 შეხვედრაში მხოლოდ 6-ჯერ იხეირა.

„მუსიკოსების" მთავარმა მწვრთნელმა **თომას შააფმა** მარკუსი შარშან იმის გამო გაანათხოვრა, რომ ფიქრობდა, ჩვენთან თამაშის შანსი აღარ აქვსო, ახლა კი, შვედი თავდამსხმელი გაცილებით მარტივ სიტუაციაშია. „ვერდერის" თავდასხმაში ნომერ პირველი კაცი 32 წლის **კლაუდიო პისაროა**, ოღონდ მაშინ, როცა ჯანმრთელია, რადგან პერუელი ხშირად იღებს ტრავმებს. პისაროს გარდა კი, ბრემენულ კლუბს ფაქტობრივად არც ერთი თავდამსხმელი არ უვარგა: 23 წლის **სანდრო ვაგნერს** მაღალი კლასის ფორვარდობამდე ჯერ კიდევ ბევრი აკლია, იგივე ეხება 22 წლის **დენი ავდიჩსაც**, რომელიც სხვათა შორის, როზენბერგის თანამემამულეა, ერთი წლის წინ დიდი იმედებით ნაყიდმა ავსტრიელმა **მარკო არნაუტოვიჩმა** კი ყველას იმედები გაუცრუა. შესაბამისად, როზენბერგს „ვერდერის" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შესანიშნავი შანსი აქვს.

**შალკე**

# შალკემ ლემანი დაადასტურა

### 41 წლის იენსი: ფეხბურთი არ მეთმობა, თამაში მინდა!



იენს ლემანი შალკეში 1988-დან 1998 წლამდე თამაშობდა

ადრეც გაუწყეთ, რომ **მანუელ ნოიერის** „ბაიერნში" გაყიდვის შემდეგ, „შალკეს" ხელმძღვანელები სერიოზულად დაფიქრდნენ 41 წლის **იენს ლემანის** გადაბირებაზე, რომელმაც კარიერა შარშან დაასრულა, თუმცა ამ სეზონის მიწურულს ლონდონის „არსენალში" ცოტა ხნით დაბრუნდა. ახლა კი, ვეტერანი მეკარის გადაბირების სურვილი გელზენკირხენელებმა უკვე ოფიციალურად დაადასტურეს.

*„მე ყოველთვის ვამბობდი, თუ ნოიერი დაგვტოვებს, ახალ მეკარეს ვიყიდით მეთქი,* - უთხრა „შალკეს" სპორტულმა დირექტორმა **ჰორსტ ჰელდტმა** „შპორტ ბილდს", - *ჩვენ არაერთ ვარიანტს განვიხილავთ, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი იენს ლემანის კანდიდატურაა."*

თუმცა ჰელდტი, რომელიც „შტუტგარტის" მენეჯერი სწორედ იმ დროს იყო, როცა ლემანი შვაბური კლუბის ღირსებას იცავდა, იმასაც ამბობს, ჯერ გადაწყვეტილი არაფერიაო: *„იენსს რამდენიმე ვარიანტი აქვს, პირველ რიგში კი კარგად უნდა დაფიქრდეს და გადაწყვიტოს, უნდა თუ არა საერთოდ ფეხბურთის თამაშის გაგრძელება."*

არადა, ნოიერის გაყიდვის შემდეგ „შალკემ" ფრანკფურტის „აინტრახტის" მეკარე **რალფ ფერმანი** გადაიბირა, რის გამოც ყველამ იფიქრა, რომ გელზენკირხენში ნოიერს სწორედ ეს უკანასკნელი შეცვლიდა. ახლა კი დიდი შანსია, რომ ფერმანი „შალკეს" პირველი ნომერი არ გახდეს, რადგან ლემანს აქვს იმის ამბიცია, რომ ძირითად შემადგენლობაში ითამაშოს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, იენსი კარიერის გაგრძელებაზე („შალკეში", თუ სადმე სხვაგან) მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ თამაშის გარანტიას მისცემენ და რაკი ჰელდტმა ლემანით დაინტერესება დაადასტურა, ფაქტია, რომ „შალკეში" სერიოზულად ფიქრობენ იმაზე, რომ მომავალ სეზონში გუნდის კარში სწორედ 41 წლის ლემანი ჩადგეს.

გერმანიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **იურგენ კლინსმანი** ფიქრობს, რომ მიუხედავად დიდი ასაკისა, ლემანს თავისუფლად შეუძლია უმაღლეს დონეზე თამაში. *„მე მას კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ უმაღლეს დონეზე ითამაშებს. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ სათადარიგოთა სკამის ხეხვას არ დათანხმდება, რაც გასაკვირი სულაც არაა, რადგან იენსი უკვე 41 წლისაა,"* - აცხადებს კლინსმანი „შპორტ ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

სამაგიეროდ, ლემანის ბუნდესლიგაში დაბრუნებას სკეპტიკურად უყურებენ ლეგენდარული გერმანელი მეკარე **ტონი შუმახერი** და გერმანიის ნაკრების დღევანდელი თავკაცი **იოახიმ ლიოვი**. *„37 წლის ვიყავი, როცა კიდევ ერთხელ დავთანხმდი „ბაიერნში" თამაშს და სხვათა შორის, კარგადაც ვიასპარეზე, მაგრამ ლემანი 41 წლისაა, ოთხი წელი კი ასეთ დროს საკმაოდ დიდი სხვაობაა,"* - ამბობს შუმახერი.

*„სიმართლე გითხრათ, ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ იენსი კარგ ფიზიკურ ფორმაშია, მაგრამ არ ვიცი, რამდენად აქვს აზრი ასეთი ნაბიჯის გადადგმას „შალკეს" მხრიდან. ლემანი მეორენომრობას არასდროს დათანხმდება და მისი გუნდში მისვლა არაჯანსაღ კონკურენციას შექმნის,"* - ეს კი ლიოვის სიტყვებია.

იენს ლემანს ბუნდესლიგაში 394 თამაში აქვს ჩატარებული, ბოლოს კი 2010 წელს, „შტუტგარტის" რიგებში ასპარეზობდა. თუ იენსი ბუნდესლიგაში დაბრუნდება (შალკეში ერთხელ უკვე თამაშობდა: 1988-დან 1998 წლამდე), უნიკალური რეკორდის დამყარების შანსი გაუჩნდება. ნოემბერში ლემანი 42 წლის ხდება. ბუნდესლიგის ყველა დროის ყველაზე ასაკოვანი მეკარეები კი ტონი შუმახერი (42 წლის და 2 თვის) და **ული შტაინი** (42 წლის და ხუთი თვის) იყვნენ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

**ჰამბურგი**

# მანსიენი, სალა და ახლა ტიორეც!

### არნესენმა ჰამბურგი ჩელსის ვუნდერკინდებით გაავსო



გიოქჰან ტიორე

გასაკვირი სულაც არ არის ის, რომ „ჰამბურგის" ახალი სპორტული დირექტორი **ფრანკ არნესენი** გუნდს პირველ რიგში ლონდონის „ჩელსის" ფეხბურთელებით აძლიერებს – ეს უკანასკნელი ხომ „არისტოკრატების" სპორტული დირექტორი იყო. გუშინ, არნესენმა „ჩელსიდან" უკვე მესამე უნიჭიერესი ფეხბურთელი გადაიბირა: გერმანიაში, კერძოდ კიოლნში დაბადებულმა **გიოქჰან ტიორემ** „ჰამბურგთან" კონტრაქტი 2014 წლამდე გააფორმა. შესაბამისად, 19 წლის ტიორე რიგით მესამე მოთამაშეა, რომელიც „ჩელსიდან" ჩრდილოგერმანულ კლუბში გადადის. HSV-მ ლონდონიდან მანამდე **მაიკლ მანსიენი** და **ჯაკოპო სალა** გადაიბირა.

ტიორე ჰამბურგში გუშინ ჩავიდა, სამედიცინო შემოწმება გაიარა და კონტრაქტს ხელი მოაწერა, რის შემდეგაც, პრესკონფერენციაზე თქვა: *„ჰამბურგი" უდიდესი ისტორიისა და ტრადიციების მქონე გუნდია, რის გამოც ჩემთვის აქ თამაში დიდი პატივი იქნება. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ „ჰამბურგის" ქომაგები გავახარო."*

*„გიოქჰანი ახალგაზრდა და ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია,* - ეს უკვე თავად არნესენის სიტყვებია, - *ცაციაა და მარცხენა შემტევი გარემარბის პოზიციაზე თავს იდეალურად გრძნობს. გარდა ამისა, ტიორე ფიზიკურად ძალიან ძლიერი სპორტსმენია და მოედნის ხედვაც საუკეთესო აქვს. ბოლო წლებში უდიდესი პროგრესი განიცადა და დარწმუნებული ვარ, რომ ის „ჰამბურგს" გამოადგება."*

ტიორე ლონდონში 2009 წელს, „ლევერკუზენის" ბავშვთა გუნდიდან გადავიდა, „ჩელსის" ახალგაზრდულ გუნდში თამაშობდა და თურქეთის 21-წლამდელთა ნაკრების წევრიც გახდა. გასულ უქმეებზე კი ტიორე თურქეთის ეროვნულ ნაკრებშიც იყო გამოძახებული, მაგრამ ბელგიასთან არ უთამაშია (1:1).

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ჩელსიდან" „ჰამბურგისკენ" ახალგაზრდა ფეხბურთელების გადინება გიოქჰან ტიორეს ტრანსფერით არ დასრულდება. აგერ უკვე რამდენიმე კვირაა, რაც არნესენი ჰოლანდიელ მცველ **ჯეფრი ბრუმასაც** უმიზნებს.

### ალბათ, პეტრიჩი წავა

სამაგიეროდ, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ „ჰამბურგს" თავდამსხმელი **მლადენ პეტრიჩი** დატოვებს. ერთი მხრივ, კლუბს მისთვის ახალი კონტრაქტის გაფორმება სურს, რადგან პეტრიჩს ხელშეკრულების ვადა 2012 წელს ეწურება, თუმცა ფეხბურთელის მრჩეველი ამბობს, გული ცუდს მიგრძნობს, ვფიქრობ, რომ ვერ შევთანხმდებითო. ამასთან, პეტრიჩის აგენტი არნესენის სატრანსფერო პოლიტიკას აკრიტიკებს – რაღაც ცუდ თამაშს თამაშობს, „ჩელსიდან" ისეთი ფეხბურთელები მოჰყავს, რომლებსაც გერმანიაში არავინ იცნობს, მათი თამაში კაციშვილს არ აქვს ნანახიო.

არადა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ პეტრიჩს საკმაოდ კარგი სეზონი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ტრავმებმა გატანჯეს და ფორმაში წესიერად შესვლას ვერ ასწრებდა, რომ ისევ შავდებოდა, მლადენმა ბუნდესლიგაში 22 მატჩი ჩაატარა, 11 გოლი გაიტანა და 7 საგოლე პასიც გააკეთა. შესაბამისად, ხორვატს მთხოვნელები არ აკლია. აქედან გამომდინარე, პეტრიჩი ახალი კონტრაქტისთვის საკმაოდ მაღალ ხელფასს ითხოვს. ასე რომ, „ჰამბურგს" ფაქტობრივად ხელს აძლევს მისი გაყიდვა, რადგან თუ მლადენთან ახალი ხელშეკრულება არ გაფორმდა, ჩრდილოგერმანულ კლუბს პეტრიჩის ტრანსფერში ფულის აღების უკანასკნელი შანსი სექტემბრამდე ექნება.

● ესპანეთი.

# პრიმერული ამბები

## ანდალუსიელებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ, პატარა კატალონიელებსაც

ბარსელონა

### ჩემპიონი და ამერიკა


ბარსელონა ამერიკაში (2009 წ.)

როგორც ჩანს, როგორც კი „ბარსა" ამერიკულ ტურნეს გადაწყვეტს, შტატებში გუნდი ჩემპიონთა თასით ხელდამშვენებული უნდა ჩავიდეს. ასე იყო წინა ორი ტურნეს დროს, 2006 და 2009 წლებში და ასე იქნება ამ ზაფხულსაც. 2006 წელს „ბარსა" 3-წლიანი შესვენების შემდეგ ეწვია ამერიკას. კატალონიელები ლოს ანჯელესს, ჰიუსტონსა და ნიუ იორკს ეწვივნენ, ეთამაშნენ „მილანს", „იუვენტუსს" და „მანჩესტერ იუნაიტედს". სამი თამაშიდან ბარსამ თითო მოიგო, ფრედ ითამაშა და წააგო. 2009 წელს ლოს ანჯელესში **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდი „გალაქსის" ეთამაშა, სიეტლში - „საუნდერსს" და სან ფრანსისკოში - „ჩივასს". მაშინ „ბარსამ" ერთი მატჩი მოიგო და 2 ფრედ დაასრულა. წლეულს ჩემპიონი ვაშინგტონს, მაიამისა და დალასს ეწვევა. 30 ივლისს „მანჩესტერ იუნაიტედს" ეწვევა, 3 აგვისტოს „ჩივასს", ხოლო 6 აგვისტოს „ამერიკას".

### პეპი და ჟოზე II

26 აგვისტოს მონაკოს „ლუი II-ზე" ძალიან საინტერესო დაპირისპირება გველის - ევროპის სუპერთასისთვის „ბარსელონა" და „პორტუ" იბრძოლებენ. ხოსეპ გვარდიოლას პირველად დაუპირისპირდება **ჟოზე მოურინიოს** ყოფილი მოწაფე, ახლა კი „პორტუს" წარმატებული ახალგაზრდა მწვრთნელი **ანდრე ვილას ბოასი**. ეს კლუბები ერთმანეთს მეშვიდედ ხვდებიან, 4 დაპირისპირება ესპანელებმა მოიგეს, 3 - პორტუგალიელებმა.

### სანჩესმა „ბარსა" შეათანხმა



ალექსის სანჩესი

ეს კაცი ან აფერისტია, ან „ბარსას" ფანებს მორიგი ტალანტის შემატებას გილოცავთ! *„ალექსის სანჩესმა „ბარსელონასთან" პირადი კონტრაქტის საკითხი უკვე მოაგვარა"*, - განაცხადა მან, მაგრამ როგორ არ უნდა ენდო, როცა ამ ფრაზის ავტორი „უდინეზეს" პრეზიდენტი **ფრანკო სოლდატია**, კლუბისა, სადაც თამაშობს 22 წლის ჩილელი.

**ალექსის სანჩესი** „ბარსაში" წელიწადში 3 მილიონ ევროს მიიღებს, მაგრამ სოლდატი აცხადებს, რომ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყველაფერი გარკვეულია: *„ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ფეხბურთელის ოცნება ასრულდება და ის „ბარსელონაში" ითამაშებს. ჩემი აზრით, ივნისის ბოლომდე კლუბებს შორის მოლაპარაკება ვერ დასრულდება"*, - განაცხადა სოლდატიმ. „უდინეზე" სამხრეთამერიკელი შემტევის სანაცვლოდ 30 მილიონ ევროს ითხოვს, ჯერი კატალონიურ გრანდზეა.

### პუიოლი და ჩავი სიაში

„ოქროს ფეხის" ტიტულისთვის „ბარსელონას" 2 ფეხბურთელი იბრძოლებს: **კარლეს პუიოლი** და **ჩავი ერნანდესი**. ეს ტიტული მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს გადაეცემა, რომლის ასაკიც 29 წელი და მეტია. ჟიური 58 ჟურნალისტისგან შედგება. სხვა კანდიდატები არიან: **დევიდ ბექჰემი, ჯანლუიჯი ბუფონი, იკერ კასილიასი, დიდიე დროგბა, სამუელ ეტოო, რაიან გიგზი, რაული** და **ხავიერ ძანეტი**.

ახლა ამათ შორის საუკეთესოს ინტერნეტგამოკითხვის მიხედვით გამოავლენენ, რომელიც 7 ოქტომბრამდე გაგრძელდება. შეგახსენებთ გამარჯვებულებს, ტიტულის დაარსებიდან (2003 წ) დღემდე: **რობერტო ბაჯო, პაველ ნედვედი, ანდრეი შევჩენკო, რონალდო, ალესანდრო დელ პიერო, რობერტო კარლოსი, რონალდინიო, ფრანჩესკო ტოტი**.

### მხატვარი და ქველმოქმედი

„ბარსელონა B-ს" ფეხბურთელი **მარკ ბარტრა**, რომელსაც ამ სეზონში დიდ გუნდში დებიუტი ჰქონდა და გოლიც გაიტანა, მხატვრობით ყოფილა გატაცებული. ბარტრამ მონაწილეობა მიიღო კლუბისა და „ეგზით ფაუნდეიშნის" ერთობლივ საქველმოქმედო აქციაში. ამ აქციიდან მთელი შემოსავალი, 20 ნახატის გაყიდვიდან შევა, ფონდს გადაეცემა.

ამასობაში „ბარსელონა B-ს" 5 ფეხბურთელი ოფიციალურად დაემშვიდობა კლუბს: **ნოლიტო, ვასკესი, აბრაჰამი, ედუ ორიოლი** და **ბენხა**. მათ კონტრაქტი დაუსრულდათ.

### ბარსას სხვა სიახლეები

„ბარსელონას" ყოფილმა ფეხბურთელმა **ალან სიმონსენმა** დანიის I დივიზიონის კლუბი „ფრედერისია" ჩაიბარა.

ჰოლანდიელმა **იბრაჰიმ აფელაიმ** განაცხადა, რომ მომავალ სეზონში სულ სხვა ფეხბურთელს ვიხილავთ მისი სახით, გაცილებით გაუმჯობესებულს.

„ელ მუნდო დეპორტივო" ამტკიცებს, რომ ალექსის სანჩესის ტრანსფერში შეიძლება „ბარსელონა B-ს" ფორვარდი **სორიანოც** ჩართონ, რომელიც „უდინეზეში" გადავა.

„ბარსას" ვეტერანები ლიგა ფერტიბერიის ფინალში გავიდნენ. ნახევარფინალში მათ „მალიორკას" ვეტერანებს 8:7 მოუგეს. **ესკერომ** ჰეთ თრიკი შეასრულა, **პინილიამ** - დუბლი.

იტალიელი მოტომრბოლი **ვალენტინო როსი** „ბარსას" ნახევარმცველ ჩავის დიდი თაყვანისმცემელია. ჩავი კატალონიის გრან პრის დაესწრო და როსის უგულშემატკივრა, თავის მხრივ როსიმ დიდებული დახვედრა მოუწყო ფეხბურთელს ბოქსებში და მედიის თანდასწრებით ფეხზე აკოცა.

„ბარსელონა B-ს" ახალი მწვრთნელი ჰყავს - **ეუსებიო საკრისტანი**. მან პოსტზე ლუის ენრიკე შეცვალა, რომელიც „რომაში" მიდის. ამავე გუნდში მეკარეთა მწვრთნელი **ხუან კარლოს უნსუე** იქნება.

„ელ მუნდო დეპორტივო" **მაქსველს** „მილანურ" მომავალს უმზადებს.

რეალი

### კოენტრაუს დასჯიან, რეალს უჩივლებენ

ცუდად აქვს საქმეები **ფაბიო კოენტრაუს** - „ბენფიკას" ხელმძღვანელობა გაცოფებულია იმით, რომ ფეხბურთელი კლუბის ნებართვის გარეშე დაეკონტაქტა „სამეფო კლუბს". კოენტრაუმ რამდენიმე ინტერვიუ მისცა პრესას, „რეალში" შესაძლო გადასვლის შესახებ. ახლა „არწივთა" ხელმძღვანელობა განაპირა მცველს სადისციპლინო სასჯელს უმზადებს, ხოლო „რეალს" ფიფა-ში ჩივილს უპირებს.

23 წლის ფეხბურთელს ფულადი ჯარიმა ელის, ავრცელებს ინფორმაციას სააგენტო „ლუზა". წინადღის ლისაბონური კლუბის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა წერილი, რომლის თანახმადაც „ბენფიკას" „რეალთან" კოენტრაუს ტრანსფერზე მოლაპარაკება არ უწარმოებია. იმავე წერილში ნათქვამია, რომ კოენტრაუს საბაზრო ფასი 30 მილიონი ევროა.

### ფიგუ უკმაყოფილოა

**ლუიშ ფიგუმ** გამორიცხა იმის შანსი, რომ მომავალ სეზონში ის **ჟოზე მოურინიოს** სამწვრთნელო შტაბში აღმოჩნდება. **ხორხე ვალდანოს** წასვლის შემდეგ, მოურინიომ გარკვეული ავტონომია მოიპოვა. ჟოზე კი ფიგუს 2008-09 წლების სეზონში „ინტერში" წვრთნიდა. ფიგუ 2000-2005 წლებში თამაშობდა „რეალში": *„ეს ყველაფერი ჭორია, მადრიდში როგორ წავალ, როცა ზინედინ ზიდანს არ დავუპატიჟებივარ. ამ ჭორებს საფუძველი არა აქვთ, ამ მომენტში თავს ჩინებულად ვგრძნობ „ინტერში"*, - განაცხადა პორტუგალიელმა.


ლუიშ ფიგუ

### რეალის სხვა სიახლეები

**ლასანა დიარამ** განაცხადა, რომ „რეალიდან" მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავა, თუ პრემიერლიგაში წავა სათამაშოდ. სხვა კლუბებზე კი „რეალს" არ გაცვლის.

**სერხიო რამოსმა** „მარკასთან" საუბარში თქვა, რომ ჟოზე მოურინიო სწორედ ის მწვრთნელია, რომელიც „რეალს" სჭირდებოდა.

ბრაზილიელმა **რონალდომ** „რეალის" ხელმძღვანელობას „სანტოსის" ტალანტის, **ნეიმარის** შეძენა ურჩია.

სევილია

### სევილიას თავი დაედგა

გუშინ „სევილიამ" ახალი მწვრთნელი წარადგინა - **მარსელინო**. 45 წლის მარსელინო გარსია ტორალმა „რასინგში" ჩაამთავრა სეზონი, სადაც თებერვალში **მიგელ ანხელ პორტუგალის** ნაცვლად მივიდა. მან სანტანდერული კლუბი გავარდნისგან იხსნა, თუმცა სეზონის დასრულების შემდეგ იქ მუშაობის გაგრძელება იუარა. მან ეს გადაწყვეტილება კლუბის უამბიციო პროექტებით ახსნა. მაშ ასე, მარსელინო უკვე ამბიციურ კლუბშია - „სევილია" მე-5 ადგილს დასჯერდა გასულ სეზონში და ევროპის ლიგაზე უწევს თამაში.


მარსელინო

**ხოსე მარია დელ ნიდომ**, „სევილიას" პრეზიდენტმა ასე ახსნა კლუბის არჩევანი: *„მისი კომპეტენცია ექვგარეშეა, ფეხბურთის ცოდნა - დიდი, შრომა და პროფესიონალიზმი კი ბევრისთვის სანატრელი, ამასთან ის ძალიან მიზანდასახული მწვრთნელია. ამ ხუთი კარგი თვისების კოქტეილი კი სამომავლოდ წარმატებას მოუტანს ჩვენს კლუბს"*.

### კოკე სევილიელია



სევილიელთა ახალწვეული მცველი

„სევილიამ" წარადგინა ახალი ფეხბურთელიც - მცველი **ხორხე ანდუხარ მორენო**, იგივე **კოკე**. ანდალუსიელთა ახალწვეული 24 წლისაა და „რაიო ვალეკანოს" აღზრდილია. მას მხოლოდ ამ კლუბში უთამაშია და მიუხედავად იმისა, რომ მადრიდელებმა პრიმერას საგზური მოიპოვეს, კოკემ გაცილებით ამბიციურ „სევილიაში" გადაწყვიტა წასვლა. ახლა, ვისაც კოკეს შეძენა მოუნდება, „სევილიას" 18 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

● ევრო 2012
შესარჩევი მატჩები

A ჯგუფი

**აზერბაიჯანი-გერმანია 1:3**

**აზერბაიჯანი (4-1-4-1):** აგაევი - მალიკოვი, რ. სადიგოვი, ვ. ჰუსეინოვი, ალაჰვერდიევი - ჩერტოგანოვი (84. ა. სადიგოვი) - ამირგულიევი, აბუშოვი, ისმაილოვი (58. ისაევი), ნადიროვი - ჯავადოვი (72. მ. ჰუსეინოვი).

**გერმანია (4-2-3-1):** ნოიერი - ჰიოვედესი, ჰუმელსი, ბადშტუბერი, აოგო - ლამი, კროოსი - მიულერი (88. ჰოლტბი), იოზილი (81. გიოტცე), პოდოლსკი (76. შიურლე) - გომესი.

**გოლები:** 0:1 იოზილი (30), 0:2 გომესი (41), 1:2 მ. ჰუსეინოვი (89), 1:3 შიურლე (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 7 | 7 | 0 | 0 | 22-3 | 21 |
| 2. ბელგია | 7 | 3 | 2 | 2 | 15-10 | 11 |
| 3. თურქეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-7 | 10 |
| 4. ავსტრია | 6 | 2 | 1 | 3 | 10-10 | 7 |
| 5. აზერბაიჯანი | 6 | 1 | 0 | 5 | 5-18 | 3 |
| 6. ყაზახეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 2-15 | 3 |

C ჯგუფი

**ფარერები-ესტონეთი 2:0**

**ფარერები (4-4-2):** მიკელსენი - ნაესი, დანიელსენი, გრეგერსენი, ჰანსენი (69. სამუელსენი) - ჰოლსტი (84. მოურიტსენი), ბალდვინსონი, ელტორი (90. ოლსენი), ბენიამინსენი - იუსტინუსენი, ჰანსენი.

**ესტონეთი (4-1-3-2):** პარეიკო - იაგერი, პიროია, რანი, კრუგლოვი - ვასილიევი - კინკი, ზენიოვი, პური - აჰიუპერა (67. კამსი), სააგი (82. მოსნიკოვი).

**გოლები:** 1:0 ბენიამინსენი (43), 2:0 ჰანსენი (47)

**გაძევება:** პური (56), იუსტინუსენი (88)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 6 | 5 | 1 | 0 | 14-1 | 16 |
| 2. სლოვენია | 7 | 3 | 2 | 2 | 9-4 | 11 |
| 3. სერბეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-9 | 8 |
| 4. ესტონეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-11 | 7 |
| 5. ჩრ. ირლანდია | 5 | 1 | 3 | 1 | 3-3 | 6 |
| 6. ფარერები | 7 | 1 | 1 | 5 | 5-18 | 4 |

D ჯგუფი

**ბელარუსი-ლუქსემბურგი 2:0**

**ბელარუსი (4-5-1):** ჟევნოვი - კულჩი (87. კისლიაკი), ვერხოვცოვი, შიტოვი, ბორდაჩოვი -ომელიანჩუკი, ტიგორევი, კალაჩევი, ტრუბილა (62. ვ. ჰლები), პუცილა - ვორონკოვი (46. კორნილენკო).

**ლუქსემბურგი (5-4-1):** ჟუბერი - შნელი, ჰოფმანი, ბლაიზე, მალუე (61. კიტენგე), მარტინო - ჟერსონი, პეტერსი, პაიალი, ლეველი (84. კოლეტი) - და მოტა (77. ლატერზა).

**გოლები:** 1:0 კორნილენკო (48), 2:0 პუცილა (73)

**ბოსნია-ალბანეთი 2:0**

**ბოსნია (4-4-2):** ჰასაგიჩი - მუიჯა (73. მალეტიჩი), სპაჰიჩი, პანძა, რაჰიმიჩი - მედუნიანინი, მისიმოვიჩი, პიანიჩი (77. ბეშიჩი), ლულიჩი - იბიშევიჩი (61. მუსლიმოვიჩი), ჯეკო.

**ალბანეთი (4-4-2):** უჟკანი - დალკუ, კანა, ჩური, ვანგიელი - შკელა, ბულკუ, ლალა (72. მუზაკა), აგოლი (60. ლილა) - სალიჰი, ბოგდანი (46. დურო).

**გოლები:** 1:0 მედუნიანინი (67), 2:0 მალეტიჩი (90)

**გაძევება:** ლილა (87)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 9-2 | 13 |
| 2. ბელარუსი | 7 | 3 | 3 | 1 | 6-2 | 12 |
| 3. ბოსნია | 6 | 3 | 1 | 2 | 8-7 | 10 |
| 4. რუმინეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-6 | 8 |
| 5. ალბანეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 4-6 | 8 |
| 6. ლუქსემბურგი | 7 | 0 | 1 | 6 | 1-13 | 1 |

E ჯგუფი

**შვედეთი-ფინეთი 5:0**

**შვედეთი (4-2-3-1):** ისაკსონი - ლუსტიგი, მელბერგი, მაისტროვიჩი, ვენდტი - სვენსონი, კალსტრიომი - ლარსონი (89. ვილჰელმსონი), ტოივონენი (25. იბრაჰიმოვიჩი), ბაირამი - ელმანდერი (81. ვერნბლოომი).

**ფინეთი (4-2-3-1):** იაკოლა - ტოივიო, პასანენი, ჰეიკინენი (46. ჰალსტი), მოისანდერი - ერემენკო, ვაირინენი - ჰამალაინენი (46. აარიტალო), ერემენკო ჯრ. (79. რინგი), ჰეტემაი - ფორსელი.

**გოლები:** 1:0 კალსტრიომი (12), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (31), 3:0 იბრაჰიმოვიჩი (35), 4:0 იბრაჰიმოვიჩი (53), 5:0 ბაირამი (83)

**სან მარინო-უნგრეთი 0:3**

**სან მარინო (4-4-1-1):** სიმონჩინი - ფ. ვიტაიოლი (46. ალ. დელა ვალე), ბენედეტინი, ა. დელა ვალე, ვანუჩი - მ. ვიტაიოლი, ბოლინი (80. ბაკიოჩი), კერველინი, მარანი (64. ბერეტი) - მაძა - სელვა.

**უნგრეთი (4-4-2):** კირალი - ვანჩაკი, ლიპტაკი (87. პინტერი), იუჰაში, ლაჩკო - კომანი, ელეკი, ჰაინალი (71. ცვიტკოვიჩსი), ჯუჯაკი - საბიჩსი (84. კოლტაი), ნემეტი.

**გოლები:** 0:1 ლიპტაკი (40), 0:2 საბიჩსი (48), 0:3 კომანი (83)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 6 | 6 | 0 | 0 | 21-5 | 18 |
| 2. შვედეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 20-6 | 15 |
| 3. უნგრეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 18-13 | 12 |
| 4. ფინეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 11-11 | 6 |
| 5. მოლდოვა | 6 | 2 | 0 | 4 | 7-9 | 6 |
| 6. სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 0-33 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ჭიდაობა. ოქროს დიდი პრიზი

# კარტოზია-ბალავაძის სია გაიზარდა

## მსოფლიოს ჩემპიონი უკვე თბილისშია

პარასკევს თბილისის სპორტის სასახლეში სტარტს აიღებს გივი კარტოზიასა და **ვახტანგ ბალავაძის** სახელობის „ოქროს დიდი პრიზის" გათამაშება, რომელიც ივლისში ბაქოში გასამართი ამავე რანგის ფინალური შეჯიბრებისთვისაც იძლევა ქულებს. საბედნიეროდ, ბოლო დღეებში მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა და სადღეისო მონაცემებით, 13-14 ქვეყანა იასპარეზებს. უახლოესი მეზობლები - სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი და ირანი რომ ჩამოდიოდნენ, ეს თავიდანვე ცნობილი იყო. მერე მათ ისრაელი, მონაკო და კანადა დაემატნენ, ბოლო დღეებში კი სიაში ეგვიპტე და ინდოეთიც გამოჩნდა. კანადა, ისრაელი და ეგვიპტე გუშინ ჩამოვიდნენ თბილისში, ინდოელები კი წუხელ გვიან ღამით უნდა ჩამოფრენილიყვნენ. ჯერჯერობით კიდევ რამდენიმე გუნდზეა ლაპარაკი. მაგალითად, რუსეთიდან აპირებს ორი მოჭიდავე ჩამოსვლას, სავარაუდოდ, ვლადიკავკაზელები, მაგრამ ჯერ ასეთი კერძო ინიციატივები დასაზუსტებელია. სამწუხაროდ, საბოლოოდ გამოირიცხა უკრაინელთა სტუმრობა. თავდაპირველი უარის შემდეგ ისევ გაჩნდა იმედი იქაური ნაკრების წვევისა, მაგრამ ბოლო მომენტში ფედერაციამ კვლავაც იუარა გუნდის დაფინანსება.

მონაწილეთა რაოდენობის ზრდა კი კარგია, მაგრამ საწყენია, რომ ზოგიერთმა გუნდმა ჩამოსვლა იუარა. მაგალითად, აზერბაიჯანიდან მხოლოდ „თავისუფალთა" ნაკრები გვესტუმრება, ირანიდან - მხოლოდ ბერძენ-რომაელთა... არადა, თავდაპირველი შეთანხმებით, ორივე გუნდი უნდა ჩამოსულიყო. თან, აზერბაიჯანელები არ ვიცით, მაგრამ ირანელებს ძირითადი გუნდი მოჰყავდათ. სალაპარაკოც არაა - ორივე ნაკრები ფრიად დაამშვენებდა ჩვენს ტურნირს, თუმცა მათ ასე გადაწყვიტეს.

საბედნიეროდ, მატებაა ტიტულოვან სტუმართა გალერეაშიც. ეგვიპტელებმა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონი **მოჰამედ აბდელ ფატაჰი** ჩამოიყვანეს, რომელმაც 2006 წელს ოქროც და მანამდე 2002-ში მსოფლიოს ბრინჯაოც 84 კილოგრამში მოიპოვა, მაგრამ უკვე 96-ში გამოდის. ეგვიპტელთაგან ადრე სავარჯიშოდ კიდევ ერთი ფალავანი იყო ჩამოსული, რომელიც **თემურ ყაზარაშვილთან** ვარჯიშობდა. ის სამშობლოში გაბრუნდა იმ პირობით, რომ ტურნირზე კვლავ გვესტუმრებოდა, მაგრამ თავის გუნდს არ ჩამოჰყოლია. ისრაელიდანაც ბერძენ-რომაელები ჩამოვიდნენ, თუმცა ორი კაცით, რომელთაგანაც ერთი ქართული წარმოშობისაა - **მერაბ ელიგულაშვილი**, მეორე კი ჩვენი მძიმეწონოსნებისთვის კარგად ნაცნობი **ვლადიმირ გურალსკი**. კანადელებიც „თავისუფალთა" გუნდით ჩამოვიდნენ და პირველი ნომრებით, მაგრამ ამ ეტაპზე მათ იმდენად ძლიერი ფალავნები არ ჰყავთ - მსოფლიოს ჩემპიონი **გია სისაური** (60) და ოლიმპიური ჩემპიონი **დანიელ იგალი** (74) სპორტიდან წავიდნენ, სხვებს კი ასეთი ტიტულები ჯერ არ მოუპოვებიათ. თუმცა კარგად გვახსოვს შარშანდელ ანალოგიურ შეჯიბრებაზე ორი კანადელის შესანიშნავი გამოსვლა - **მეტიუ გენტრისა** (74) და განსაკუთრებით, ფერადკანიან **ჰაისლან გარსიას** (66) ჩინებული ჭიდაობა. მართალია, ჩემპიონი ვერც ერთი ვერ გახდა - ფინალური შეხვედრები წააგეს, მაგრამ მაყურებელს კარგი ჭიდაობით დაამახსოვრეს თავი. ჯერჯერობით არც ინდოელთა შემადგენლობა ვიცით და ვერ გეტყვით, ჩამოვა თუ არა თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **სუშილ კუმარი** (66), მაგრამ ინდოელებმა, უმთავრესად კი იქაურ „თავისუფალთა" ქართველმა მწვრთნელმა **ვლადიმერ მესტვირიშვილმა** შარშან უიმისოდაც ძალიან კარგი ბიჭები ჩამოიყვანეს (აქვე შეგახსენებთ, რომ იქაურ ბერძენ-რომაელებს **ემზარ მახარაძე** ავარჯიშებს, ქალთა ნაკრებს კი **როინ დობორჯგინიძე** წვრთნის).



სხვა გუნდებიდან შემადგენლობა ოფიციალურად დაასახელა აზერბაიჯანელ „თავისუფალთა" დაღესტნელმა თავკაცმა **საიპუდინ აბსაიდოვმა**, რომელმაც შემადგენლობაში თანამემამულე ევროპის ჩემპიონი, კონტინენტის წლევანდელი ბრინჯაოს მედალოსანი **მაჰმუდ მაგომედოვი** (ეს ამჯერად 60-ში იჭიდავებს) და ჩეჩენი ევროპის ორგზის ჩემპიონი **ზელიმხან ჰუსეინოვი** (66) დააყენა, ამათ გარდა კი თბილისში **აზერ ფაშაევი, ფარუხ ალეკპეროვი** (ორივე - 55), **უმიდ მამედოვი** (60), **ხაგან სულეიმანოვი** (74) და ევროპის ორგზის პრიზიორი **ნოვრუზ ტემრეზოვი** (84) ჩამოვლენ. ცნობილია, რომ მონაკოელებს თავიანთი ერთადერთი ვარსკვლავი, მოლდოვადან გადაბირებული ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი და ამ ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი **გენადი ტულბეა** (55) ეყოლებათ. სამწუხაროდ, ირანელებს სახელობითი სია არ გამოუგზავნიათ და არ ვიცით, იმათგან ვინ ჩამოვა, მაგრამ წინასწარი მონაცემებით, ლიდერები მოჰყავთ.

რაც შეეხებათ მასპინძლებს, ისინი დუშეთში გადიან შეკრებას. სამწუხაროდ, დანაკლისი მათაც აქვთ. ამ ეტაპზე გადაწყვეტილია, რომ „თავისუფალთა" შორის არ იჭიდავებენ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური ბრინჯაოს მედალოსანი **გიორგი გოგშელიძე** (96), მსოფლიოსა და ოლიმპიადის პრიზიორი **ოთარ თუშიშვილი** (66), ბერძენ-რომაელთაგან - ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **რევაზ ლაშხი** (60) და **ვლადიმერ გეგეშიძე** (84). ლაშხის გარდა, ყველას მიზეზი ტრავმაა - თუშიშვილს ხელის მოტეხილი თითები ჯერაც არ მოურჩენია, გოგშელიძე ხელის ოპერაციის შემდგომ სარეაბილიტაციო პერიოდს გადის, გეგეშიძეს კი ფეხის ძველი ტრავმა აწუხებს. რაც შეეხება ლაშხს, მას მწვრთნელები ასვენებენ. „თავისუფალთა" ნაკრებს ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონები - **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) და **დავით მარსაგიშვილიც** (84) დააკლდებიან, მაგრამ სულ სხვა მიზეზით - ისინი ჯერ კიდევ ახალგაზრდული ნაკრების წევრებად რჩებიან და თანატოლთა ევროპის პირველობისთვის ემზადებიან. ესაა ამ წუთისთვის არსებული მონაცემები, ანუ ის სია, ვინც მწვრთნელთა დასტურით გათავისუფლებულია შეჯიბრებიდან, თუმცა თავს ვერ დავდებთ, რომ ქართველ მოჭიდავეებს ზედ ტურნირის წინა დღეს ძველი სენი არ დაერევათ და შეჯიბრებისგან თავის არიდების მიზნით „ავად" არ გახდებიან.

**ირაკლი თავაძე**

ალპინიადა



# მყინვარიდან დანახული სამშობლო

შარშან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველად შეიქმნა სამთო გამყოლების ორწლიანი პროფესიული პროგრამა, რომელიც მთის გიდების მომზადებას ითვალისწინებს.

- სასწავლო პროგრამის ფარგლებში ამ პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით უნივერსიტეტში ალპური კლუბის დაფუძნება გადავწყვიტეთ, ორიოდე დღის წინათ მყინვარზე პირველი ექსპედიციაც მოვაწყვეთ, - გვითხრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსმა **სერგო რატიანმა,** რომელიც თავად გახლდათ ამ ალპინიადის მონაწილე. - მსურველი ბევრი იყო, მაგრამ სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით ექსპედიციის 26 წევრი შევარჩიეთ. ექსპედიციას გაჰყვა ცნობილი ალპინისტი, მრავალი რვაათასიანი მწვერვალის დამპყრობი, „მთის ჯიქად" მონათლული **ბიძინა გუჯაბიძე,** რომელიც ალპინიზმში საქართველოს ნაკრების წევრებთან ერთად ჩვენს სტუდენტებს მყინვარწვერის დალაშქვრაში ეხმარებოდა. ეს ილიაუნელთა პირველი ცდა იყო. დარწმუნებული ვარ, სტუდენტური ალპინიადები ჩვენთან ტრადიციული გახდება..

**არჩილ ცინცაძე,** ექსპედიციის ხელმძღვანელი: - მყინვარისაკენ 26 ქალ-ვაჟი გაუდგა გზას, მწვერვალზე კი 21 ადამიანი ავიდა, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია თუნდაც იმიტომ, რომ ბევრი მათგანი ასეთ ლაშქრობაში პირველად მონაწილეობდა, თუმცა მთასთან ჭიდილში პრობლემები არ შეჰქმნიათ. პირველი ღამე ყაზბეგში გავათიეთ ზღვის დონიდან 1700 მეტრ სიმაღლეზე, მეორე ღამისთევა საბერწეზე გვქონდა კარვებში 3000 მეტრზე. მერე ბეთლემის ქოხმა (3650 მ.) შეგვიფარა, მეოთხე ღამისთევა მეტეოსადგურში დავგეგმეთ, რათა აკლიმატიზაცია უკეთ გაგვევლო, მაგრამ ამინდის „ფანჯარამ", ანუ გამოდარებამ მწვერვალზე ასვლა დაგვაჩქარებინა. არადა, მერე ისე სწრაფად შეიცვალა ამინდი, რომ უკან დაბრუნებისას ახალმოსულ თოვლს ჩვენი ნაკვალევი დაფარული ჰქონდა. ყოველივეს მიუხედავად, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. რაც მთავარია, სტუდენტები ამ ექსპედიციით კმაყოფილნი დარჩნენ. რადგანაც ალპურ კლუბში გაერთიანების ბევრი მსურველია, პირველ შეკრებას ჭიათურაში ჩავატარებთ კლდეზე სპორტული ცოცვის მოყვარულთათვის, შემდეგ მთამსვლელთათვის ჭიუხებში მოვაწყობთ საკვალიფიკაციო შეკრებას, აგვისტოში ჩიტინისა და უშბის კედლების დალაშქვრას ვაპირებთ. დიდი მადლობა ილიას უნივერსიტეტის მესვეურებს, რომლებმაც ხელი გაგვიმართეს.

**ანა დულარიძე,** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხეკურსელი: - წინა წლებში უშბაზე ორჯერ ვიყავი, მაგრამ ახლა მოულოდნელად ველი მასთან ახალ შეხვედრას. რაც შეეხება მყინვარწვერს, ის უკვე მეოთხედ დავლაშქრე, ამჯერად ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად. ქარელის რაიონიდან ვარ. მთას მეკლდეურობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა იულია თურმანიშვილმა დამაკავშირა - მისი რჩევით მივედი ბატონ ლადო გურჩიანთან. ეს იყო ოთხი წლის წინათ... დღეს პროფესიონალი ალპინისტი ვარ, მიყვარს მთებთან ჭიდილი. კვლავაც სიამოვნებით ავედი მყინვარზე, იქიდან დანახული საქართველოს სილამაზე მაინც შეუდარებელია. სასურველია, რაც შეიძლება მეტმა ახალგაზრდამ შეიგრძნოს ეს მშვენიერება, ეზიაროს ცხოვრების ჯანსაღ წესს.

**ილია ბერულავა,** საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის წევრი: - ათი წელიწადია, სამთო გამყოლი ვარ, მყინვარზე ამსვლელებს ვეხმარები მის დალაშქვრაში. მწვერვალზე ექსპედიციის 21 წევრთან ერთად არასდროს ავსულვარ. რამდენიმე წელიწადია, ასეთი სტუდენტური ალპინიადა არ მოწყობილა. ილიაუნელებმა პირველებმა გაკვალეს გზა და, იმედია, მათ მაგალითს სხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებიც მიჰბაძავენ.

**ვაჟა დანელია**

ფოტო კომენტარით



გივი კარტოზია (მარცხნივ) და ვახტანგ ბალავაძე თბილისის სპორტის სასახლესთან (1990-იანი წლების დასაწყისი).

**გივი კარტოზია** და **ვახტანგ ბალავაძე** - არა მხოლოდ ქართული, მსოფლიოს საჭიდაო სამყაროს ამ ორ ლეგენდას წილად ხვდათ ბედნიერება საფალავნო საქართველოს ისტორიული ტრადიციებისთვის ღირსეულად დაედგათ გვირგვინი: ერთს - ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, მეორეს თავისუფალ ჭიდაობაში. ორივემ ერთად კი მადლიანი, რაინდული, მშობლიური, ქართული ჭიდაობის ღირსება გაიტანა საერთაშორისო სარბიელზე. ალბათ, სწორედ განგების ნება იყო, რომ გივი კარტოზია არა მხოლოდ ჭიდაობაში, საერთოდ პირველი იყო საქართველოდან, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. ღმერთმაც იცის და ერმაც, რომ ასეც უნდა ყოფილიყო. გივი კარტოზია სამუდამოდ დარჩა ქართული სპორტის ისტორიაში, როგორც ქართველი კაცის გენისა და ყოველგვარ კეთილ ღირსებათა განსახიერება.

ალიარება და დაფასება არც გივი კარტოზიას დაჰკლებია და არც ვახტანგ ბალავაძეს. ორივეს სახელს უკავშირდება თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირებიც. ამ კვირის პარასკევიდან კი მორიგ შეჯიბრებას უმასპინძლებს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის გივი კარტოზიას სახელობის სპორტის სასახლე.

**გურამ საღარაძე**
მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში

## ჩვენს მკითხველებს!

„ლელოს", ტრადიციულად, სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ერთგული მკითხველი ჰყავს. გაზეთთან მკითხველის ურთიერთობის გაღრმავების მიზნით მზად ვართ მათი დაკვეთით პუბლიკაციები მოვამზადოთ იმ თემებზე, რომელიც საერთო ინტერესს იწვევს.

რედაქციასთან ურთიერთობის დასამყარებლად ისარგებლეთ გაზეთის მეორე გვერდზე საცნობარო ბლოკში გამოქვეყნებული ნებისმიერი საკონტაქტო საშუალებით.

გამოგვეხმაურეთ!

„ლელოს" რედაქცია

## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

მშვილდოსნობა. მსოფლიოს თასი

# მეტოქედ კორეა გვერგო

ARCHERY WORLD CUP

Antalya, 6 – 12 June 2011

ჩვენმა მშვილდოსნებმა არც ისე წარმატებული სტარტი აიღეს ანთალიაში დაწყებულ მსოფლიოს თასზე. გუშინ შესარჩევ ეტაპში ქართველ ქალთაგან საუკეთესო **ხათუნა ნარიმანიძე** აღმოჩნდა, რომელმაც 1320 ქულა დააგროვა და 26-ზე გავიდა. ნარიმანიძემ ყველაზე უკეთ 60-მეტრიან დისტანციაზე ისროლა - 342 ქულით მესამე იყო, სხვებში კი ასე ვერ იყოჩაღა. ჩვენი გუნდიდან მეორე შედეგი არა ნაკრების სტაჟიან წევრებს, არამედ **ლანა ვერულიძეს** აღმოაჩნდა, თუმცა ამჯერად მისი მაჩვენებელი ბევრად დაბალია, ვიდრე ანთალიაში წინა სტუმრობისას, ევროპის „დიდ პრიზზე" - 1274 ქულა და 69-ე ადგილი. დანარჩენთაგან **ასმათ დიასამიძეს** კიდევ არა უშავს - 1266 ქულა და 76-ე ადგილი, აი, **ქრისტინე ესებუამ** კი ასე ცუდად როდის ისროლა, ვერ ვიხსენებთ - 1239 ქულა და 97-ე მაჩვენებელი 110 მონაწილეს შორის! გუნდურ პირველობაში ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი (ოღონდ უკრაინის სახელით) განსაკუთრებით სუსტად მოკლე დისტანციებზე გამოვიდა - 50-იანზე 100-ე იყო, 30-იანზე - 99-ე. აქვე შევნიშნავთ, რომ მას მოკლე მანძილებზე ანთალიაში წინა შეჯიბრებაზეც გაუჭირდა, ევროპის „დიდ პრიზზე", როცა იტალიელთა მოლდოველმა ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა **ნატალია ვალეევამ** 6-ქულიანი ჩამორჩენა ლამის ბოლომდე ამოუქაჩა - ჩვენებურმა საბოლოოდ მხოლოდ ქულით გაუსწრო. ნამდვილად ვერ გეტყვით, რა გახდა ესებუას ან დანარჩენების სუსტი გამოსვლის მიზეზი.

ცხადია, ასეთმა შედეგებმა გუნდურ ასპარეზობაზეც მოახდინა გავლენა - ნარიმანიძის, ვერულიძისა და დიასამიძის საერთო მაჩვენებელი 3860 ქულა აღმოჩნდა, რაც 16-ე შედეგი გამოდგა ანუ პლეი ოფში ბოლო ადგილით შევიდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველივე წრეში შესარჩევის მომგებ კორეელებს დაუპირისპირდებიან. ვერაფერს იტყვი, ძალიან ცუდი პერსპექტივაა.

იმის მიუხედავად, რომ კორეელები თურქეთში გადახალისებული გუნდით ჩავიდნენ, პირადი პირველობა მაინც მათი ტრიუმფით წარიმართა - სამეულში მხოლოდ ისინი არიან, შესარჩევის გამარჯვებული კი მსოფლიო რეიტინგის ლიდერი **ბო ბაე კი** გახდა. 1353 ქულით მეხუთეა ჩვენი ამერიკელი თანამემამულე **ხათუნა ლორიგი (ქვრივიშვილი)**, ხოლო თურქთა ქართველი **ნატო ნასარიძე** 1300-ით 45-ე ადგილზეა.

ვაჟთა შორის ერთადერთი მონაწილე გვყავდა - **ტარიელ ქადიძე**. მან 1202 ქულა დააგროვა, რაც 130 მონაწილეს შორის 122-ე შედეგი აღმოჩნდა.

**ირაკლი თავაძე**

პლაჟბურთი. მსოფლიოს ტური



# საქა-რთველომ კვალიფიკაცია დასძლია, გეორ-გიამ ვერა

პლაჟბურთის მსოფლიოს ტურის მორიგი ეტაპი, რომელიც რომში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის წინ პეკინში ტარდება, ვაჟთა ქართული წყვილისთვის წარუმატებელი გამოდგა. **გეორ-გიას** ასპარეზობის დაწყებამ საკვალიფიკაციო ეტაპზე მოუწია და, სამწუხაროდ, ტურნირის ძირითად ბადეში ვერ მოხვდა.

პირველ შეხვედრაში ჩვენმა ფრენბურთელებმა სამ სეტში მოუგეს კანადურ დუეტ რიდერ-სხლაკს - 21:13, 16:21, 15:11. მერე კი კვალიფიკაციის ბოლო მატჩში ნაკლებად ცნობილ ავსტრალიურ დუეტ **ბოემი-კაპასთან** დამარცხდნენ - 0:2 (17:21, 12:21).

ვაჟებისგან განსხვავებით უკეთ იასპარეზეს ქალებმა. **საქა-რთველომ** საკვალიფიკაციო ეტაპზე ორი შეხვედრა გამართეს და ორივე მოიგეს. ჩვენებმა ჯერ კანადელებს **მაკტავიშ-როდრიგოს** სძლიეს - 2:1 (21:15, 24:26, 15:12), მერე კი ძველი და კარგად ნაცნობი ლატვიური წყვილი **მინუსა-ჯურსონე** გამოთიშეს გათამაშებას - 2:1 (21:15, 9:21, 15:11).

საქა-რთველო, რომელიც ძირითად ბადეში 24-ე ნომრად განთესეს, დღეს ჯგუფურ ტურნირში ჩაებმება. H ჯგუფში მისი მეტოქეები იქნებიან 25-ე ნომრად განთესილი იტალიური დუეტი **გლორია-მომილი,** მე-9 ნომერი ჩინელები **უანგ-იუე** და მათი თანამემამულეები **ხუე-ჭანკი**, რომლებიც მე-8 ნომრად არიან განთესილნი.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ძიუდო

# ნოვატორული სემინარი

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ინიციატივით და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით თბილისში მწვრთნელთა სამდღიანი სემინარი დაიწყო, რომელსაც ძიუდოს ევროპული ფედერაციის რუმინელი ვიცე-პრეზიდენტი **დანიელ ლასკაუ** უძღვება. სემინარი ძიუდოს აკადემიაში ტარდება და, საბედნიეროდ, დიდი ინტერესი გამოიწვია - გუშინ, პირველ დღეს 50 მწვრთნელი ესწრებოდა, რომელთა დიდი ნაწილიც რაიონიდან იყო ჩამოსული. ლასკაუ თეორიულთან ერთად პრაქტიკულ მეცადინეობებსაც ატარებს. თეორიული სწავლება ყველაზე ქვედა საფეხურიდან - ბავშვთა სპორტიდან იწყება, პრაქტიკული კი სხვადასხვა ილეთების ჩვენება-სწავლებას მოიცავს.

ძიუდოს ფედერაციისთვის მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ამგვარი მეცადინეობის ჩატარება სტრატეგიული მიმართულებაა, თუმცა ეს არა მხოლოდ კვალიფიკაციის გაზრდას, არამედ მწვრთნელთა რანგებად დაყოფასაც ითვალისწინებს. პირველ ეტაპზე ასეთი დახარისხება საკუთარი ძალებით შეუძლებელია, რადგან საქართველოში ამგვარი მიდგომა აქამდე არ ყოფილა და, შესაბამისად, არც სერთიფიკატი აქვს ვინმეს. ამიტომ მოსალოდნელი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად ფედერაციამ ასე გადაწყვიტა - პირველ ეტაპზე მოიწვევს უცხოელს, რომელიც დაარიგებს მოწმობებს და დროთა განმავლობაში, როცა ჩვენში მწვრთნელთა რეიტინგები გამოიკვეთება, მერე უკვე თავისთავად გამოიყოფა მაღალკვალიფიციურ მწვრთნელთა კატეგორია, რომელიც მეცადინეობებს ჩაუტარებს დაბალკვალიფიციურებს.

ვფიქრობთ, ნამდვილად ნოვატორული იდეაა, რასაც სხვა ფედერაციებმაც უნდა მიჰბაძონ. ასეთი რეიტინგის დადგინება ძალიან ბევრ სადავო საკითხს მოაგვარებს და ყველაფერს თავის ადგილას დააყენებს. იქნებ უცხოელი მწვრთნელები სხვა ფედერაციებსაც ჩამოჰყავთ, ან იქ - აქაურებს აგზავნიან უცხოეთში; იქნებ ისინი სერთიფიკატებსაც იღებენ, მაგრამ ასე ორგანიზებულად აქცენტი შიდარეიტინგზე და სპეციალისტთა კატეგორიებად დახარისხებაზე არავის აუღია.

**ირაკლი თავაძე**

უნივერსიადა 2011

# ილიაუნი ისევ მეწინავეობს

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ინიციატივით ორგანიზებული „უნივერსიადა 2011"-ის პროგრამით გამართულ ღონისძიებათა სიას ხელბურთელ ვაჟთა პაექრობაც შეემატა. შეჯიბრებაში, რომელსაც სტუ-ს დარბაზმა უმასპინძლა, რვა გუნდი მონაწილეობდა. ქვეჯგუფებში გამართული წრიული შეხვედრების შემდეგ ნახევარფინალში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აგრარული უნივერსიტეტის ხელბურთელებს სძლიეს (41:19), გორის უნივერსიტეტმა კი „საქართველოს" აჯობა - 32:28. სტუ-მ გადამწყვეტ ორთაბრძოლაში გორელებიც დაამარცხა 42:13 და ოქროს მედალი მოიპოვა. მესამე ადგილზე აგრარული უნივერსიტეტის ხელბურთელები გავიდნენ. გამარჯვებულები და პრიზიორები სპორტის მინისტრის მოადგილემ **გია გალდავამ** და საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა **ნიკა ამაშუკელმა** დააჯილდოეს.

დღევანდელი მაჩვენებლებით საერთო გუნდურ ჩათვლაში ისევ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი მეწინავეობს - 14 ოქრო, 11 ვერცხლი, 14 ბრინჯაო, მეორე ადგილზეა სტუ (13, 14, 13), მესამეზე - აგრარული უნივერსიტეტი (10, 12, 20).

უნივერსიადის დამთავრებამდე პაექრობები ძალოსნობაში, სამბოში, ტაეკვანდოში, გოგონათა და ვაჟთა ფრენბურთში გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



ჰოკეი

# შავი ზღვის ლიგა დეკემბერში დაიწყება

ორი წლის წინათ ყინულის ჰოკეი საქართველოში აღმავლობას განიცდიდა - ბათუმსა და ბაკურიანში საერთაშორისო ტურნირები გაიმართა, ჩამოყალიბდა საქართველოს ნაკრების ბირთვი, რამდენჯერმე საზღვარგარეთ საწვრთნელი შეკრება და ტურნეც მოეწყო, ჩვენი ფედერაცია მსოფლიო ასოციაციაში გაერთიანდა, მაგრამ ფედერაციის პირველ პრეზიდენტ **დენის დავიდოვისა** და გენერალური მდივნის **ლაშა ცაგარეიშვილის** ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ პროცესები შეფერხდა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ თბილისის სპორტის სასახლესთან არსებული ყინულის სახლი ბათუმში გადაიტანეს, ხოლო დედაქალაქის არასტანდარტულმა საციგურაომ ჰოკეისტთა მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა. იყო სხვა მიზეზებიც...

დღეს საქართველოში ისევ დაიწყო ყინულისკენ მობრუნება. გვესაუბრება ყინულის ჰოკეის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი **ალექსანდრე ვაშაკიძე:**



ალექსანდრე ვაშაკიძე

- სამი ქვეყნის წარმომადგენელთა კარგა ხნის ბჭობის შემდეგ ჩამოყალიბდა ჰოკეისტთა „შავი ზღვის ლიგა", რომელშიც საქართველოს და სომხეთის თითო და თურქეთის ორი კლუბი იასპარეზებს. უფროსების პარალელურად 16-წლამდელთა პირველობაც გაიმართება. თამაშები სტარტს, სავარაუდოდ, ერზრუმში აიღებს, სადაც ყინულის 5 სტანდარტული მოედანი აქვთ. ერთ-ერთი სარბიელის ტრიბუნებზე ხუთი ათასი მაყურებელი ეტევა.

გუნდები 18-18 შეხვედრას გამართავენ. 3-3 ეტაპს წრიული სისტემით თურქეთი და საქართველო უმასპინძლებს. ერევნის საციგურაო სომხეთის ჰოკეის ფედერაციას არ ეკუთვნის, იჯარით აღება კი ძვირი უჯდებათ, ამიტომ ჩვენმა მეზობლებმა ამ ეტაპზე გუნდების მიღებაზე უარი თქვეს. რაც შეგვეხება ჩვენ, ბათუმში სტანდარტული საციგურაოს მშენებლობის დამთავრებას შემოდგომისთვის გვპირდებიან. იანვრამდე თუ ეს ვერ მოესწრო, მაშინ საშინაო მატჩებს ბაკურიანში გავმართავთ.

**- სომხებს ჰოკეის საერთაშორისო ასოციაციასთან პრობლემები ჰქონდათ...**

- დიახ, ასე იყო - მსოფლიოს ჩემპიონატის მე-3 დივიზიონის მატჩებისას სომხებმა ლოს ანჟელესიდან 20 ლეგიონერი მოიწვიეს, რომლებიც იქაურ ლიგებში თამაშობენ. ჩვენი მეზობლები მსოფლიო ფედერაციამ უწინაც გააფრთხილა ამგვარი საქციელისთვის, მაგრამ ყურად არ იღეს, რის გამოც მათი ნაკრები დისკვალიფიცირებულია და საერთაშორისო ტურნირებში ჯერჯერობით ვერ იასპარეზებს, კლუბებს კი ეს აკრძალვა არ ეხება. ისედაც, ჩვენი მიზანია, გუნდები ადგილობრივი ძალებით დავაკომპლექტოთ და ხელი შევუწყოთ სპორტის ამ სახეობის აღმავლობა-განვითარებას. „შავი ზღვის ლიგას" საერთაშორისო სტატუსი ექნება, რაც ექვსეტაპიან შეჯიბრებას უფრო დაძაბულსა და საინტერესოს გახდის.

**ვაჟა დანელია**

კარატე

# მეექვსე უძლიერესებში



კახა ბასილია ანკარაში

ამ დღეებში თურქეთის დედაქალაქმა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა კარატეში (გუნდური კუმიტე), სადაც 30 ქვეყანას შორის საქართველოს ნაკრებიც ასპარეზობდა. ყოველი ქვეყანა ერთი 5-კაციანი გუნდით იყო წარმოდგენილი. გუნდური კუმიტე (ორთაბრძოლა) ახალგაზრდებში და დიდებში გაიმართა.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ კარატე ოლიმპიურ სპორტის სახეობად მოიაზრება. იმ ფაქტმაც, რომ კარატე შეტანილია უნივერსიადისა და აზიის თამაშების პროგრამაში, ქვეყნების კარატეს ფედერაციების ბიუჯეტი რამდენიმე მილიონი დოლარით გაზარდა.

„ამჯერად ჩვენი ნაკრები ვერ გავიდა საპრიზო ადგილზე, მაგრამ საუკეთესო ექვსეულში მაინც მოხვდა. თუმცა, ყველასთვის მოულოდნელად, ჩვენებმა მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს, რუსეთის ნაკრებს სძლიეს. სამწუხაროდ, 2 საუკეთესო სპორტსმენი გვაკლდა ტრავმის გამო და მაინც, ცოტა გამართლება იყო საჭირო ფინალში მოსახვედრად. ვფიქრობ, სახელმწიფოს მხრიდან თუ სერიოზული დახმარება და მხარდაჭერა არ გვექნება, რაც არა მარტო ფინანსებში გამოიხატება, ნამდვილად გაგვიჭირდება მაღალი შედეგების მიღწევა მსოფლიოს და ევროპის ტატამებზე. დასარეგულირებელია სხვა საკითხებიც. საზოგადოება დაიბნა, უჭირს გაარკვიოს, რამდენი კარატეს ფედერაციაა და სად მიიყვანოს ბავშვი სავარჯიშოდ. სკოლის დირექტორები დარბაზებს იჯარით აძლევენ კარატეს ულიცენზიო ჯგუფებს და ესეც პრობლემაა. ეგრეთ წოდებულ კონტაქტური კარატეს ჯგუფებში ყოფილა ფატალური შემთხვევები, ტრავმები... ბავშვის გულის აცრუება საერთოდ სპორტულ ცხოვრებაზე", - განაცხადა ანკარიდან დაბრუნებულმა საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა ბასილიამ.** მან ასევე გულისტკივილით აღნიშნა, რომ „მასმედია ხშირ შემთხვევაში არც საქართველოს კარატეს ეროვნულ ფედერაციასთან და არც სპორტის სამინისტროსთან ათანხმებს გარკვეულ საკითხებს და დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელებით შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება".

**ნუგზარ ჭიაბერაშვილი,**
საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი

ქართველები ევროთასებზე

# სოხუმმა განაცხადა: ევროპა



## 14-წლიანი შესვენების მერე

1997 წლის შემდეგ პირველად ევროტურნირებზე ერთ სეზონში ორი ქართული გუნდი იასპარეზებს. „არმიამ“ საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში განაცხადი რომ წარადგინა, ორშაბათის ნომერში მოგახსენეთ. არმიელების შემდეგ ევროჩელენჯში ასპარეზობის განაცხადი „სოხუმმა“ გააკეთა.

შეიძლება ვინმეს გაუკვირდა, ევროტურნირებში თამაშისთვის ჩვენს ფედერაციაში განაცხადის შეტანა რა საჭიროაო. ახლავე გაგარკვევთ: ნებისმიერმა ქართულმა კლუბმა ევროპის საკლუბო შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი ჯერ ეროვნულ ფედერაციაში უნდა განაცხადოს. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა შეაფასებს, რამდენად მიზანშეწონილია გუნდის საერთაშორისო ასპარეზზე გაშვება და ამის მერე თავად გზავნის განაცხადს ფიბაში. ამას მოჰყვება შესატანის გადახდის პროცედურა და ივლისის დასაწყისში ევროჩელენჯის წილისყრა...

### ევროვოიაჟი ევროჩელენჯით

ევროპაში სულ სამი შეჯიბრებაა: ევროლიგა, ევროთასი და ევროჩელენჯი. ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე, ევროლიგაზე ქართველებს არავინ დაგვიშვებს, რადგან საკლუბო რეიტინგი მეტად დაბალი გვაქვს. 2002 წლის მერე ქართულმა კლუბებმა ევროპულ სარბიელზე მხოლოდ 4 მატჩი გამართეს და ოთხივე წააგეს. ასე რომ, სადღეისოდ „არმიასაც“ და „სოხუმსაც“ ევროვოიაჟის დაწყება ევროჩელენჯიდან მოუწევს.

ზემოთ წილისყრა ვახსენეთ და აქვე ტურნირის ფორმატში გაგარკვევთ: ჯგუფურ ეტაპზე 32 კლუბი ითამაშებს, რომლებიც 4-გუნდიან 8 ჯგუფად გაიყოფა. მატჩები მიმოსვლით (შინ და გარეთ) გაიმართება და მომდევნო ეტაპზე პირველ-მეორეადგილოსნები გავლენ...

...მაგრამ ჩვენთვის მთავარი ევროჩელენჯის საკვალიფიკაციო ეტაპია, რადგან ქართული კლუბები სწორედ აქედან დაიწყებენ ასპარეზობას. რამდენ ეტაპად გაიმართება საკვალიფიკაციო, ჯერ გარკვეული არ არის. ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენი გუნდი შეიტანს ფიბაში განაცხადს. როგორც არმიელები, ასევე სოხუმელები იმედოვნებენ, რომ საკვალიფიკაციო ბარიერს დასძლევენ და ჯგუფური ტურნირის მონაწილე 32 გუნდს შორის მოხვდებიან.

### ლეგიონერებით, ოღონდ კარგებით

ამის მიღწევა საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელებით დაკომპლექტებულმა „ენერჯიმ“ ვერ შეძლო. ყველასთვის ნათელია, რომ გუნდების გაძლიერებაა საჭირო. „არმია“ 3-4 კარგი ლეგიონერის დამატებას რომ აპირებს, ორშაბათის ნომერში მოგახსენეთ. ახლა „სოხუმზე“ ვიტყვით.

მთავარი კითხვა ასე ჟღერს: ვინ შეარჩევს საევროჩელენჯე შემადგენლობას? ანუ, ვინ გაწვრთნის „სოხუმს“? ამ კითხვებზე კონკრეტული პასუხის გაცემა შეგვიძლია, თუმცა ერთი „თუ“ მაინც უნდა დავამატოთ...

*- ლატვიაში გამგზავრებამდე ჩვენი გუნდის მთავარ მწვრთნელ აინარს ბაგაცკისს სამომავლო გეგმებზე ველაპარაკეთ. მან თქვა, „სოხუმში“ მომავალ სეზონშიც სიამოვნებით დავრჩებიო. ასე რომ, ახალი მწვრთნელის ძიება არ დაგვჭირდება. ბაგაცკისმა სუპერლიგის გაწვლილ გათამაშებაში დაგვანახა, რაოდენ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტია,* - გვითხრა სოხუმელთა მეორე მწვრთნელმა **ვაჟა კვარაცხელიამ**.

ზემონახსენები „თუ“ ახლა უნდა ავხსნათ: **აინარს ბაგაცკისთან** სამომავლო გეგმები შეთანხმებულია. იგი 2011-12 წლების სეზონში „სოხუმს“ დამოძღვრავს, თუ რომელიმე სუპერკლუბიდან არ მიიღო მიწვევა. იმედია, მწვრთნელთან კონტრაქტი მალე გაფორმდება და „თუც“ გამოირიცხება.

როგორც ყველა ნორმალურ კლუბში, შემადგენლობას მთავარი მწვრთნელი დააკომპლექტებს და სოხუმელებსაც ეიმედებათ, რომ ბაგაცკისი ძლიერ ლეგიონერებს შეარჩევს.

ჯერჯერობით ვერც იმას ვიტყვით, ვინ ჩაირიცხება „სოხუმში“ და ვერც იმას - ვინ დატოვებს გუნდს. ის კი ცნობილია, რომ შემადგენლობა 60-70 პროცენტით გადახალისდება. იმასაც ამბობენ, გუნდში მაღალი კლასის უცხოელებს ვიხილავთო. მათი შერჩევისთვის დროა საჭირო. ჩვენც ისღა დაგვრჩენია, მოთმინებით დაველოდოთ.

### ...ისევ 1997

მანამდე კი შესავალში ნახსენებ 1997 წელს დავუბრუნდებით. იმ სეზონში კორაჩის თასზე თბილისის „დინამომ“ ითამაშა, ხოლო ევროპის თასზე - „ვითამ“. დინამოელებმა საკვალიფიკაციო ბარიერი ვერ გადალახეს, ხოლო „ვითამ“ ჯგუფში გააღწია. მას მერე ქართულმა კლუბმა ევროშეჯიბრებაში 2002 წელს ითამაშა - **ლევან მოსეშვილის** გაწვრთნილმა „დინამომ“ „ჩელენჯ თასის“ ჯგუფში იასპარეზა. ამას მოჰყვა ხუთწლიანი შესვენება - 2007 და 2008 წლებში რუსთავის „ენერჯიმ“ ფიბას თასის საკვალიფიკაციო მატჩები ჩაატარა, ჯერ „ამსტერდამთან“, შემდეგ „სუმიხიმპრომთან“...

**ვაჟა სიმონიშვილი**

ევრობასკეტი

# 30 რუსი 14 ადგილისთვის

რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **დევიდ ბლატი** ევრობასკეტისთვის მზადებას შეუდგა. მან უკვე ჩამოწერა გაფართოებული შემადგენლობა, რომელშიც 30 კალათბურთელი მოხვდა.

მწვრთნელი შეკრებას ორ ეტაპად ჩაატარებს: ჯერ იმ კალათბურთელებს გაეცნობა, რომლებსაც საკუთარი შესაძლებლობები ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვთ, შემდეგ დამრტყმელ ძალას შეკრებს. პირველი ეტაპი 27 ივნისიდან 15 ივლისამდე გასტანს, ხოლო მეორე - 18 ივლისიდან დაიწყება...

ნაკრებში საუკეთესო შემადგენლობაა გამოძახებული: **ანდრეი კირილენკო, ჯეი არ ჰოლდენი, ტიმოფეი მოზგოვი, ვიქტორ ხრიაპა, სერგეი მონია...**

*- რუსეთის ნაკრების ძირითადი შემადგენლობა ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას ივლისის შუაში შეუდგება. გუნდს შეკრების პირველივე დღიდან შევუერთდები,* - განაცხადა „იუტა ჯაზის“ ფორვარდმა ანდრეი კირილენკომ.

აქამდე პრობლემატური იყო ნატურალიზებულის საკითხი, რადგან ცსკა-ს უკანახაზელმა ჯეი არ ჰოლდენმა ფიქრისთვის დრო ითხოვა. თუმცა, მწვრთნელი, დევიდ ბლატი რუსეთის კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა **ალექსანდრ კრასნენკოვმა** დაარწმუნა, რომ ჰოლდენს ნაკრებში დაბრუნება სურს. რუსი ჟურნალისტები ვარაუდობენ - თუ ჰოლდენი მაინც უარს იტყვის, ნაკრებში მიიწვევენ რუსეთის პასპორტის მქონე **კელი მაკარტის**, ან **ტრევის ჰენსონს**. თუმცა, იქვე დასძენენ - ჰოლდენის არყოფნით გამთამაშებლის პოზიციაზე პრობლემა გარდაუვალი იქნებაო.

შეგახსენებთ, ევრობასკეტზე საქართველოსა და რუსეთის ნაკრებების შეხვედრა 1 სექტემბერს გაიმართება.

**შესარჩევი. 27 ივნისი–15 ივლისი**

| | |
|---|---|
| 1. სემიონ ანტონოვი (ნიჟნი ნოვგოროდი) | 9. ანატოლი კაშიროვი (არისი, საბერძნეთი) |
| 2. დმიტრი გოლოვინი (ნიჟნი ნოვგოროდი) | 10. ალექსანდრ კორჩაგინი (სპარტაკი) |
| 3. მაქსიმ გრიგორიევი (ლოკომოტივი, კუბანი) | 11. ალექსეი კოტიშევსკი (სპარტაკი) |
| 4. პიოტრ გუბანოვი (დინამო) | 12. ვალერი ლიხოდეი (ტრიუმფი) |
| 5. ვიაჩესლავ ზაიცევი (ხიმკი) | 13. ივან ნელიუბოვი (ფემ) |
| 6. ვიქტორ ზვარიკინი (კრასნიე კრილია) | 14. დენის პოლოხინი (ცსკა) |
| 7. ალექსეი ზაზულინი (სპარტაკი) | 15. დმიტრი ხვოსტოვი (დინამო) |
| 8. ვლადიმირ ივლევი (დინამო) | 16. არტიომ იაკოვენკო (ნიჟნი ნოვგოროდი) |

**ძირითადი შემადგენლობა. 18 ივლისიდან**

| | |
|---|---|
| 1. სერგეი ბიკოვი (ცსკა) | 8. ტიმოფეი მოზგოვი (დენვერი, NBA) |
| 2. ანდრეი ვორონცევიჩი (ცსკა) | 9. სერგეი მონია (ხიმკი) |
| 3. ევგენი ვორონოვი (დინამო) | 10. ანტონ პონკრაშოვი (სპარტაკი) |
| 4. ალექსეი ჟუკანენკო (დინამო) | 11. ვიტალი ფრიდზონი (ხიმკი) |
| 5. ალექსეი კაუნი (ცსკა) | 12. ჯეი არ ჰოლდენი (ცსკა) |
| 6. ვიქტორ კეირუ (დინამო) | 13. ვიქტორ ხრიაპა (ცსკა) |
| 7. ანდრეი კირილენკო (იუტა, NBA) | 14. ალექსეი შვედი (ცსკა) |



რუსეთის ნაკრებში ჰოლდენიც გამოიძახეს

ბავშვთა კალათბურთი

# ვაკეში ფესტივალი გაიხსნა

ვაკეში კალათბურთის აკადემიის დარბაზში ახალგაზრდული ფესტივალი დაიწყო. შეჯიბრება ყოველწლიურად ტარდება 11-წლამდელ მოზარდთა შორის. საკალათბურთო ფესტივალში 10 გუნდი მონაწილეობს, რომლებიც 2 ჯგუფში არიან განაწილებულნი.

**I ჯგუფი:** „მართვე“, „ორბი“, „გორი“, „რუსთავი“, „ბოლნისი“.

**II ჯგუფი:** „აკადემია“, „მართვე 2“, „ჰიუნდაი“, „ქუთაისი“, „ზესტაფონი“.

ფესტივალი წრიული სისტემით გაიმართება. ჯგუფებში ყველა გუნდი თითოჯერ შეხვდება ერთმანეთს და ჩემპიონობისთვის პირველ ადგილზე გასულები იბრძოლებენ.

გვერდი მოამზადა **ვაჟა სიმონიშვილმა**

ქართველები სლოვენიაში



# ხელის განწვდენაზე ოქროა

სლოვენიის ფინალური სერიის დაწყებამდე **გიორგი შერმადინმა** აღნიშნა:

*- მართალია, რეგულარულ ეტაპზე კრკა-მ გვაჯობა და ფინალში მოედნის უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ ეს ჩვენთვის არაფერს ნიშნავს. შეგვიძლია მეტოქის დამარცხება როგორც საკუთარ ასევე მისსავე მოედანზე.*

სერიის ორი მატჩის შემდეგ ანგარიში 1:1 იყო. მესამე შეხვედრა კრკა-ს მოედანზე, ნოვო მესტოში გაიმართა და გიორგის სიტყვების სიმართლეშიც დავრწმუნდით: „ოლიმპიამ“ შეხვედრა მეტად დამაჯერებლად ჩაატარა და დამსახურებულად გაიმარჯვა - 69:63. შესაბამისად, ოლიმპიელები 2:1 დაწინაურდნენ და ჩემპიონის მორიგ ტიტულსაც მიუახლოვდნენ. სერია სამ მოგებამდეა და ლიუბლიანელებს მომდევნო მატჩში, საკუთარი ქომაგის თვალწინ შეძლიათ საჩემპიონო თასის ალმართვა. ეს შეხვედრა „ოლიმპიას“ „შტოჟიცე არენაზე“ 9 ივნისს გაიმართება.

მწვრთნელმა **მირო ალილოვიჩმა ვლადიმერ ბოისა** სასტარტო ხუთეულში დააყენა, თუმცა მხოლოდ 11 წუთი ათამაშა. ბოისამ მატჩი 3 მოხსნით დაასრულა (მეტოქის კალათის მიმართულებით ერთხელაც არ უსვრია). გიორგი შერმადინს 14 წუთი ერგო. ჩვეული ეფექტურობით ვერც ის გამოირჩა: 3 ქულა, 4 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. გიორგიმ 3 ორქულიანი ააცილა და 4-დან 3 საჯარიმო გამოიყენა.

მწვრთნელმა სასტარტო ხუთეულში ნომინალური ცენტრი არ დააყენა, რითაც მიგვანიშნა, რომ აქცენტს სწრაფ თამაშსა და პერიმეტრზე აკეთებდა. ჩანაფიქრმა გაამართლა - ოლიმპიელებმა 10 სამქულიანი ჩააგდეს (17-დან), მაშინ როცა მასპინძლებმა 19-დან 4 სამიანი გამოიყენეს.

საოცარი სამქულიანი ჩააგდო სირენამდე 37 წამით ადრე კრკა-ს ფორვარდმა **კრივეჩმა** - შორეული ტყორცნის შემდეგ ბურთი რგოლს მოხვდა და ფარს ზემოთ ავარდა, იქიდან კი პირდაპირ კალათაში ჩაეშვა. ამ სამქულიანის წყალობით კრკა-მ ჩამორჩენა 2 ქულამდე დაიყვანა. საპასუხო შეტევაში „ოლიმპიას“ ბურთი რომ არ ჩაეგდო, მასპინძლებს გამარჯვების რეალური შანსი უჩნდებოდათ, მაგრამ სირენამდე 26 წამით ადრე მოედნის კუთხიდან **კენი გრეგორიმ** ორქულიანი გამოიყენა, სხვაობა 4 ქულამდე გაზარდა და მატჩის ბედიც გადაწყვიტა. საფინალო ანგარიშიც გრეგორიმ დააფიქსირა - 69:63.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ფასი მხოლოდ პირველს, საუკეთესოს აქვს

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის გათამაშება ელიტურ, პირველ დივიზიონში დასრულდა. ურთიერთობა გასარკვევი ახლა მხოლოდ ფედერალ 1 დივიზიონის გუნდებს აქვთ, სადაც ელიტური, მეორე დივიზიონის ორი საგზურისთვის პლეი ოფის ნახევარფინალში ქართველ მორაგბეთა სამი გუნდი იბრძვის.



მამუკა გორგოძე

მანამდე კი, ფრანგული რაგბის სამყარო ჯერ კიდევ ჩემპიონატის ფინალის პერიპეტიების შთაბეჭდილების ქვეშაა და ამ შეხვედრაზე სპორტულ მედიაში არაერთი წერილი დაიწერა. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონის ტიტული წილად ხვდა ფრანგული რაგბის გრანდ „ტულუზს“, რომელმაც ფინალში **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გოდერძი შველიძისა** და **გიორგი ჩხაიძის** „მონპელიე“ დაამარცხა - 15:10.

ფრანგულმა ყოველდღიურმა სარაგბო გაზეთმა „მიდი ოლიმპიკმა“ ფინალში გამორჩეულ მოთამაშეებთან შეხვედრა გადაწყვიტა. „მონპელიედან“ რჩეულთა შორის მოხვდნენ კაპიტანი, საფრანგეთის ნაკრების მესამეხაზელი **ფულენსე უედრაოგო** და მამუკა გორგოძე.

აი, რას წერს საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეზე გაზეთის ჟურნალისტი **ემანუელ მასიკარი**.

*„გორგოძე მონპელიელთა გუნდის სიმბოლოა. თამაშის შემდეგ პარიზში მას ერთ-ერთ პაბში დავშორდით, სადაც ახლობლებთან ერთად დამარცხებას „ზეიმობდა“. ცხადია, საზეიმო არაფერი იყო, აშკარად ეტყობოდა, რომ წაგებამ ძალიან გააწბილა, მაგრამ ზოგჯერ ცხოვრებაში ასე ხდება, რომ არ იტირო, უნდა იცინო და იმღერო.*

*მეორე დილას დათქმულ ადგილას, დათქმულ დროს შევხვდი. მისალმებისას თავისი ღონიერი ხელი ხელზე მომიჭირა, და გულღია, ფართო ღიმილი მაჩუქა. ქართველი მესამეხაზელი ძალიან წყნარი, გაწონასწორებული ადამიანი აღმოჩნდა. ნახევარი საათის განმავლობაში ვსაუბრობდით, მიყვებოდა, როგორ ეამაყებოდა, საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალში რომ ითამაშა და რაოდენ დიდია მარცხით გამოწვეული მწუხარება.*

*მისი სწრაფვა გამარჯვებისკენ სათავეს ჯერ კიდევ ბავშვობიდან იღებს. „მამაჩემი ყოველთვის მეუბნებოდა, მეორე ადგილი არაფერს ნიშნავს, ფასი მხოლოდ პირველს, საუკეთესოს აქვსო“ - მითხრა მამუკამ. ერთმა უბრალო, თბილისელმა ბიჭმა თავისი შესაძლებლობების რეალიზების საშუალება რაგბიში მოახერხა და ეს თამაში მისი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდა“.*

გასულ უქმეებზე ქართველი ლეგიონერების სპორტულ ცხოვრებაში კიდევ ერთი ღირშესანიშნავი ფაქტი მოხდა. საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „ტულონის“ შერკინების ბურჯმა **დავით ქუბრიაშვილმა** „ბარბაროსების“ შემადგენლობაში მეორე მატჩში ითამაშა.

„ბარბაროსებმა“ კარდიფში, „მილენიუმზე“ უელსის ნაკრები 31:28 დაამარცხეს. შეხვედრა მასპინძლების უპირატესობით მიმდინარეობდა - და „მსოფლიოს ნაკრებმა“ გამარჯვება მეტოქეს ხელიდან მატჩის ბოლო წუთზე გამოჰგლიჯა. ქუბრიაშვილი პირველი მატჩისგან განსხვავებით, რომელიც ერთი კვირით ადრე ლონდონში, „თვიქნემზე“ ინგლისის ნაკრებთან გაიმართა, ამჯერად სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 65-ე წუთიდან ჩაერთო.

ბარბაროსები: **15. ისა ნაკევა, 14. პაულ სასკი, 13. სერუ რაბენი, 12. მატიო ბასტარო, 11. დაგ ჰაულიტი, 10. ბრუკ ჯეიმზი, 9. სებასტიან ტილუს-ბორდე. 1. ლესტინ ტომასი, 2. სებასტიან ბრუნო, 3. კარლ ჰეიმანი, 4. იოსეფა ტეკორი, 5. პაულ ტიტო, 6. ჯო ფან ნიკერკი, 7. მარტინ ვილიამსი, 8. სერჯო პარისე.**

**16. ლეონარდო ჯილარდინი, 17. დავით ქუბრიაშვილი, 18. ერიკ ლანდი, 19. ჯორჯ სმითი, 20. ლოიდ ვილიამსი, 21. ვილი მესონი, 22. ბენუა ბები.**

5ლ: **ტეკორი, ნაკევა (2), პარისე, ბასტარო. 3გ: ჯეიმზი.**

ევროთასები



# მონპელიე, კასტრი და კლერმონი ევროთასებზე

ევროპის სარაგბო ევროთასების წილისყრა გუშინ „თვიქნემზე“ გაიმართა. მომავალი სეზონიდან ყველაზე პრესტიჟულ „ჰაინეკენის თასის“ გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა სამი გუნდი იასპარეზებს.

**მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გიორგი ჩხაიძის, გოდერძი შველიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე“, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა C ჯგუფში მოხვდა. მისი მეტოქეები იქნებიან „ჰაინეკენის თასის“ წლევანდელი გათამაშების გამარჯვებული ირლანდიური „ლენსტერი“, ინგლისის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი „ბასი“ და შოტლანდიის ჩემპიონი „გლაზგო“.

**ანტონ ფეიქრიშვილისა** და **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი“ A ჯგუფში ითამაშებს. კასტრელებს ურთიერთობის გარკვევა მოუწევთ ირლანდიურ „მანსტერთან“, ინგლისურ „ნორსჰემპთონთან“ და უელსურ „ჰლანეჰლისთან“.

საფრანგეთის ექსჩემპიონი, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი“ კი D ჯგუფში მოხვდა. „ვულკანებს“ მეოთხედფინალში გადასასვლელად ინგლისური „ლესტერის“, ირლანდიური „ალსტერის“ და იტალიური „აირონის“ წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევთ.

**A ჯგუფი:** მანსტერი (ირლ), ნორსჰემპთონი (ინგ), ჰლანეჰლი (უელ), კასტრი (საფ)

**B ჯგუფი:** კარდიფი (უელ), ლონდონ აირიში (ინგ), ედინბურგი (შოტ), მეტრო რასინგი (საფ).

**C ჯგუფი:** ლენსტერი (ირლ), ბასი (ინგ), გლაზგო (შოტ), მონპელიე (საფ).

**D ჯგუფი:** ლესტერი (ინგ), კლერმონი (საფ), ალსტერი (ირლ), აირონი (იტ)

**E ჯგუფი:** ბიარიცი (საფ), ოოსფრიზი (ირლ), სარასენზი (ინგ), ბენეტონი (იტ)

**F ჯგუფი:** ტულუზი (საფ), ჰარლიქუინზი (ინგ), გლოსტერი (ინგ), ქონოთი (ირლ)

IRB-ს ერთა თასი

# ბუქარესტში ერთა თასისთვის

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები რუმინეთში გაემგზავრა, სადაც 10 ივნისიდან IRB-ს ერთა თასის გათამაშებაში იასპარეზებს. **რიჩი დიქსონმა** თან ის მორაგბეები იახლა, ვისაც სხვადასხვა მიზეზის გამო „ბორჯღალოსანთა“ რიგებში წლეულს თამაშმა იშვიათად მოუწია. მათ შორის ბევრი საკმაოდ სტაჟიანი და ბევრიც ახალბედა მოთამაშეა.

ბუქარესტული ბატალიები ამ მორაგბეებისთვის ბოლო შანსი იქნება ახალ ზელანდიაში, მსოფლიოს თასზე წამსვლელთა სიაში მოხვდნენ. **კარლენ ასეიშვილი** (ორიაკი), **შალვა მამუკაშვილი** (ყოჩები), **გივი ბერიშვილი** (ლოკომოტივი), **გიორგი ბეგაძე** (ყოჩები) და **გიორგი ჯიმშელაძე** (კლერმონი) ეროვნული ნაკრების კვართს პირველად მოირგებენ.

„ბორჯღალოსანთა“ რიგებს დაუბრუნდნენ **ილია ზედგინიძე** (სენ რაფაელი), **გოდერძი შველიძე** (მონპელიე), **აქვსენტი გიორგაძე** (კასტრი), **დიმიტრი ბასილაია** (ობენა), **ალექსანდრე თოდუა** (ლელო), **მალხაზ ურჯუკაშვილი** (გურდო) და **დავით ქუბრიაშვილი** (ტულონი), რომელმაც ახლახან „ბარბაროსების“ შემადგენლობაში უელსის ნაკრებთან ითამაშა.

სიახლეა მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქის, რუმინეთის ეროვნული გუნდის ბანაკში. „მუხის ფოთლების“ ფრანგმა მწვრთნელმა **პიერ ანტონენმა** ახალი ფიზმომზადების მწვრთნელი **ოლივიე რიგლი** მიიწვია. ის 2008 წლამდე საფრანგეთის ელიტური, პირველი დივიზიონის „ბიარიცში“ მუშაობდა, მერე კი 2010 წლამდე მეორედივიზიონელ „დაქსს“ წვრთნიდა. რიგლი რუმინელებს IRB-ს ერთა თასსა და მსოფლიოს თასზე საასპარეზოდ მოამზადებს.

**საქართველოს ნაკრები**

შერკინება: ვასილ კაკოვინი (ბრივი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), გოდერძი შველიძე (მონპელიე), კარლენ ასეიშვილი (ორიაკი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), შალვა მამუკაშვილი (ყოჩები).

მეორე ხაზი: ილია ზედგინიძე (სენ რაფაელი), ვახტანგ მაისურაძე (სენ ნაზერი), გიორგი ნემსაძე (მონტობანი)

მესამე ხაზი: დიმიტრი ბასილაია (ობენა), სიმონ მაისურაძე (ვილერბანი), ზვიად მაისურაძე, გივი ბერიშვილი (ორივე-ლოკომოტივი), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი).

№9: ბიძინა სამხარაძე (არმია), გიორგი ბეგაძე (ყოჩები)

№10: ლაშა ხმალაძე (ლელო)

№12-13: ირაკლი გიორგაძე (აია), გიორგი ჯიმშელაძე (კლერმონი), რეზო გიგაური (ფიჟაკი), ალექსანდრე თოდუა (ლელო)

№11-14: ლექსო გუგავა (ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია), ბექა ურჯუკაშვილი (ფიჟაკი)

№15: ბესიკ ხამაშურიძე (აია), მალხაზ ურჯუკაშვილი (გურდო)

**IRB-ს ერთა თასი**

**10 ივნისი**

რუმინეთი-ნამიბია, საქართველო-სამხრეთ აფრიკა კინგზი, არგენტინა A - პორტუგალია

**15 ივნისი**

საქართველო-არგენტინა A, რუმინეთი-სამხრეთ აფრიკა კინგზი, პორტუგალია-ნამიბია

**19 ივნისი**

პორტუგალია-სამხრეთ აფრიკა კინგზი, საქართველო-ნამიბია, რუმინეთი-არგენტინა A



საქართველო-შოტლანდია A. 2010 წელი

მსოფლიოს თასი

# ფიჯიმ 43 მორაგბეს უხმო

ფიჯის ნაკრების მწვრთნელმა **სემ დომონიმ** ეროვნული ნაკრების გაფართოებული შემადგენლობის 43-კაციანი სია გამოაქვეყნა. საწვრთნელ შეკრებაზე, რომელიც ერთი კვირის შემდეგ დაიწყება, გუნდს კიდევ შვიდი მოთამაშე დაემატება, რომლებსაც ამ დროისთვის ტრავმები აწუხებთ.

საბოლოოდ დომონიმ მსოფლიოს თასისთვის 30 მოთამაშე უნდა შეარჩიოს, თუმცა მას ერთი ძალიან სერიოზული პრობლემის გათვალისწინება მოუწევს. ახალი ზელანდიის მთავრობა ფიჯის იმ მოქალაქეებს, რომლებიც სამხედრო პირები, ამჟამინდელი მთავრობის წარმომადგენლები და მათი ოჯახის წევრები არიან, ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლის უფლებას არ აძლევს. ერთი ხანობა ფიჯელები მსოფლიოს თასის ბოიკოტირებას აპირებდნენ, მაგრამ დაარწმუნეს, რომ ეს მათ კარგა არაფერს მოუტანდა.

**ფიჯის ნაკრები**

სერემია ბაიკენიკუ, ვიტორია ბუატავა, სირელი ბობო, ლიკენა ბოლაკორო, ტევიტა კავუბატი, ვაისეა დავეტა, ადრიუ დელაი, გრეჰემ დევისი, რავაი ფატიაკი, ვერენიკი გონევა, სეკონაია კალოუ, სუნია კოტო, სისა კოიამაიბოლე, ვამე ლევარავუ, ნიკი ლიტლი, გებრიელ ლოვობალავუ, ვაისალე ლუვენიალი, კემპეს მააფუ, ბენჯამინ მაკუტუ, დიკონ მანუ, ტანიელა მარავუნავასვასა, მასი მატადიგო, ჯოშუა მატავესი, კინი მურიმურვალუ, ტომიკი ნაგუსა, ჯიმილაი ნაიკადავა, ჯონ ნაილიკო, სირელი ნაგელევუკი, აკაპუსი ქერა, სერუ რაბენი, მალაკაი რავოლო, იფერემი რავაკა, სტეფანო სამოსა, ნემია სერელევუ, ნეტანი ტალეი, ტალემაიტოგა ტუაპატი, ვაისალე ვატუკოვა, ვილიამე ვეიკოსო, მალაკაი ვოლაუ, ნაპოლიონი ვონოვალე, ალბერტ ვულივული, დომინიკო ვაკანიბუროტუ, აპისალომე ვაქატაბუ.

ზე რაგბი

# არეული ტურის არეული სიმბოლური

ზერაგბის გათამაშების მე-16 ტური საკმაოდ უცნაური და მოულოდნელობებით დახუნძლული გამოდგა. სწორედ ამიტომაა, რომ ტურის სიმბოლურ ნაკრებში ყველაზე მეტი - სამ-სამი წარმომადგენელი გათამაშების „სამოსნებს“, ბლუმფონტეინის „ჩიტაზს“ და პერთის „ფორსს“ ჰყავს.

ორ-ორი მორაგბე მიავლინეს საუკეთესოთა შორის პრეტორიის „ბლუ ბულზმა“, კეიპთაუნის „სტორმერზმა“ და სიდნეის „ვორათაზმა“. თითო-თითო ჰყავს კანბერის „ბრამბიზს“, ჰემილთონის „ჩიფსს“ და ველინგთონის „ჰარიკენზს“.

**სიმბოლური ნაკრები**

15. ქართლი ბეილი (ვორათაზი), 14. რაიან ვილჯოენი (ჩიტაზი), 13. ჯაკ ფური (სტორმერზი), 12. მაა ნონუ (ჰარიკენზი), 11. დევიდ სმითი (ფორსი), 10. ჯეიმზ სტენარდი (ფორსი), 9. სარელ პრეტორიუსი (ჩიტაზი). 1. დენ გრეილინგი (ბლუ ბულზი), 2. სტივენ მური (ბრამბიზი), 3. ვი პი ნელ (ჩიტაზი), 4. ნათან შარპი (ფორსი), 5. ვიქტორ მეტფილდი (ბლუ ბულზი), 6. ლიამ მესამი (ჩიფსი), 7. კრის ალოკი (ვორათაზი), 8. დან ვერმიულენი (სტორმერზი).

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1



ჟან ტოდტი

# ერთი ეტაპი ზედმეტია

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **ჟან ტოდტი** აცხადებს, რომ 2011 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში ბაჰრეინის გრანპრის დაბრუნება ამ ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის დაწვრილებით შესწავლის შემდეგ გადაწყვიტა.

*„ჩვენი სპეციალური წარმომადგენელი ბაჰრეინში ხვდებოდა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების წევრებს,* - განაცხადა ტოდტმა BBC-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. - *მას უამრავ ადამიანთან ჰქონდა შეხვედრა და მხოლოდ ამის შემდეგ შეადგინა დასკვნა, რომელსაც ერთხმად დავუჭირეთ მხარი“.*

მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაცია Avaaz-მა გაავრცელა საკუთარი განცხადება, სადაც ფედერაციის ცნობებისგან რადიკალურად განსხვავებული ფაქტებია მოყვანილი.

*„აბსოლუტურად არ შეესაბამება სიმართლეს ფედერაციის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს ბაჰრეინში სიმშვიდე აღდგა და ცხოვრება ნორმალურ რიტმს დაუბრუნდა,* - ამბობს Avaaz-ის დირექტორი **ალექს უილქსი**. - *ბოლო კვირას მშვიდობიანი დემონსტრანტების დასაშლელად პოლიციამ ცრემლსადენი გაზი, რეზინის ტყვიები და ხმოვანი ყუმბარები გამოიყენა, დახოცა და დაასახიჩრა ათობით ადამიანი“.*

ბრიტანული გამოცემა „ავტოსპორტი“ ასევე იტყობინება, რომ Avaaz-ის აქტივისტებმა დაახლოებით 450 ათასი ხელმოწერა შეაგროვეს მოწოდებით - ბოიკოტი გამოუცხადონ ბაჰრეინის გრანპრის.

ჟან ტოდტის სიტყვებით, ფედერაცია გააგრძელებს ამ ქვეყანაში მოვლენათა განვითარებისთვის თვალყურის დევნებას: *„თუ ჩვენ მყარ მტკიცებულებებს მოგვაწვდიან იმაზე, რომ სიტუაცია დაიძაბა და იქ ჩასვლა რისკთან არის დაკავშირებული, რა თქმა უნდა, ამას აუცილებლად გავითვალისწინებთ“.*

ჯერჯერობით ჩემპიონატში მონაწილე არც ერთ საჯინიბოს კომენტარი არ გაუკეთებია შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, მაგრამ ასოციაცია FOTA-მ, რომელიც HRT-ის გარდა ყველა გუნდს აერთიანებს თავის რიგებში, მოკლე განცხადება გაავრცელა: *„FOTA-ის უკლებლივ ყველა წევრი აღიარებს გადაწყვეტილებას, რომელიც ფედერაციის მსოფლიო საბჭომ მიიღო. იმედია, საკითხს ჩვენს ორგანიზაციასთან ერთად განიხილავენ, რის შემდეგაც იქნება შემუშავებული ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო მკაფიო პოზიცია“.*

თუმცა იმავე BBC-ის ინფორმაციით, „ფერარის“ ხელმძღვანელმა **სტეფანო დომენიკალიმ** ფედერაციის სხდომის დროს ბაჰრეინის გრანპრის დაბრუნებას დაუჭირა მხარი. იგივე პოზიცია დაიკავა „ფორს ინდიას“ მფლობელმა **ვიჯეი მალიამ**.

■ ■ ■

გუშინვე ტოდტმა 2012 წლის სეზონის კალენდრის შესახებ გააკეთა კომენტარი. ერთ-ერთ წინა ნომერში ჩვენ უკვე შემოგთავაზეთ საგაისო ჩემპიონატის განრიგის წინასწარი ვერსია. კალენდარში სარეკორდო - 21 ეტაპია შეტანილი, თუმცა ავტოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი ამბობს, რომ ჩემპიონატში 20 გრანპრი გაიმართება, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ-ერთ ქვეყანას უარი უნდა უთხრან.

*„აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ ამაში. 21 თარიღი გვაქვს, მაგრამ მხოლოდ 20 ეტაპი ჩატარდება“,* - ამბობს ტოდტი.

თუმცა ფრანგი ჩინოვნიკი ვერ აზუსტებს, რომელი ეტაპი იქნება ზედმეტი. ვარაუდობენ, ეს შეიძლება იყოს ბაჰრეინი, თურქეთი ან აშშ.

ჰოკეი. NHL პლეი ოფი. ფინალი

# გაბრაზებული დათვები

გადამწყვეტი სერიის მესამე მატჩი არა მარტო ფინალის, არამედ მთლიანად პლეი ოფის ყველაზე სანახაობრივი დაპირისპირება გამოვიდა. ბოსტონელმა გულშემატკივრებმა ნამდვილი ჯოჯოხეთი დაახვედრეს „ვანკუვერის“ ჰოკეისტებს. ფანები ერთი წამით არ გაჩუმებულან. მათ მხოლოდ ერთხელ შეწყვიტეს ყვირილი, როცა პირველი პერიოდის მეექვსე წუთზე სტუმრების მცველ **რომთან** შეჯახებისას მძიმე ტრავმა მიიღო „ბოსტონის“ ფორვარდმა და ამ პლეი ოფში გამარჯვების გოლების სპეციალისტმა **ნათან ჰორტონმა**. ექიმები დიდი ხანი დასტრიალებდნენ თავს მასპინძელთა თავდამსხმელს და ბოლოს ის საკაცით გაიყვანეს მოედნიდან. სხვათა შორის, როცა მატჩი დასრულდა, ჰორტონის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ჯერ კიდევ არაფერი იყო ცნობილი. ახლა ის საავადმყოფოში რჩება და იქ დაახლოებით ორ დღეს გაატარებს.

ჰორტონის ტრავმამ კიდევ უფრო შეაკავშირა „ბოსტონის“ მოთამაშეები, რომლებიც წინ წავიდნენ და მართალია, ვერ გამოიყენეს ხუთწუთიანი უპირატესობა, მაგრამ ცხადი ჩანდა, რომ იმ დღეს მასპინძლების შეჩერება შეუძლებელი იქნებოდა.

თითოეული გოლის აღწერას აზრი არ აქვს. საერთო ჯამში „ბოსტონმა“ ისეთი ჰოკეი აჩვენა, რომელიც გულგრილს არ დატოვებდა სპორტის ამ სახეობის არც ერთ თაყვანისმცემელს.

„დათვებმა“ ბოლო ორი პერიოდში რვა გოლი გაიტანეს, არადა, წინა 10 პერიოდში „ვანკუვერის“ კარი მხოლოდ სამჯერ აიღეს.

სხვათა შორის, ვერ ვიტყვით, რომ „ვანკუვერმა“ ინერტულად ჩაატარა ეს შეხვედრა - კანადელებიც ხშირად უტევდნენ და ამის დამადასტურებელია **ტიმ ტომასის** მიერ მოგერიებული 40 დარტყმა. რვა გაშვებული გოლის გარდა, „კენაქსის“ კარის დარაჯს **რობერტო ლუონგოს** 30 დარტყმის მოგერიებამ მოუწია.

საინტერესოა, რომ ამ პლეი ოფში „ბოსტონმა“ ყველა წინა სერიის მესამე მატჩი მოიგო და საბოლოოდ გამარჯვებული გამოდიოდა, ასე რომ, სამი მატჩის შემდეგ „ვანკუვერის“ ლიდერობის მიუხედავად, ამ ფინალში ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. მომდევნო შეხვედრას კვლავ ბოსტონი უმასპინძლებს.

**ბოსტონი–ვანკუვერი 8:1**

**0:0, 4:0, 4:1**

**გოლები**: 1:0 ფერენსი-3 (პეველი-7, კრეისი-9), 2:0 რეკი-4 (რაიდერი-7, ფერენსი-6), 3:0 მარშანი-7, 4:0 კრეისი-11 (რაიდერი-8, ხარა-5), 5:0 პეი-3 (ბოიჩუკი-5), 5:1 ჰანსენი-3 (ტორესი-3, ლაპიერი-2), 6:1 რეკი-5 (მარშანი-7, პ. ბერჟერონი-13), 7:1 კელი-5, (პეი-3, ხარა-6), 8:1 რაიდერი-6 (ტ. კაბერლე-9).

**სერია: 1-2**



ტრავმირებული ჰორტონი

კალათბურთი

# მეომრებს ჯექსონი გაწვრთნის

„გოლდენ სტეიტ უორიორზს“ მომავალი სეზონისთვის ახალი მწვრთნელი ეყოლება - ეს გახლავთ წარსულში ცნობილი გამთამაშებელი **მარკ ჯექსონი**. ის „მეომრების“ დამრიგებლის პოსტზე **კიტ სმარტს** შეცვლის. ეს ჯექსონის დებიუტი იქნება NBA-ის კლუბის მთავარი მწვრთნელის რანგში.

„უორიორზმა“ „3+1“ სისტემით გაუფორმა ხელშეკრულება ჯექსონს. სამი წლის განმავლობაში ახალბედა მწვრთნელი დაახლოებით ექვს მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.



მარკ ჯექსონი

ჯექსონმა NBA-ში 17 სეზონი ითამაშა. ამ დროის განმავლობაში ის ხუთი კლუბის - „კლიპერსის“, „ინდიანას“, „დენვერის“, „ტორონტოს“, „იუტასა“ და „ჰიუსტონის“ ღირსებას იცავდა. მარკი 1988 წელს სეზონის საუკეთესო ახალბედად დაასახელეს. მან თავის გუნდებთან ერთად 14-ჯერ მიაღწია პლეი ოფის ეტაპს. დღევანდლამდე ჯექსონი საკალათბურთო ანალიტიკოსად მუშაობდა ESPN-ისა და ABC-ის ტელეარხებზე.

■ ■ ■

ამასობაში „გოლდეს სტეიტთან“ დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო ცნობა გავრცელდა. კერძოდ, ამ გუნდის ხელმძღვანელობამ მოლაპარაკებები დაიწყო „ფილადელფიასთან“ „ვარსკვლავური“ ტრეიდის განხორციელებაზე. „უორიორზი“ მზად არის მცველი **მონტა ელისი** ამავე ამპლუის **ანდრე იგუოდალაში** გაცვალოს.

ამით „უორიორზი“ ცდილობს გააძლიეროს პოზიციები პერიმეტრზე და დაცვაში. იგუოდალას პარტნიორები შეიძლება გახდნენ ისეთი მოთამაშეები, როგორებიც არიან **სტივენ კარი** და **დორელ რაიტი**. ელისის შეძენით „ფილადელფიას“ შეეძლება უფრო აქტიურად ჩართოს თამაშში შარშანდელი დებიუტანტი **ევან ტერნერი** და თან შეამსუბუქოს სახელფასო ბიუჯეტი.

ელისს სამწლიანი კონტრაქტი დარჩა, რომლის მიხედვითაც ის 33 მილიონს მიიღებს, იგუოდალას ხელფასი გაისად 13.5 მილიონი იქნება და ყოველ მომდევნო ორ სეზონში 1.2 მილიონით გაიზრდება.

# მილანს სკარიოლო გაწვრთნის

იტალიის ერთ-ერთი წამყვანი გუნდის - „მილანის“ ახალი მთავარი მწვრთნელი გახდა ესპანეთის ნაკრების ამჟამინდელი დამრიგებელი **სერჯო სკარიოლო**. ამ მწვრთნელმა, როგორც იქნა, იპოვა აპენინებზე სამუშაო.

კლუბმა და სკარიოლომ გუშინ შეათანხმეს ახალი კონტრაქტის დეტალები. ახალი მწვრთნელის პრეზენტაცია 9 ივნისს სპეციალურ პრესკონფერენციაზე გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ ბოლო კლუბი, რომელსაც იტალიელი სპეციალისტი ავარჯიშებდა, რუსული „ხიმკი“ იყო.

■ ■ ■

მწვრთნელის გარდა „მილანი“ ახალი კალათბურთელების შეძენაზეც ზრუნავს. რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ მადრიდის „რეალმა“ თავისი რიგებიდან დაითხოვა 34 წლის არგენტინელი მცველი **პაბლო პრიჯიონი**. არადა, ვეტერანს „სამეფო კლუბში“ ცუდი სეზონი არ ჰქონია. გუშინ კი გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ევროპაში ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებლით „მილანის“ ხელმძღვანელობა დაინტერესდა.

მომდევნო სეზონისთვის მილანურ გრანდს სოლიდური ბიუჯეტი გაუმაგრებს ზურგს, ამიტომაც პრიჯიონის შეძენის პრობლემა არ ექნება. თანაც ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სკარიოლოც დაინტერესებულია ვეტერანი მცველის გადაბირებით.

წელს ევროლიგაზე არგენტინელი საშუალოდ 26 წუთს თამაშობდა და ამ დროის განმავლობაში 5.4 ქულასა და 3.4 შედეგიან პასს აკეთებდა.

ველოსპორტი

# ალბერტო, მოერიდე ტურს!

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს ხელმძღვანელმა **დევიდ ჰოუმენმა** საკუთარი პოზიცია დააფიქსირა ივლისში ტურ დე ფრანსზე **ალბერტო კონტადორის** სავარაუდო მონაწილეობაზე. შეგახსენებთ, რომ ამ დღეებში სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ აგვისტოს დასაწყისისთვის გადადო „კლენბუტეროლის საქმის“ განხილვა, თუმცა წინასწარი გეგმის მიხედვით ტურ ფრანსის დაწყებამდე აპირებდა საბოლოო ვერდიქტის გამოტანას კონტადორის საქმესთან დაკავშირებით.

*„ფორმალურად მას სრული უფლება აქვს ფრანგულ ველომარათონზე გამოვიდეს,* - განაცხადა ჰოუმენმა. - *ეს მისი გადასაწყვეტია. მაგრამ მე მას არ ვურჩევდი ამის გაკეთებას“.*

კონტადორის თქმით, მას ჯერ არ მიუღია ტურში მონაწილეობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება. წელს ესპანელს ტიტულის დაცვა უწევს საფრანგეთის გზებზე.

# ლიტველების გაფართოებული

წლევანდელი ევრობასკეტის მასპინძლის - ლიტვის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კიასტუტის კემზურამ** თავისი გუნდის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა.

სიაში 20 კალათბურთელი შედის და ისინი მალე ევრობასკეტისთვის მზადებას დაიწყებენ. ამ ეტაპზე ლიტვის ნაკრების შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მცველები**: მანტას კალნიეტისი, ტომას დელინინკაიტისი, მარტინას პოციუსი (ყველა - „ჟალგირისი“), მარტინას გეციავიჩუსი („ლეტუვოს რიტასი“), მინდაუგას ლუკაუსკისი („ოლდენბურგი“, გერმანია), რენალდას სეიბუტისი („ოლინი“, თურქეთი), რიმანტას კაუკენასი („მონტეპასკი“, იტალია), შარუნას იასიკიავიჩუსი („ფენერბაჰჩე“, თურქეთი);

**თავდამსხმლები**: პაულიუს იანკუნასი, მინდაუგას კუზმინსკასი (ორივე - „ჟალგირისი“), სიმას იასაიტისი, არტურას იომანტასი (ორივე - „ლეტუვოს რიტასი“), დონატას მოტეიუნასი („ბენეტონი“, იტალია), კშიშტოფ ლავრინოვიჩი („მონტეპასკი“, იტალია), დარიუს სონგაილა („ფილადელფია“, NBA), დეივიდას გაილიუსი („ვირტუსი“, იტალია);

**ფორვარდები**: რობერტას იავტოკასი („ჟალგირისი“), იონას ვალანჩიუნასი („ლეტუვოს რიტასი“), დარიუშ ლავრინოვიჩი („ფენერბაჰჩე, თურქეთი), მარიონას პეტრავიჩუსი („მილანი“, იტალია).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი

# ბალახის სეზონი ხურდება


ფელისიანო ლოპესი

ამ კვირას მიმდინარე ოთხი ტურნირის პირველი დღე საკმაოდ მდიდარი იყო საინტერესო მოვლენებით.

ლონდონში უკვე რამდენიმე განთესილი ჩოგბურთელი ჩაება ბრძოლაში. ამერიკელმა **სემ კუერიმ** ათი ეისი გააკეთა იაპონელი **კეი ნიშიკორის** წინააღმდეგ. ამ მხრივ კიდევ უფრო შორს წავიდა ესპანელი **ფელისიანო ლოპესი**, რომელმაც 18 ეისი ჩაუწოდა რუს **დმიტრი ტურსუნოვს**.

**რაიან სვიტინგს** ვერ უშველა ბრეიკ-პოინტების ასპროცენტიანმა რეალიზაციამ. მას ერთხელ მიეცა ხორვატი **ივან ლუბიჩიჩის** მოწოდების ალების შანსი და გამოიყენა კიდეც. სხვა მხრივ კი გამოცდილი ლუბიჩიჩი ერთი თავით მაღლა იდგა მეტოქეზე.

ალვნიშნავთ აგრეთვე თურქ **მარსელ ილჰანის** თამაშს, რომელმაც იმ დღეს 12 ეისი მიითვალა ჩეხი **იან ჰაიეკის** წინააღმდეგ და იოლად გაიარა პირველი წრის ბარიერი.

■ ■ ■

ჰალეს ტურნირიდან მთავარი ამბავი ის იყო, რომ ამ ქალაქში ჩასვლასა და შარშანდელ ფინალში გასვლისთვის მოპოვებული სარეიტინგო ქულების დაცვას არ აპირებს **როჯერ ფედერერი**.

აქ გამართული მატჩებიდან უნდა გამოვყოთ გერმანელი **ფილიპ კოლშრაიბერის** გამარჯვება თავის თანამემამულე **სედრიკ შტებესთან** მატჩში, აგრეთვე ტაივანელი **იენ-ჰსუნ ლუს** მოგება ფინელ **იარკო ნიემინენთან**. ყველაზე საინტერესო მატჩი კი ხორვატმა **ივან დოდიგმა** და ესპანელმა **პეპე რიბამ** ითამაშეს. მთელი შეხვედრის განმავლობაში ერთი ბრეიკიც არ დაფიქსირებულა და მაყურებელმა ორი ტაი-ბრეიკი იხილა. მათი შედეგების მიხედვით უფრო ძლიერი დოდიგი აღმოჩნდა. აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ ორივე მოთამაშემ ამ შეხვედრაში 13-13 ეისი შეასრულა. ხორვატმა შვიდი ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა, რიბას კი ასეთი მხოლოდ ერთი შანსი ჰქონდა.

■ ■ ■

ბირმინგემში ქალთა ტურნირზე ასევე პირველი წრე დაიწყო და აქაც საქმეში რამდენიმე განთესილი ჩოგბურთელი ვიხილეთ. სტაბილურად აგებს პირველი რაუნდის მატჩებს იაპონელი **კიმიკო დატე**, რომელიც ახლოა კარიერის დასრულებასთან. აზიელს განთესვის მე-12 ნომერი ჰქონდა, მაგრამ მისი მეტოქე, გერმანელი **საბინ ლისიცკი** ბოლო დროს კარგად გამოიყურება, ამიტომაც მისი გამარჯვება სენსაციად არ ჩაითვლება.

გაცილებით მოულოდნელი შედეგი იყო **ბოიანა იოვანოვსკის** წაგება **სარა გრონერთან** - ამ სამსეტიან მატჩში გერმანელმა 12 ეისი ჩააწოდა, ზუსტად ორჯერ მეტი, ვიდრე მისმა მეტოქეს.

პირველ დღეს ყველაზე ცოტა მატჩი დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში გაიმართა, თუმცა აქ მეორე ნომრად განთესილი **კლარა ზაკოპალოვა** გამოეთიშა ბრძოლას. მისი დამარცხება **კატრინ ვიორლემ** მოახერხა. თანაც გერმანელმა ძალიან იოლად და დამაჯერებლად გაიმარჯვა - ამისთვის მას მხოლოდ 64 წუთი დასჭირდა.

# უიმბლდონამდე არაფერი შეიცვლება


ნოვაკ ჯოკოვიჩი

კარიერაში მესამედ როლან გაროსის ნახევარფინალში გასვლის შემდეგ **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** გაზარდა თავისი მონაგარი ATP-ის რეიტინგში, მაგრამ ჯერ ვერ მოახერხა პირველი ადგილიდან **რაფაელ ნადალის** ჩამოქვეითება, სამაგიეროდ, ძალიან მიუახლოვდა ესპანელს. 25 წლის რაფაელსა და 24 წლის ნოვაკს შორის სხვაობა მინიმალურია - მხოლოდ 45 ქულა (სწორედ ამდენ ქულას იძლევა „დიდი სლემის" ტურნირის მეორე წრეში გასვლა).

უკვე დანამდვილებით არის ცნობილი, რომ უიმბლდონამდე ჯოკოვიჩი ვერ მოახერხებს ნადალის გასწრებას. როგორც უკვე ვწერდით, სერბმა მუხლის მცირე ტრავმა მოიმიზეზა და უარი თქვა ამ კვირას ლონდონში თამაშზე. თავის მხრივ, ესპანელი ბრიტანეთის დედაქალაქში ითამაშებს და გამარჯვების შემთხვევაში, უმნიშვნელოდ (მაქსიმუმ - 160 ქული), მაგრამ შეძლებს ჯოკოვიჩზე უპირატესობის გაზრდას.

უიმბლდონზე კი რეიტინგის პირველი ადგილისთვის მართლაც დიდი ბრძოლა გაიმართება. შარშანდელ ჩემპიონს რაფაელ ნადალს იქ 2000 ქულის დაცვა მოუწევს, იმ დროს, როცა შარშანდელი ნახევარფინალისტი ჯოკოვიჩი მხოლოდ 720 ქულას იცავს. ცხადია, რომ ასეთ სიტუაციაში სერბს რეიტინგში პირველად გალიდერების ყველაზე რეალური შანსი გაუჩნდა.

თუ ჯოკოვიჩი მოახერხებს ფინალში გასვლას, ის ნებისმიერ შემთხვევაში გახდება კლასიფიკაციის ლიდერი - ნადალთან გადამწყვეტი მატჩიც რომ წააგოს.

თავის მხრივ, როჯერ ფედერერს ამ მომენტში მესამე ადგილზე ზემოთ ასვლის შანსი არ გააჩნია, მაგრამ ვერც ამ პოზიციაში შეეცილება ვინმე.

# როჯერმა პაუზა აიღო


როჯერ ფედერერი

გერმანული ჰალეს ტურნირის ხუთგზის ჩემპიონმა (2003-06, 2008), მსოფლიოს მესამე ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** უარი თქვა ამ კვირას მიმდინარე ტურნირში თამაშზე. ამის შესახებ 29 წლის შვეიცარიელმა საკუთარ ვებგვერდზე დაწერა. როგორც „დიდი სლემის" ტურნირების 16-გზის ჩემპიონი ამბობს, მისი უარის მიზეზი საზარდულის ტრავმაა.

*„ძალიან იმედგაცრუებული ვარ, რადგან ჰალეში ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ტურნირი ტარდება, მაგრამ ჩემს ორგანიზმს და ტრავმირებულ საზარდულს ახლა დასვენება სჭირდება. არ მინდა უიმბლდონის წინ რისკზე წასვლა, რადგან დაზიანების გამიზეზების საფრთხე არსებობს. ამიტომაც ჩემს გუნდთან კონსულტაციის შემდეგ გადავწყვიტე ტურნირიდან განაცხადი გამომეტანა"*, - აღნიშნა ფედერერმა, რომელმაც წინადღეს როლან გაროსის ფინალი წააგო ესპანელ **რაფაელ ნადალთან**.

შეგახსენებთ, რომ როჯერმა შარშან ჰალეს ფინალამდე მიაღწია, მაგრამ იქ ავსტრალიელ **ლეიტონ ჰიუიტთან** წააგო. სხვათა შორის, შვეიცარიელს წლევანდელ გათამაშებაში პირველ წრეში უნდა ეთამაშა ლეიტონის წინააღმდეგ.

ამბები

ჰოკეი

## ჰოკეიდან უწესო ბრძოლებში

წარსულში ცნობილმა ჰოკეისტმა, ძალისმიერი თამაშით განთქმულმა **დონალდ ბრაშირმა** შერეულ საბრძოლო ხელოვნებაში (MMA) სცადა ბედი - მან აქ სადებიუტო ბრძოლა ჩაატარა.

39 წლის ბრაშირის მეტოქე გახდა **მატიო ბერჟერონი** და ყოფილმა ჰოკეისტმა შთამბეჭდავ გამარჯვებას მიაღწია - დაწყებიდან 21 წამზე ნოკაუტი დააფიქსირა.

აღსანიშნავია, რომ MMA - 100-პროცენტიანი კონტაქტური ორთაბრძოლაა და ჰოკეისგან განსხვავებით აქ ნებადართულია წაქცეული მეტოქისთვის თავში დარტყმა.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში ბრაშირმა ჩრდილო ამერიკის ერთ-ერთ დაბალ ლიგაში ითამაშა, მანამდე ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ათასზე მეტი მატჩი ჩაატარა.

ბიატლონი

## მკურნალობა დოპინგით

მსოფლიოს 2011 წლის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, უკრაინელი **ოქსანა ხვოსტენკო** დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს. სპორტსმენმა აკრძალული პრეპარატი სწორედ პლანეტის პირველობის დროს მიიღო. კერძოდ, ხველების სამკურნალოდ ხვოსტენკო სიროფს ხმარობდა, რომლის შემცველობაში იყო აკრძალული პრეპარატი ეფედრინი.

უკრაინელის საქმე უკვე განიხილა ბიატლონისტთა საერთაშორისო კავშირმა და საბოლოო ვერდიქტის შესახებ რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

2003 წლიდან მოყოლებული ხვოსტენკოს მსოფლიოს ჩემპიონატებზე ხუთი მედალი აქვს მოპოვებული, თუმცა აქედან არც ერთი ოქროსი არ არის.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2012** | |
| **შესარჩევი** | |
| აზერბაიჯანი-გერმანია | 1:3 |
| ფარერები-ესტონეთი | 2:0 |
| ბელარუსი-ლუქსემბურგი | 2:0 |
| ბოსნია-ალბანეთი | 2:0 |
| შვედეთი-ფინეთი | 5:0 |
| სან მარინო-უნგრეთი | 0:3 |
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 21** | |
| ლიტვა-მალტა | 1:2 |
| სომხეთი-ჩერნოგორია | 4:1 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ავსტრალია-სერბეთი | 0:0 |
| იაპონია-ჩეხეთი | 0:0 |
| კორეა-განა | 2:1 |
| სინგაპური-მალდივი | 4:0 |
| ნორვეგია-ლიტვა | 1:0 |
| გაბონი-გამბია | 0:1 |
| რუსეთი-კამერუნი | 0:0 |
| ავსტრია-ლატვია | 3:1 |
| ირლანდია-იტალია | 2:0 |
| ვენესუელა-ესპანეთი | 0:3 |
| **Under 21** | |
| ესტონეთი-ლატვია | 1:0 |
| **ისლანდია** | |
| ბრეიდაბლიკი-ფრამი | 1:1 |
| ტორი-ვესტმანაიეარი | 2:1 |
| რეიკიავიკი-ჰაფნარი | 2:0 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ურალი-სიბირი | 3:2 |
| გაზოვიკი-ენისეი | 3:4 |
| შინიკი-ლ. ენერგია | 0:0 |
| ტორპედო (მ)-ალანია | 0:0 |
| დინამო (ბრ)-სკა ენერგია | 0:2 |
| ჩერნომორეცი-ტორპედო (ვ) | 0:0 |
| ჟემჩუჟინა-ნ. ნოვგოროდი | 1:0 |
| ფაკელი-მორდოვია | 0:0 |
| ხიმკი-კამაზ | 0:3 |
| ბალტიკა-ვოლგარი | 1:0 |
| **კალათბურთი** | |
| **რუსეთი** | |
| ენისეი-კრ. კრილია | 87:78 |
| უნიქსი-ხიმკი | 54:60 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ჰალე** | |
| მეფერტი-**პეტცშნერი** | 2:6, 6:7 |
| გოლუბევი-**ხიმ. ტრავერო** | 6:1, 6:7, 2:6 |
| ტროიცკი-ზვერევი | 6:2, 6:3 |
| რაონიჩი-ანდუხარი | 6:3, 6:1 |
| **ფ. მაიერი**-ბრაუნი | 7:6, 2:6, 6:3 |
| ჰაასი-**სეპი** | 2:6, 7:6, 3:6 |
| **ბერდიხი**-ბემელმანსი | 5:7, 7:6, 6:4 |
| **მონფილსი**-სერა | 6:4, 6:3 |
| **ATP. ლონდონი** | |
| დევარმანი-**ებდენი** | 5:7, 3:6 |
| გრემელმაირი-**რასელი** | 3:6, 5:7 |
| **მალისე**-ბახინგერი | 6:4, 6:4 |
| **დელ პოტრო**-ისტომინი | 6:4, 6:2 |
| **შტეპანეკი**-სოედა | 6:1, 6:3 |
| **როდიკი**-ფ. ლოპესი | 7:6, 6:7, 6:4 |
| **ნალბანდიანი**-მარჩენკო | 6:3, 6:4 |
| **ტიპსარევიჩი**-კავჩიჩი | 6:4, 6:4 |
| **ვერდასკო**-მაუ | 6:2, 6:3 |
| გულბისი-**მანარინო** | 3:6, 3:6 |
| კარლოვიჩი-**ანდერსონი** | 4:6, 6:7 |
| **კუერი**-შუტლერი | 7:6, 5:7, 6:3 |
| **ცონგა**-ბერერი | 6:0, 6:1 |
| ვავრინკა-**უორდი** | 6:7, 3:6 |
| **ლოდრა**-ბენეტო | 6:4, 7:5 |
| **WTA. ბირმინგემი** | |
| ს. ზახვალოვა-**დელაკუა** | 5:7, 6:7 |
| გარსია-**ბროუდი** | 2:6, 7:6, 4:6 |
| **შვედოვა**-ჟენგი | 6:2, 7:6 |
| გალოვიტცი-**დოი** | 4:6, 2:6 |
| **ჰლავაჩკოვა**-კრეიბასი | 6:3, 6:1 |
| **მორიტა**-ტომლიანოვიჩი | 6:3, 3:6, 7:6 |
| მირზა-**პაჩეკი** | 3:6, 6:4, 2:6 |
| ან. როდიონოვა-**მაკჰეილი** | 6:3, 6:7, 2:6 |
| **რიბარიკოვა**-ვანდევეგე | 6:2, 6:1 |
| **რეზაი**-გოვორცოვა | 7:5 უარი |
| ვინჩი-**ლუჩიჩი** | 7:6, 6:7, 5:7 |
| კანეპი-**არ. როდიონოვა** | 4:6, 2:6 |
| **WTA. კოპენჰაგენი** | |
| მანასიევა-**ლარსონი** | 3:6, 3:6 |
| გლეტჩი-**ბარტელი** | 2:6, 5:7 |
| სევასტოვა-**ჰალეპი** | 7:6, 6:7, 0:6 |
| **ბ. ზახვალოვა**-არვიდსონი | 6:2, 6:1 |
| ოუდინი-**კრაიჩეკი** | 1:6, 5:7 |
| **საფაროვა**-კონტა | 4:6, 7:5, 6:3 |
| **ჟანგი**-ბოსერუპი | 6:2, 6:3 |
| დოკიჩი-**ვოსკობოევა** | 3:6, 1:6 |
| **ვოზნიაცკი**-ფალკონი | 6:2, 6:3 |
| **მატეკი**-ეიდესგაარდი | 6:4, 6:0 |
| **კერბერი**-პლიშკოვა | 6:2, 6:2 |

TV პროგრამა

### 8 ივნისი. ოთხშაბათი

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-გოდოი კრუსი.
**11:00** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:00** ამხანაგური მატჩი. გერმანია-ურუგვაი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ტოტენჰემი.
**16:00** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. იტალია-კუბა. შვეიცარია.
**18:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:30** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. ჰოლანდია-კუბა. შვეიცარია (LIVE).
**20:30** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. იაპონია-იტალია. შვეიცარია (LIVE).
**22:30** სპორტის ვარსკვლავები.
**23:00** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**00:00** იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-პალერმო.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. იტალია-კუბა.
**12:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. დალასი-მაიამი. მეოთხე მატჩი.
**14:30** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. ჩინეთი-გერმანია. შვეიცარია.
**16:30** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. აშშ-პერუ. შვეიცარია.
**18:30** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. 1/2 ფინალი. ტულუზა-კლერმონი.
**20:00** ცურვა. ხმელთაშუა ზღვის სერია (Mare Nostrum). II ეტაპი. კანი. საფრანგეთი (LIVE).
**21:45** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:00** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. პერუ-გერმანია. შვეიცარია (LIVE).
**01:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. დალასი-მაიამი. მეოთხე მატჩი.

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**04:00** ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. ფინალი. ბოსტონი-ვანკუვერი. მეოთხე მატჩი (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

**18:25** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. ჰოლანდია-კუბა. შვეიცარია (LIVE).
**20:25** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. იაპონია-იტალია. შვეიცარია (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

**14:00** ATP-ის ტური. ჰალე. გერმანია (LIVE).

**SPORT+**

**20:00** ცურვა. საერთაშორისო სერია - MARE NOSTRUM. კანი. საფრანგეთი (LIVE).
**04:00** ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. ფინალი. ბოსტონი-ვანკუვერი. მეოთხე მატჩი (LIVE).

**EUROSPORT**

**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. III დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**18:30** ველოსპორტი. კრიტერიუმ დოფინე. IV ეტაპი. საფრანგეთი (LIVE).
**19:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. III დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**22:00** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი-ახალგაზრდული ფესტივალი. 1/2 ფინალი. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**18:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. III დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**20:00** ავტოსპორტი. ლე მანის 24 საათი. თავისუფალი პრაქტიკა. საფრანგეთი (LIVE).
**22:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. იტალია (LIVE).
**00:00** ავტოსპორტი. ლე მანის 24 საათი. კვალიფიკაცია. საფრანგეთი (LIVE).

მძლეოსნობა

# მარათონი 43 დღეში

პარალიზებულმა სპორტსმენმა ლონდონის ოლიმპიადის ფინიშს სტარტიდან 43 დღის (!) შემდეგ მიაღწია.

ტრიუკების ყოფილი ოსტატი **ენდი კიდი** თითქმის თვე-ნახევრის განმავლობაში მიდიოდა ფინიშამდე. შესაშურია ერთ დროს ერთ-ერთი საუკეთესო მოტორაიდერის სითამამე და მამაცობა. დამბლის მიუხედავად, მან ასეთი სარისკო ნაბიჯი გადადგა - მარათონი ძალიან დამღლელი გამოცდაა ნებისმიერი დებიუტანტისთვის. 42 კილომეტრის გარბენა ბევრს არ შეუძლია, რომ აღარაფერი ვთქვათ უნარშეზღუდული ადამიანების შესაძლებლობებზე.

კიდს ფინიშზე უამრავი მეგობარი შეეგება, მათ შორის ჰოლივუდის ვარსკვლავი **რეი უინსტონი**. *„ედის გამო ძალიან ამაყი ვარ*, - განუცხადა გაზეთ „სანს" ჩვენი გმირის მეუღლემ. - *ეს საუკეთესო იყო, რაც მას აქამდე გაუკეთებია"*.

ამ მარათონის წყალობით კიდმა 75 ათასი ევრო შეაგროვა ქველმოქმედებისთვის.

ედი კიდმა პარალიჩი 1996 წელს ცუდად შესრულებული ილეთის შემდეგ მიიღო. დაცემისას დაზიანდა ტვინის მარცხენა ნახევარსფერო და ექიმებმა განაცხადეს, რომ ის ველარ შეძლებდა სიარულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. საფრანგეთის ღიას შემდეგ

# ერთ-ერთი საუკეთესო ვარ და ესეც მაკმაყოფილებს

**რაფაელ ნადალი მეექვსედ გახდა როლან გაროსის ჩემპიონი, რითაც ლეგენდარული ბიორნ ბორგის რეკორდი გაიმეორა. გარდა ამისა, ესპანელი მეექვსე ადგილზე გადავიდა „დიდ სლემზე" გამარჯვებების (10) რაოდენობით, შეინარჩუნა პირველი ადგილი რეიტინგში... გასაგებია, რომ ფინალში როჯერ ფედერერის დამარცხების შემდეგ ნადალი სიამოვნებით არიგებს ინტერვიუებს.**



**- არაერთხელ გითქვამთ, რომ როლან გაროსი თქვენთვის განსაკუთრებული ტურნირია. რატომ?**

- როგორც წესი, „დიდი სლემის" ოთხივე ჩემპიონატიდან სწორედ აქ მაქვს გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი. ამიტომაც, ეს ტურნირია ჩემთვის სეზონის მთავარი მიზანი. თუ მის მოგებას ვახერხებ, ვთვლი, რომ სეზონი წარმატებული იყო. ამასთან, პარიზში გამარჯვება მიადვილებს სეზონის მეორე ნაწილში თამაშს, მიხსნის ზედმეტ დაძაბულობას და სხვა ტიტულების მოგებაში მეხმარება.

**- რაში იყო ამჯერად თქვენი გამარჯვების საიდუმლო?**

- პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ როჯერმა ბრწყინვალე ტურნირი ჩაატარა - თავიდან ბოლომდე. ფინალში მას ოდნავ არ გაუმართლა პირველ სეტში, მეორეში შეძლო სიტუაციის გათანაბრება და ბრწყინვალე ჩოგბურთი აჩვენა, მაგრამ ისევ იღბალმა აქცია ზურგი. მესამე პარტიაში ის შეუდარებელი იყო. როცა როჯერს ასეთი ჩოგბურთი გამოსდის, მეტოქეს არაფრის გაკეთება არ შეუძლია. მისი ბექჰენდი ასეთი ხარისხიანი არასოდეს ყოფილა. ადრე მუდმივად მარცხნივ ვურტყამდი და ასე თუ ისე ვაკონტროლებდი მის ბექჰენდს, მაგრამ ამჯერად ძალიან გამიჭირდა. როგორ გამოვძვერი ასეთი სიტუაციიდან? საკუთარ შანსს ველოდი, ვცდილობდი მუდმივად შემენარჩუნებინა კონცენტრაცია, არ მიმეცა მისთვის იოლი ბურთები. ვფიქრობ, გადამწყვეტი მომენტი იყო მეოთხე სეტის პირველი გეიმი, როცა 0:40-დან გადავარჩინე საკუთარი მოწოდება. მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვი: როჯერი ბრწყინვალედ თამაშობდა და ეს იყო ძალიან რთული გამარჯვება.

**- ფედერერმა ბრწყინვალე ნახევარფინალი ჩაატარა ჯოკოვიჩის წინააღმდეგ, თქვენთან 5:2 დაწინაურდა. იმ მომენტში ეჭვი ხომ არ შეგეპარათ საბოლოო გამარჯვებაში?**

- პარიზში ფედერერის წინააღმდეგ უარესი სტარტიც მქონია. მაგალითად, 2006 წლის ფინალში, როცა პირველი პარტია 1:6 წავაგე. ასე რომ, 2:5 საშიში არ ყოფილა. რა თქმა უნდა, პირველი პარტია ყოველთვის მნიშვნელოვანია, რადგან მატჩის დარჩენილი ნაწილის ხასიათს განსაზღვრავს. მაგრამ პირველი სეტი მხოლოდ პირველი სეტია. გრუნტზე მატჩები დიდხანს გრძელდება და გამორიცხულია მთელი შეხვედრის განმავლობაში უმაღლესი დონის შენარჩუნება და უშეცდომოდ თამაში. როჯერს მატჩის დებიუტში ყველაფერი გამოსდიოდა, შემდეგ კი, როგორც გითხარით, მე უფრო გამიმართლა.

**- ეს როლან გაროსი არც ისე დამაჯერებლად დაიწყეთ, მაგრამ მაინც შეძელით ტიტულის მოგება. რა მოხდა ტურნირის მსვლელობის დროს?**

- ხანდახან ასეთი რამ ხდება. გასულ კვირას ვთქვი, რომ ყველაფერს გავაკეთებდი სიტუაციის შესაცვლელად. საბოლოოდ, შევძელი ჩემი საუკეთესო ჩოგბურთის ჩვენება, რაც ყველაზე მეტად მჭირდებოდა ამ სიტუაციაში. ამიტომაც არის ეს მოგება განსაკუთრებულად ღირებული ჩემთვის. მაგალითად, 2008 წელს ჩემი საუკეთესო როლან გაროსი ჩავატარე - ყველა მატჩი სამ სეტში მოვიგე - მეოთხედფინალი, ნახევარფინალი, ფინალი. იმდენად იოლად მოდიოდა გამარჯვებები, ბოლო ქულის აღების შემდეგ არ მქონდა შეგრძნება, რომ მართლაც მოვიგე ტურნირი. როცა გამარჯვებისთვის რეალურად ბრძოლა გიწევს, როგორც ეს წელს იყო, უფრო მეტად აფასებ ტრიუმფს.

**- ტურნირის რა ეტაპზე იგრძენით საკუთარ ძალებში დამაჯერებლობა? ეს იყო მეოთხედფინალი სიოდერლინგის წინააღმდეგ?**

- საინტერესოა, რომ ვარჯიშებზე თავიდანვე ბრწყინვალედ ვგრძნობდი თავს. მაგრამ კორტზე გასვლისთანავე საიდანღაც ჩნდებოდა ნერვიულობა. მეორე მხრივ, როცა ვარჯიშებზე თავს კარგად გრძნობ, უკვე იცი, რომ სწორ გზას ადგახარ და ეს ნებისმიერ შემთხვევაში გეხმარება. შემდეგ კი დგება გადამწყვეტი მომენტი. გადიხარ კორტზე სიოდერლინგის მსგავსი ძლიერი მოთამაშის წინააღმდეგ და იცი, რომ თუ არ აჩვენებ კარგ ჩოგბურთს, შინ გამგზავრება მოგიწევს. ამჯერად შევძელი საკუთარი თამაშის გამოსწორება.

**- ე. ი. სიოდერლინგმა გაიძულათ რაღაც დამატებითი რეზერვები გეძებნათ?**

- სწორედ ასეა. ცუდად გამოვიყურებოდი პირველ რაუნდებში იმის გამო, რომ მეტოქეთა დონე არ ითხოვდა ჩემგან მეტს. ამავდროულად ვგრძნობდი: თუ ჩემი შემდეგი მეტოქე შემომთავაზებდა უფრო მაღალ დონეს, ჩემი თამაშიც შესაბამისი იქნებოდა.

**- ამ მოგების შემდეგ როგორ აფასებთ უიმბლდონისთვის მზადყოფნის დონეს?**

- უიმბლდონზე არ ვფიქრობ, წინ ჯერ ბალახის კორტზე პირველი ტურნირია ლონდონში. ჩემთვის გრუნტიდან ბალახზე გადასვლა ყოველთვის რთული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ საფარზეც ვისწავლე მოგება. დიდი მუშაობის ჩატარება მომიწევს, როგორც ეს წინა წელს იყო. უნდა გავიხსენო რას ვაკეთებდი შარშან, რა გამომდიოდა, რა - არა. ლონდონში ერთეულებშიც გამოვალ და წყვილებშიც. ნებისმიერ შემთხვევაში, იწყება ბალახის სეზონი და ნაკლებ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ვგრძნობ, ვიდრე ეს როლან გაროსის წინ იყო. თუმცა მოტივაცია არანაკლები მაქვს!

**- თქვენ გაიმეორეთ შვედი ბიორნ ბორგის რეკორდი - მეექვსედ მოიგეთ როლან გაროსი. ამ ფაქტს რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის?**

- სასიამოვნოა. მინდა გითხრათ, რომ ჩემთვის დიდი პატივია ბორგის გვერდით ყოფნა. მაგრამ უფრო მეტ სიამოვნებას მანიჭებს არა რეკორდის ფაქტი, არამედ ის, თუ რამდენჯერ მოვიგე ეს ტურნირი.

**- როჯერ ფედერერს ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეს უწოდებენ, მაგრამ თქვენ 25 წლის ასაკში უფრო მეტს მიაღწიეთ, ვიდრე მან ამავე პერიოდში. რას ფიქრობთ თქვენი და ფედერერის შედეგების შედარებისას?**

- იმას, რომ მეც შემიძლია ვითამაშო კარგი ჩოგბურთი (იცინის). მირჩევნია გონება არ დავიტვირთო იმაზე ფიქრით, ვინ არის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშე. უფრო სამართლიანი ნათქვამი იქნება - მე ერთ-ერთი მათგანი ვარ. ეს სავსებით მაძლევს ხელს. ვამაყობ ჩემი მიღწევებით და მადლობელი ვარ ყველაფრისთვის, რაც ჩემს ცხოვრებაში დღევანდელ მომენტამდე მოხდა.

# როლან გაროსი ციფრებში

**ერთ-ერთ ნინა ნომერში შემოგთავაზეთ როლან გაროსის პირველი კვირის „ციფრული" მიმოხილვა, დღეს კი ასევე ციფრების დახმარებით შეიტყობთ, რა მოხდა საინტერესო პარიზის კორტებზე მეორე კვირას.**



ქალთა ფინალის მონაწილეები

1 - **ნა ლი** გახდა პირველი ჩინელი ჩოგბურთელი, ვინც „დიდი სლემის" ტურნირში გაიმარჯვა.

3 - „დიდი სლემის" მესამე ტურნირი წააგო წყვილთა თანრიგში რუსმა **ელენა ვესნინამ**. მისი დუეტი ინდოელ **სანია მირზასთან** უფრო სუსტი აღმოჩნდა ჩეხურ წყვილზე **ანდრეა ჰლავაჩკოვასა** და **ლუსი ჰრადეცკას** შემადგენლობით - 4:6, 3:6. ვესნინას წინა ორი მარცხი 2009 წლის როლან გაროსზე (**ვიქტორია აზარენკასთან** ერთად) და 2010 წლის უიმბლდონზე (**ვერა ზვონარევასთან** ერთად) მოდის.

4 - ამდენი დასვენების დღე ჰქონდა **ნოვაკ ჯოკოვიჩს როჯერ ფედერერთან** ნახევარფინალის წინ. ასეთი ხანგრძლივი „არდადეგები" **ფაბიო ფონინის** ტრავმამ გამოიწვია და როგორც ჩანს, ოთხდღიანმა უთამაშებლობამ ჯოკოვიჩს ცუდი სამსახური გაუწია.

4 - მეოთხე ფრანგი ქალი ჩოგბურთელი, რომელიც „ღია ერაში" როლან გაროსის ნახევარფინალში გავიდა, **მარიონ ბარტოლი** გახდა. მანამდე საფრანგეთის ღიას საუკეთესო ოთხეულში მოხვდნენ **ფრანსუაზ დიური** (1972, 73), **ბრიჯიტ საიმონი** (1978) და **მერი პირსი** (1994, 2000, 2005).

4 - კარიერაში „დიდი სლემის" მეოთხე მეოთხედფინალი წააგო **ვიქტორია აზარენკამ**.

5 - პირველად ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მამაკაცთა თანრიგის ნახევარფინალში გავიდა რეიტინგის პირველი ოთხი ნომერი. ბოლოს ასეთი სიტუაცია ასევე როლან გაროსზე შეიქმნა.

5 - „დიდი სლემის" ტურნირების ყველაზე ხანდაზმულ ჩემპიონთა შორის მეხუთე ადგილზეა ჩინელი ნა ლი. პარიზში ტრიუმფის მომენტში მისი ასაკი იყო 29 წელი, 3 თვე და 5 დღე. აქ ლიდერობა ბრიტანელ ჩოგბურთელ **ენ ჯონსს** ეკუთვნის, რომელმაც 1969 წელს უიმბლდონი 30 წლის, 8 თვისა და 28 დღის ასაკში მოიგო.

5 - კარიერაში მეხუთედ შეძლო **ენდი მიურეიმ** სეტებს შორის 0:2-დან მატჩის მოგება. ეს მოხდა მერვედფინალში **ვიქტორ ტროიცკის** წინააღმდეგ.

6 - როლან გაროსის ექვსი ტიტული აქვს აქტივში **რაფაელ ნადალს**. ესპანელი ამ მაჩვენებლით **ბიორნ ბორგს** დაეწია.

7 - ფინალის პირველ სეტში 2:5 ჩამორჩენის შემდეგ რაფაელ ნადალმა ზედიზედ შვიდი გეიმი აუღო როჯერ ფედერერს, თან სეტბოლი მოიგერია. ეს მომენტი ერთ-ერთი გადამწყვეტი იყო მატჩში.

10 - ათი წუთით შეწყდა მამაკაცთა ფინალური მატჩი წვიმის გამო. ეს იყო ერთადერთი შეხვედრა წლევანდელ როლან გაროსზე, რომელიც ატმოსფერული ნალექის გამო შეწყდა.

10 - „დიდი სლემის" რიგით მეათე ტურნირი მოიგო რაფაელ ნადალმა. უფრო მეტი ტიტული აქვს ხუთ ჩოგბურთელს - ფედერერს (16), **პიტ სამპრასს** (14), **როი ემერსონს** (12), ბორგსა და **როდ ლეივერს** (11).

20 - მიურეისთან წაგებით ტროიცკიმ მე-20 მარცხი ინვნია ტოპხუთეულის წარმომადგენელთან. რეიტინგის ლიდერებთან სერბს მხოლოდ ერთი მოგება აქვს - 2007 წელს უმაგის ტურნირზე ნოვაკ ჯოკოვიჩი დაამარცხა.

23 - „დიდი სლემის" ტურნირზე ოცდამესამედ ითამაშა ფინალში როჯერ ფედერერმა. და მეექვსედ წააგო გადამწყვეტი მატჩი ნადალთან. კიდევ ერთხელ შვეიცარიელი **ხუან მარტინ დელ პოტროსთან**.

30 - ამდენი ორმაგი შეცდომა დააგროვა **მარია შარაპოვამ** ტურნირის მსვლელობისას. ეს ყველაზე უარესი მაჩვენებელია ქალ ჩოგბურთელებს შორის. აქედან შეცდომების მესამედი მან ნა ლისთან ნახევარფინალში დაუშვა.

33 - წელი ვერ იმარჯვებდნენ ამერიკელი ჩოგბურთელები იუნიორთა ტურნირზე. **ბიორნ ფრატანჯელომ** ფინალში **დომინიკ ტიემის** დამარცხებით შეწყვიტა ეს უიღბლო სერია.

38 - ჩინელი ნა ლი 38-ე ქალი ჩოგბურთელია, ვინც „დიდი სლემის" ტურნირზე გაიმარჯვა.

43 - ზედიზედ ამდენი მატჩი ჰქონდა მოგებული ნოვაკ ჯოკოვიჩს როჯერ ფედერერთან ნახევარფინალამდე. მისი სერია შარშან დეკემბერში დაიწყო და ეს არის ხანგრძლივობის მიხედვით ისტორიაში მესამე სერია - სერბს არგენტინელი **გილერმო ვილასის** აბსოლუტური რეკორდის გამეორებამდე სამი მოგება დააკლდა.

**44 - ანდრეა პეტკოვიჩისა** და **მარია კირილენკოს** სამსეტიან მერვედფინალში თითო პარტია 44 წუთი გრძელდებოდა.

45 - ამდენი მატჩი აქვს მოგებული როლან გაროსზე ნადალს. ამ დროის განმავლობაში პარიზში ის ერთადერთხელ დამარცხდა - 2009 წელს **რობინ სიოდერლინგთან**.

45 - როლან გაროსის დასრულების შემდეგ ამდენი ქულა აშორებთ ATP-ის რეიტინგში ნადალსა და ჯოკოვიჩს. რაფაელის პოზიციებზე ნოვაკი მორიგ იერიშს უიმბლდონზე მიიტანს.

46 - კარიერაში 46-ე ტიტული მოიგო ნადალმა. აქედან 32 გრუნტისსაფარიან კორტებზე მოდის.

60 წელი და 79 დღე - ასეთი საერთო ასაკი ჰქონდათ ქალთა ფინალის მონაწილეებს - **ფრანჩესკა სკიავონესა** და ნა ლის. ეს იყო მეორე „ასაკოვანი" ფინალი საფრანგეთის ღიაზე 1986 წელს **კრის ევერტისა** და **მარტინა ნავრატილოვას** გადამწყვეტი მატჩის შემდეგ.

220 წუთი გრძელდებოდა ფინალური მატჩი ნადალსა და ფედერერს შორის. XXI საუკუნეში საფრანგეთის ღიაზე ასეთი ხანგრძლივი ფინალი არ გათამაშებულა. 2004 წელს **გასტონ გაუდიომ** და **გილერმო კორიამ** კორტზე ცხრა წუთით ნაკლები დაჰყვეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**